ლიონ ფეიხტვანგერი

მოსკოვი 1937

თბილისი — მერანი 1991

მთარგმნელი გიორგი გეჟუაშვილი

რედაქტორი მანანა ასათიანი

წიგნი გამოდის მთარგმნელის ხარჯით

4702017200—183
ბ ——————— ბრძ. 91
მ604(08)—91
© გამომცემლობა „მერანი“

გამომცემლობისაგან

ამსტერდამში გერმანულ ენაზე გამოცემული ლიონ ფოიხტვანგერის პატარა წიგნი „მოსკოვი 1937“ უდაო ინტერესს იწვევს, რომელშიც ავტორი საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას პირადი შთაბეჭდილებისა და დაკვირვების საფუძველზე იძლევა სსრ კავშირის თანამედროვე მდგომარეობის, მისი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების შეფასებას. წიგნი შეიცავს რიგ შეცდომებსა და არასწორ შეფასებებს, რომლებშიც ადვილად გაერკვევა საბჭოთა მკითხველი. მიუხედავად ამისა, წიგნი ინტერესს იწვევს და ის მნიშვნელობა აქვს, რომ წარმოადგენს საბჭოთა კავშირის პატიოსანი და კეთილსინდისიერი შესწავლის ცდას.

ფოიხტვანგერი დასავლეთში არაკომუნისტი მწერლების იმ მცირედ რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც სიმართლის არ ეშინიათ, რომლებმაც იარაღი კი არ დაყარეს ფაშიზმის წინაშე, არამედ განაგრძობენ მასთან ბრძოლას. იმ დროს, როდესაც კალის ბურჟუაზიული ავაზაკები კაპიტალიზმისა და ფაშიზმის გულისმოსაგებად ერთმანეთს ეჯიბრებიან სსრ კავშირის წინააღმდეგ ტყუილისა და ცილისწამების ფალსიფიკაციაში, ფოიხტვანგერი ცდილობს ჩასწვდეს სსრ კავშირზე ობიექტურ სიმართლეს და გაიგოს მისი თავისებურებანი.

წინასიტყვაობა

ამ წიგნის მიზანი

ეს ნაშრომი კერძოდ შეიძლება შემდეგნაირად დასათაურებულიყო: „მოსკოვი, იანვარი, 1937 წელი“. მოსკოვში ცხოვრება ხომ ისე სწრაფად მიედინება, რომ ზოგიერთი დებულება რამდენიმე თვის შემდეგ უკვე არასწორი ხდება. მე მოსკოვში იმ ხალხში ფტრიალებდი, ვინც მას კარგად იცნობდა და ახლა რაღაც ნახევარი წლის განშორების შემდეგ მისი შემყურე თავს აქნევდა: ნუთუ ეს ჩვენი ქალაქია? მიუხედავად ამისა, მე ამ წიგნს მაინც ვასათაურებ—„მოსკოვი, 1937 წელი“. თარიღს იმიტომაც არ ვაკონკრე-

ტებ, რომ არ ვესწრაფვი ყოველივე ნანახის ზუსტ, ობიექტურ გადმოცემას. ათიოდე კვირით მოგზაურობის შემდეგ ამის მცდელობაც კი უაზრობა იქნებოდა. მე მხოლოდ პირად შთაბეჭდილებებს გთავაზობთ ჩემი მეგობრებისათვის, უკანდაბრუნებულს ხარბად რომ დამეძგერებიან კითხვებით: „აბა, რას იტყვით მოსკოვზე? მოყევით, რაც იქ ნახეთ“.

რამდენად არასწორია ჩემ მიერ დახატული სურათი.

რამდენადაც ვალიარებ ჩემ მიერ შემოთავაზებული მოსაზრებების სუბიექტურობას, მინდა მოგითხრით იმის შესახებ, თუ რა მოლოდინითა და სიფრთხილით მივემგზავრებოდი საბჭოთა კავშირში. დაე, თითოეულმა მკითხველმა თავად განსაჯოს, თუ რამდენად იყო გამუქებული წინასწარაკვიატებული აზრებითა და გრძნობებით ჩემი შეხედულებები.

რწმენა გონებისა.

მე გზას გავუდექი საბჭოთა კავშირისადმი „სიმპათიების“ მქონე ადამიანის შეგნებით. დიახ, თავიდანვე თანავუგრძნობდი ექსპერიმენტს, რომელმაც მიზნად დაისახა გიგანტური სახელმწიფოს აშენება მხოლოდ გონების საფუძველზე და მოსკოვში იმ სურვილით მივემგზავრებოდი, რომ ეს ექსპერიმენტი წარმატებით განხორციელებულიყო. როგორ უმნიშვნელოდაც არ უნდა გამომერიცხა ადამიანის პირადი ცხოვრებიდან ლოგიკურობა, ალოგიკურობა და გრძნობათა სამყარო, როგორც არ უნდა გამეაზრებინა მარტოდმარტო ერთსახოვან და მოსაწყენ წმინდა ლოგიკაზე აგებული ცხოვრება, მაინც ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თუკი მას ზრდა-განვითარება სურდა, უნდა დაფუძნებულიყო გონებაზე და ჯანსაღ აზრებზე. ცენტრალური ევროპის მაგალითზე ჩვენ ძრწოლვით ვადევნებდით თვალს იმას, თუ რა ხდებოდა, როდესაც სახელმწიფოსა და კანონების საფუძვლად სურდათ ექციათ არა გონება, არამედ გრძნობები და ცრურწმენანი. მსოფლიო ისტორია ყოველთვის წარმოდგენილი მქონდა დიდ, ხანგრძლივ ბრძოლად გონიერ უმცირესობასა და სულელ

უმრავლესობას შორის. ამ ბრძოლაში მე გონების მხარეზე დავდექი და ამიტომაც, დასაბამიდანვე სიმპათიით ვუცქეროდი მოსკოვის მიერ წამოწყებულ დიდ ცდას.

უნდობლობა და ეჭვები

თუმცა ჩემს სიმპათიებს თავიდანვე ეჭვები გაერია. სოციალიზმი პრაქტიკულად მხოლოდ კლასის დიქტატურის მეშვეობით შეიძლებოდა აშენებულიყო და საბჭოთა კავშირი მართლაც იყო დიქტატურის სახელმწიფო. მაგრამ მე ხომ მწერალი ვარ, მწერალი მოწოდებით, ეს კი ნიშნავს, რომ მე განვიცდი მწვავე მოთხოვნილებებს თავისუფლად გამოვხატო ყველაფერი, რასაც ვგრძნობ, ვფიქრობ, ვხედავ, განვიცდი, მიუხედავად პიროვნებებისა, კლასებისა, პარტიებისა და იდეოლოგიებისა. ამიტომაც, მთელი ჩემი სიმპათიების მიუხედავად, მე მაინც ვგრძნობდი უნდობლობას მოსკოვისადმი. მართალია, საბჭოთა კავშირმა შეიმუშავა დემოკრატიული, თავისუფალი კონსტიტუცია, მაგრამ ადამიანები, ვინც ჩემს ნდობას იმსახურებდნენ, მეუბნებოდნენ, რომ ამ თავისუფლებას პრაქტიკაში ძლიერ დაჩიავებული და დამახინჯებული სახე აქვსო, ხოლო ჩემი გამგზავრების წინ გამოსულმა ანდრე ჟიდის პატარა წიგნმა ეჭვები კიდევ უფრო განმიმტკიცა.

პოტიომკინის სოფლები.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის საზღვრებს ცნობისმოყვარეობით, ეჭვებითა და სიმპათიებით აღსილი მივუახლოვდი. საპატიო შეხვედრამ, რომელიც მე მომიწყვეს, კიდევ უფრო გააძლიერა ჩემი მერყეობა. სალად მოაზრონენ ჩემი ახლო ნაცნობები, მთლიანად კარგავდნენ განსჯის უნარს, როდესაც გერმანელი ფაშისტების გარემოცვაში მყოფნი ხოტბით ამკობდნენ მათ. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ნუთუ ნებას მივცემ პატივმოყვარეობას შემიცვალოს ჩემი შეხედულებები საგნებზე და ადამიანებზე. ამასთან ერთად, თავს ვეუბნებოდი, რომ მე უეჭველად მაჩვენებდნენ მხოლოდ კარგს, დადებითს და მე, ენის უცოდინარ კაცს, გამიჭირდებოდა განმეჭვრიტა ის, რაც დამალულია შელამაზებული გარეგნობის მიღმა.

კომფორტის ნაკლულობით გამოწვეული თავდასხმები.

სხვა მხრივ, მრავალი წვრილმანი ნაკლოვანება, ყოველდღიურ მოსკოვურ ყოფას რომ ართულებს და ხელს უშლის მნიშვნელოვანის დანახვას, ადვილად მიიყვანდა ადამიანს უსამართლო და უარყოფით დასკვნებამდე. ძალიან მალე მივხვდი, რომ დიდი მწერლის ანდრე ჟიდის მიერ მოსკოვისათვის მიცემული არასწორი შეფასების მიზეზი, სწორედ ამგვარი წვრილმანი უსიამოვნებანი იყო. ამიტომ მოსკოვში ყოფნისას ყველანაირად შევეცადე, რომ შეუნელებლად გამეკონტროლებინა ჩემი შეხედულებები და გამეწონასწორებინა ისინი იმ მიზნით, რომ ვითარებიდან გამომდინარე სასიამოვნო თუ არასასიამოვნო შთაბეჭდილებებს ჩემს საბოლოო დასკვნებზე გავლენა არ მოეხდინათ.

შემდგომი ხიძნელეები სწორი განსჯის გზაზე.

ხანდახან საბჭოთა ადამიანების გულუბრყვილო სიამაყე და გულმოდგინება ხელს მიშლიდა სწორი გადაწყვეტილების მიგნებაში. საბჭოური ცივილიზაცია სრულიად ახალგაზრდაა. იგი შიღწეულია უმაგალითო სიძნელეებისა და ფაქირვების ფასად, ამიტომ, როდესაც მოსკოველებთან სტუმარი მოდის, რომლის აზრსაც — სამართლიანსა თუ უსამართლოს მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მას მაშინათვე კითხვებს დაუყრიან: როგორ მოგწონთ ეს? რას იტყვით ამის შესახებ? და სხვ. მოსკოვში მე შფოთიან დროს მოვხვდი. ფაშისტთა ბელადები ომის მუქარით აღსავსე სიტყვებით გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ესპანეთში და მონღოლეთის საზღვრებთან ბრძოლები მიმდინარეობდა, მოსკოვში იხილავდნენ პოლიტიკურ პროცესს, რომელიც ძლიერ აღელვებდა მასებს. შედეგად ამისა ძალიან ბევრი კითხვა დაგროვდა და მოსკოველებიც არ სიტყვაძუნწობდნენ. სავსებით ბუნებრივია, რომ მოსკოვში ყველაფერი არ მომწონებია, ჩემი მწერლური პატივმოყვარეობა ჩემგან მოითხოვს ჩემი აზრების გულახდილად გამოხატვას — ამ მიდრეკილებამ კი ბევრჯერ ჩამაგდო უხერხულ მდგომარეობაში. ამრიგად, საბჭოთა კავშირში მყოფს არ მინდოდა გავჩუმებულიყავი იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც სადმე შევამჩნიე. თუმცა უნდა მომენახა მათზე აზრის გამოთქმის ისეთი

ფორმა, რომ ეს შენიშვნები არ ყოფილიყო უტაქტო, მაგრამ ექნებოდათ გარკვეული აზრი, რაც ყოველთვის არ არის ადვილი საპატიო სტუმრისათვის, მით უმეტეს ასეთ დაძაბულ დროს.

გულახდილობა გულახდილობისათვის

— სიამოვნებით შემეძლო მეთქვა, რომ ჩემს გულახდილობას მოსკოვში რაიმე წყენა არ გამოუწვევია. გაზეთები ჩემს შენიშვნებს გამოსაჩენ ადგილზე ათავსებდნენ, თუმცა, შესაძლოა, ხელმძღვანელ პირებს ისინი არც მოსწონდათ. შენიშვნებში მე მხარს ვუჭერდი დიდ შემწყნარებლობას ზოგიერთ სფეროში, გამოვთქვამდი ჩემს გაოცებას სტალინის კულტის უზომოდ გადამეტების გამო და ვამბობდი, რომ უკეთესი იქნებოდა უფრო მეტი სინათლე მოეფინათ იმისთვის, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ მეორე ტროცკისტული პროცესის მსჯავრდადებულები დანაშაულობათა აღიარებისას. ქვეყნის ხელმძღვანელებიც კერძო საუბრებში ჩემს კრიტიკას ყურადღებით ეკიდებოდნენ და გულახდილობას გულახდილობით პასუხობდნენ. იმის გამო, რომ ჩემს აზრებს დაუფარავად გამოვთქვამდი, მე მოვიპოვე ცნობები, რომლებსაც წინააღმდეგ შემთხვევაში ვერას დიდებით ვერ მივიღებდი.

საჭიროა კი გამოვიდე საბჭოთა კავშირის დადებითი შეფასებით?

დასავლეთში ჩემი დაბრუნების შემდეგ ჩემს წინაშე დადგა ამოცანა, უნდა ვილაპარაკო თუ არა იმაზე, რაც ვნახე საბჭოთა კავშირში? ეს საკითხავი ალარ იქნებოდა, თუკი მეც სხვებივით, საბჭოთა კავშირში აღმოვაჩენდი მეტ უარყოფითს, ვიდრე დადებითს. ჩემს გამოსვლას ზეიმით შეხვდებოდნენ. მაგრამ მე იქ უფრო მეტი სინათლე ვიხილე, ვიდრე ჩრდილოვანი მხარეები. საბჭოთა კავშირი არ უყვართ და მასზე კარგის მოსმენაც არ სურთ. ამაზე მაშინვე მიმითითეს. საკუთარი შთაბეჭდილებებით ხშირად არ გამოვდიოდი საბჭოთა პრესაში. ჩემმა გამოსვლებმა ორასს სტრიქონზე ნაკლები შეადგინა, ამასთან ისინი მარტო ქებას რომ შეიცავდნენ. მაგრამ ეს მცირედიც აქ, დასავლეთში დამახინჯებული და გაუხამსებული იქნა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ წარმოადგენდა ყოველივე იმის უსიტყვო უარყოფას, რაც საბჭო-

თა კავშირში ვნახე. ვალდებული ვიყავი კი განმეგრძო ლაპარაკი საბჭოთა კავშირზე?

უკეთესია ამას არ ვიზამ.

ევროპაში ჩემი დაბრუნების პირველსავე დღეებში ნანახითა და გაგონილით დაღლილ-აღგზნებულმა საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ჩემი საქმეა არა ლაპარაკი, არამედ ნანახის სახეებში გამოხატვა. გადავწყვიტე გავჩუმებულიყავი და დამეცადა, სანამ განცდილი და გადატანილი სახეებში არ აღიქმებოდა.

მაგრამ როგორც მწერალი მე ამას მაინც ვაკეთებ.

მაგრამ მალე ჩემში სხვა მოსაზრებებმა იმძლავრეს. საბჭოთა კავშირი აუარებელ მტერთან ეწვება ბრძოლას, მოკავშირეები კი უმნიშვნელოდ ეხმარებიან. გონებაჩლუნგობა და მტერმოსურნეობა იმას ესწრაფვიან, რომ სახელი გაუტეხონ, ცილი დასწამონ აღმოსავლეთში აღმოცენებულ ყოველივე ნაყოფიერს და უარყონ იგი, მაგრამ მწერალს, რომელმაც გრანდიოზული რამ ნახა, არ შეუძლია თავი აარიდოს მოწმის ჩვენებების მიცემას, თუნდაც ეს გრანდიოზული არაპოპულარული იყოს და მისი სიტყვები მრავალს არ ესიამოვნოს.

ამიტომაც მე მოწმის პირით ვლაპარაკობ.

თავი I.

ყოველდღიურობა და ზეიმები

უკმაყოფილება კაპიტალისტურ ქვეყნებში

საბჭოთა კავშირში მე ჩავედი დასავლეთის იმ ქვეყნებიდან, სადაც ჩვენ ირგვლივ გაუთავებელ საჩივრებს მივეჩვიეთ. მოსახლეობა უკმაყოფილო იყო თავისი როგორც საგარეო, ისე საშინაო მდგომარეობით და გარდაქმნები სწყუროდა. ყველა მხარეს სასოწარკვეთილი შეძახილები ისმოდა, განსაკუთრებით ფაშისტური დიქტატურის ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ იქ კრიტიკა როგორც სახელმწიფო ღალატი ისე ისჯებოდა, მრისხანება და შეუპოვრობა სძლევდა ციხითა და საკონცენტრაციო ბანაკით გამოწვეულ შიშს.

კმაყოფილება საბჭოთა კავშირში.

გაოცებულმა დასაწყისში სკეპტიკურადაც შევნიშნე, რომ საბჭოთა კავშირში ყველანი, ვისთანაც შეხვედრებმა მომიწია — მათ შორის შემთხვევით ადამიანებიც, რომლებიც არანაირად არ შეიძლება მომზადებულიყვნენ ჩემთან სასაუბროდ, მართალია სხვა დროს კიდევაც აკრიტიკებდნენ ცალკეულ ხარვეზებს, მთლიანობაში, როგორც ჩანდა, საკუთარი ეთანხმებოდნენ არსებულ წყობილებას. დიახ, ამხელა გრანდიოზული ქალაქი მოსკოვი სუნთქავდა კმაყოფილებითა და თანხმობით, უფრო მეტიც — ბედნიერებით.

გარეგანი წესი.

კვირების განმავლობაში ვფიქრობდი, რომ ასეთი განწყობის წყარო შიში იყო. ყოველივე ეს კი ჩემში უნდობლობას იწვევდა. მოსკოვში ჯერ კიდევ მწვავედ იგრძნობა ბევრი ისეთი რამის ნაკლებობა, რაც ჩვენთვის დასავლეთში აუცილებელია. მოსკოვში

ცხოვრება სულაც არაა ისე იოლი, როგორც ეს უნდოდათ ხელ-მძღვანელებს.

ყვება.

უკან დარჩა შიმშილობის წლები. სასურსათო მაღაზიებში ნებისმიერ დროს საბჭოთა კავშირის საშუალო შეძლების მოქალაქეებს — მუშებსა და გლეხებს ფართო ასორტიმენტით ხელმისაწვდომ ფასებში შეუძლიათ კვების პროდუქტების შეძენა. განსაკუთრებით იაფია და ხარისხით ერთობ კარგია ნაირგვარი კონსერვები. სტატისტიკა უჩვენებს, რომ საბჭოთა ქვეყნის ერთ მოქალაქეზე მოდის უფრო მეტი და უკეთესი ხარისხის კვების პროდუქტები, ვიდრე, მაგალითად, გერმანიის იმპერიაში ან იტალიაში და იმის მიხედვით, რაც მე სსრ კავშირში ჩემი ხანმოკლე მოგზაურობის დროს ვნახე, ეს სტატისტიკა არ ტყუის. თვალში საცემია სურსათის სიუხვე, რაც შესაძლებლობას აძლევს ხელმოკლე ადამიანსაც კი მოულოდნელ სტუმარს უმასპინძლოს, თუმცა, ასეთი უხვი და ყუათიანი საქმელი, ზოგჯერ ნაკლები გულმოდგინებითაა მომზადებული. მაგრამ მოსკოველს მოსწონს თავისი საკვები — მისი მაგიდა ხომ დიდი ხანი არაა, რაც ასე კარგადაა გაწყობილი. ორი წლის მანძილზე, 1934 წლიდან 1936 წლამდე, საკვები პროდუქტების მოხმარება მოსკოვში ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 28,8%-ით, მაგრამ თუ ომამდელ სტატისტიკას ავიღებთ, მაშინ 1913 წლიდან 1937 წლამდე ხორცისა და ცხიმების მოხმარება გაიზარდა—95-პროცენტით, შაქრის—250%, პურის—150%, კარტოფილის — 65 პროცენტით. არაა გასაკვირი, რომ ამდენი წლის შიმშილისა და გაჭირვების შემდეგ მოსკოველს მისი კვება იდეალურად მიაჩნდეს.

ტანსაცმელი.

იმათაც კი, ვინც წინანდელ მოსკოვს იცნობს, ანცვიფრებს ტანსაცმლის შესამჩნევი გაუმჯობესება. მარტო 1936 წელს მოსახლეობის დანახარჯები ტანსაცმელზე გაიზარდა 50,8 პროცენტით. ვინც პირველად ხედავს მოსკოვს, ტანსაცმელი ულაზათოდ ეჩვენება. მართალია, აუცილებელს ადამიანი იშოვის, ამასთან ზოგი-

ერთი ნივთი, როგორებიცაა ცხვრის ქურქი, ან კალოშები, საოცრად იაფია, დანარჩენი, უმეტეს წილად, საკმაოდ ძვირია. მაგრამ რაც აბსოლუტურად არ არსებობს ესაა კომფორტი. თუ ვინმე, ქალი იქნება თუ კაცი, გემოვნებით ჩაცმას მოიწადინებს, ამისათვის იგი გვარიანად უნდა გაისარჯოს, თუმცა თავის წადილს მთლიანად ვერასდროს დაიკმაყოფილებს. ერთხელ ჩემთან შეიკრიბა რამდენიმე ადამიანი, მათ შორის იყო ერთი კარგად ჩაცმული მსახიობი ქალი. მას კაბა შეუქეს. „ეს მე თეატრიდან ვითხოვე", — გამოტყდა იგი.

რა იშოვება და რა არა.

როდესაც აქ დასავლეთიდან ჩამოდიხარ, თვალში გეცემათ ყოველდღიური მოხმარების სხვა ნივთების ნაკლებობაც. მაგალითად, გაძნელებულია ყველანაირი ქაღალდის შოვნა, მაღაზიებში მას ძალიან მომჭირნეობით იძლევიან, შესამჩნევია კოსმეტიკური და სამედიცინო საქონლის ნაკლებობაც. მაღაზიებში შესვლისას თვალში გეცემათ ამა თუ იმ ნივთის თავისებური ულაზათობა. თუმცა ბევრი მათგანი გახარებს თავისი ლამაზი ფორმით, მიზნობრიობითა და სიიაფით, მაგალითად მაგიდის ნათურები, ხის კოლოფები, ფოტოაპარატები, გრამოფონები. ჩანს, რომ დოვლათის მატებასთან ერთად იზრდება მოთხოვნილებებიც და თუ გაჭირვების წლებში ადამიანები სჯერდებოდნენ მხოლოდ ყველაზე აუცილებელს, ახლა უკვე მოთხოვნილება იზრდება. მოთხოვნილება კი იმდენად სწრაფად იზრდება, რომ წარმოება ვეღარ აუდის მას და ამის გამო მაღაზიებთან ხშირად შეხვდებით რიგებს.

მიმოსვლის საშუალებები.

მოსკოველთა ცხოვრებას სხვა უსიამოვნებანიც ახრთულებენ. მართალია, მიმოსვლის საშუალებები კარგად მუშაობენ და ადგილობრივ პატრიოტთა გულუბრყვილო სიამაყე თავიანთი მეტროპოლიტენის გამო სავსებით გასაგებია: იგი მართლაც ყველაზე ლამაზი და მოხერხებულია მსოფლიოში. თუმცა ტრამვაი ხშირად კვლავ გადატვირთულია, ტაქსის გაჩერება კი ძნელია. ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რომელიც მოსკოვიდან 40 კილომეტრზე ცხოვრობს,

საზღვარგარეთ მიმავალ მატარებელზე იმიტომ დააგვიანა, რომ მრავალსაათიანი ძებნის მიუხედავად ვერა და ვერ იშოვა ავტომობილი ბარგის გადასატანად.

წვრილმანი ხაზრუნავი.

მოსკოვურ ყოფას ასევე ართულებს ბიუროკრატიზმი. ბინაში შესასვლელად, სამოგზაუროდ, ავტომობილისთვის საწვავის შესაძენად, ზოგიერთ საზოგადოებრივ შენობაში შესასვლელად და მრავალ სხვა შემთხვევაშიც თხოულობენ მოწმობას. „პროპუსკი" ნებართვა — ეს ერთ-ერთი პირველი რუსული სიტყვათაგანია, რომელიც უცხოელმა უნდა დაიმახსოვროს. არც ქალაქგარეთ გამგზავრებაა მისთვის იოლი. მოსკოვის მიდამოებში ძალიან ცოტაა სასტუმროები და რესტორნები, მრავალი დასასვენებელი სახლი კი ხელმისაწვდომია მხოლოდ პროფკავშირების წევრებისათვის. ერთი უცხოელი აკრედიტებული დესპანი ნახევრადხუმრობით მიუვებოდა იმაზე, თუ როგორი დანაღვლიანებული დგას ხოლმე იგი ზეიმის დღეებში მუშათა საცურაო აუზებთან, რადგან მას ხელი არ მიუწვდებოდა ამ სიამოვნებაზე.

ხაბინაო პრობლემა.

ყველაზე მწვავედ იგრძნობა ბინის გასაჭირი. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს ვიწროდ, პაწაწკინტელა, უბადრუკ ოთახებში, ზამთარში ძნელად რომ ნიავდება. რიგები დგას საპირფარეშოებთან და ონკანებთან. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, მწერლები, მაღალი ხელფასის მქონე მეცნიერები უფრო მოკრძალებულად ცხოვრობენ, ვიდრე ზოგიერთი წვრილი ბურჟუა დასავლეთში.

მიუხედავად ამისა ისინი კმაყოფილნი არიან.

საკუთარ თავს ხშირად ვეკითხებოდი, განსაკუთრებით ჩემი მოსკოვში ყოფნის პირველ ხანში, ყოველდღიური ცხოვრების ამ ხარვეზებმა განა უარყოფითად არ უნდა იმოქმედონ საბჭოთა მოქალაქეების იმ კმაყოფილ განწყობილებაზე, რაზედაც მე ზევით

ვყვებოდი. არა, არ მოქმედებენ. საბჭოთა ადამიანები მრავალი წლის განმავლობაში იტანდნენ უკიდურეს გაჭირვებას და კიდევ არ დავიწყნიათ ის დრო, როდესაც გამუდმებით არ ჰყოფნიდათ შუქი და წყალი, რიგებში იდგნენ პურისა და ქაშაყისათვის. მათი საშეურნეო გეგმები სწორი გამოდგა. მათ დაძლიეს ეს დიდი ნაკლოვანებები; უახლოეს მომავალში გაჭრება წვრილმანი ხარვეზებიც — დღეს რომ ასე უშლით ხელს. მოსკოველები ხუმრობენ ამ ნაკლოვანებებზე. მათი ენამოსწრებულობა უწყინარია, ზოგჯერ კი ღვარძლიანი, მაგრამ ეს პატარ-პატარა ხარვეზები არ მიჯნავენ მათ იმ დიდისაგან, რომელსაც მათ საბჭოთა კავშირში ცხოვრება სთავაზობს. მაგრამ თუ დიდხანს შეაჩერებ ყურადღებას ამ უმნიშვნელო ყოფით ნაკლოვანებებზე, მაშინ მოსკოველები იერიშზე გადმოდიან და აქეთ გეკითხებიან: აბა როგორ შეიძლება ცხოვრება კაპიტალისტურ ქვეყანაშიო?

ტანჯული ცხოვრების შესახებ დასავლეთში

„როგორ ძლებთ მორალურად,—მეკითხებიან ისინი,— ასეთ საზიზღარ ატმოსფეროში? თუნდაც რომ კომფორტში და სიმშვიდეში ცხოვრობდეთ, განა არ გაწუხებთ თქვენი გარემომცველი გაჭირვება, რომლის მოშორებაც შეიძლებოდა საგნების გონივრული რეგულირებით. ნუთუ არ გალიზიანებთ თქვენს ირგვლივ აშკარა უაზრობა? როგორ შეიძლება გაძლება იმ ქვეყანაში, რომლის ეკონომიკაც განისაზღვრება არა გონივრული დაგეგმვით, არამედ ცალკეულ ადამიანთა გამდიდრების წყურვილით. ნუთუ არ გაწუხებთ მერყეობის, დროებითობის, დაცემულობის შეგრძნება? გერმანიის იმპერიის სტატისტიკა 65 მილიონიანი მოსახლეობის ფონზე ყოველდღიურად აღნიშნავს 52 თვითმკვლელობას; ჩვენ 180 მილიონი ვართ და 34 თვითმკვლელობა ხდება დღეში. ანდა შეხედეთ კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობას და შეადარეთ ჩვენსას. განა ბევრ ახალგაზრდას შეუძლია დასავლეთში პროფესია აირჩიოს საკუთარი სურვილისა და უნარის მიხედვით, ჩვენთან კი ვის არა აქვს ეს შესაძლებლობა? განა ბევრი ახალგაზრდაა დასავლეთში თავისუფალი იმ საზრუნავისაგან, თუ რა მოელის ხვალ, რისთვის იბრძოლოს, განა მისი მომავალი უფრო საშიში არაა, ვიდრე იმედის მიმცემი?“

საბჭოთა მოქალაქეების ბედნიერება ცხოვრების გამო.

ასეთი მსჯელობანი პროპაგანდისათვის როდია გამიზნული; ისინი აშკარად ემყარებიან შინაგან რწმენას. მეურნეობისა და მთელი სახელმწიფო სტრუქტურის თვალნათლად დაგეგმვა მოუწყობელობის ამა თუ იმ სახეთა კომპენსაციას ახდენს, რომლებსაც ხალხი ცხოვრებაში განიცდის. მკვეთრი კონსტრასტი წარსულსა და თანადროულობას შორის მათ ავიწყებს ამ სიდუხჭირეს. ვისაც ხედვის უნარი აქვს, ვისი სმენაც ასხვავებს წრფელ ადამიანურ სიტყვას ყალბისაგან, ყველა ფეხის ნაბიჯზე იგრძნობს, რომ ქვეყნის ყოველ კუთხეში თავის ბედნიერ ცხოვრებაზე მოსაუბრე ადამიანები ცარიელი ფრაზებით არ ლაპარაკობენ.

ყოველ დღე უკეთ და უკეთ.

ამ ხალხმა იცის, რომ მათი ცხოვრების აყვავება ხელსაყრელი, მაგრამ ცვალებადი კონიუნქტურის კი არა, გონივრული დაგეგმვის შედეგია. ყველას ესმოდა, რომ სანამ შეუდგებოდნენ სახლის შიგნიდან მოწყობას, საჭირო იყო მისთვის საძირკვლის ჩაყრა. ჯერ უნდა მოეგვარებინათ ნედლეულის მოპოვება, შეექმნათ მძიმე მრეწველობა, დაემზადებინათ მანქანები და შემდეგ გადასულიყვნენ მოხმარების საგნების, მზა პროდუქციის წარმოებაზე. საბჭოთა ადამიანებს ესმოდათ ეს და პირდაპირ ცხოვრებაში მოთმინებით იტანდნენ გაჭირვებას. ახლა ნათელი გახდა, რომ გეგმა სწორად შეადგინეს, რომ თესვა რაციონალურად ჩაატარეს და დიდ მოსავალს მოელიან, დიდად კმაყოფილი საბჭოთა ადამიანები თვალყურს ადევნებენ ამ მოსავლის აღების დაწყებას. ისინი ხედავენ, რომ ყველაფერი სწორედ ისეა, როგორც დაჰპირდნენ, მათ აქვთ მრავალი ისეთი ნივთი, რომლებზედაც ამ ორიოდე წლის წინ ფიქრსაც ვერ გაბედავდნენ. მოსკოველი ბიდის თავის უნივერმაღში, იმ მეშაღის მსგავსად, სხვადასხვა მცენარეები რომ დაურგავს და ახლა უნდა ნახოს რა ამოვიდა. იგი სიამოვნებით ამბობს: ერთი შეხედეთ. დღეს იყიდება ქუდები, ვედროები, ფოტოაპარატები. ის ფაქტი, რომ ხელმძღვანელებმა სიტყვა არ გატეხეს, დასახული გეგმის შემდგომი განხორციელებისა და ადამიანების ცხოვრების ყოველთვიური გაუმჯობესების საწინდარია. როგორც მოსკოველმა

იცის, რომ ლენინგრადის მატარებელი გადის ამა და ამ საათზე, ასევე ზუსტად იცის მან, რომ ორი წლის შემდეგ მათ ეჭნებათ ნებისმიერი ოდენობისა და ხარისხის ტანსაცმელი, ხოლო ათი წლის შემდეგ ნებისმიერი ოდენობისა და ხარისხის ბინებიც.

გლეხი წინათ და ახლა.

ბნელ წარსულსა და ბედნიერ თანადროულობას შორის განსხვავებას ყველაზე მეტად გრძნობს გლეხი, მოსახლეობის დიდ უმრავლესობას რომ შეადგენს. ისინი ყველანაირად ხაზს უსვამენ ამ კონტრასტს. მამები შვილებს უყვებიან დუხჭირ წარსულზე, მეფის დროინდელ ლატაკ და ბნელ ცხოვრებაზე. ჩვენ ამ ცხოვრებას ვიცნობთ რუსი კლასიკოსების თხზულებებიდან. წლის უმეტეს დროს გლეხები ხმელ პურზე და ჩაით ოდნავ შეფერილ ცხელ წყალზე გადადიოდნენ. მათ არ იცოდნენ წერა-კითხვა, მთელი მათი გონებრივი მარაგი შედგებოდა უბადრუკი სიტყვებისაგან, რომლებიც მხოლოდ გარემომცველ საგნებს აღნიშნავდნენ. ამას ემატებოდა მღვდლისაგან მითოლოგიიდან მოსმენილი მცირეოდენი ცნობები. ახლა ამ ხალხს საკვები უხვად აქვს, ისინი უნარიანად უძღვებიან თავიანთ მეურნეობას. მათ აქვთ ტანსაცმელი, კინო, რადიო, თეატრი, გაზეთები, მათ ისწავლეს წერა-კითხვა, მათ შვილებს შეუძლიათ აირჩიონ ის პროფესია, რომელიც იზიდავთ.

თანხმობა და რწმენა.

ოცწლიანი გამოცდილებით ზურგგამაგრებული შეგნება იმისა, რომ სახელმწიფო კი არ ართმევს უმრავლესობას სამომხმარებლო სიკეთეს უმნიშვნელო უმცირესობის სასარგებლოდ, არამედ პირიქით, ყველაზე გონივრული მეთოდებით ქმედითად ეხმარება მთელ საზოგადოებას, სულში და გულში გაუჯდა მთელს მოსახლეობას და ისეთი ნდობა წარმოშვა ხელმძღვანელობისადმი, როგორიც არსად მინახავს. იმ დროს, როდესაც მწარე გამოცდილებით აღსავსე საზოგადოება დასავლეთში უნდობლად ეკიდება საკუთარი მთავრობის დაპირებებს და ეს უნდობლობა იმდენად ძლიერია, რომ ხანდახან მიაჩნიათ, თითქოსდა ესა თუ ის ფაქტი სწორედ იმიტომაც უნდა მოხდეს, რომ მთავრობა საწინააღმდეგოს ცდილობსო, ამ

დროს საბჭოთა კავშირში მტკიცედ სჯერათ, რომ ხელისუფალთა დაპირებები ზუსტად და დათქმულ დროში განაღდდება. ცნობილია, თუ რა გარჯის ფასად ახერხებენ ფაშისტური ქვეყნები პროტესტის გამომხატველ ხალხთა მასების „ნებაყოფლობით დემონსტრაციებზე" გამოყვანას, ასობით მაგალითი მაინც ვიცი იმისა, თუ რა გულუბრყვილო სიხარულით მიეშურებოდნენ მოსკოველები დემონსტრაციებზე.

უფლება შრომაზე, დასვენებაზე, და უზრუნველყოფაზე ხანერეკა.

დიახ, გარანტიები და უპირატესობები, რომელიც აქვს საბჭოთა მოქალაქეს დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეებთან შედარებით, იმდენად დიდად წარმოუდგენიათ, რომ მათ წინაშე ფერმკრთალდება მისი ყოფის ნაკლოვანი მხარეები. სოციალისტური გეგმიური მეურნეობა თითოეულ მოქალაქეს გარანტიას აძლევს ნებისმიერ დროს მიიღოს შესაბამისი სამუშაო და უზრუნველყოფილი სიბერე. უმუშევრობა ნამდვილად ლიკვიდირებულია, ასევე მოსპობილია ექსპლუატაციაც. სამუშაოს მოცულობა, რომელსაც სახელმწიფო ითხოვს თითოეული მისი მოქალაქისაგან, არ ართმევს მას იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარი სურვილის მიხედვით დახარჯოს. ყოველ მეექვსე დღეს ისინი ისვენებენ, შემოღებულია შვიდსაათიანი სამუშაო დღე. თითოეულ მშრომელს აქვს ერთ თვიანი ანაზღაურებადი შვებულება. რამდენადაც ღარიბულია საცხოვრებელი ბინები, იმდენად ნათელი, ფართო და მყუდროა ის ურიცხვი დასასვენებელი სახლები, რომლებშიც დასვენება საბჭოთა ადამიანებს ძალიან იაფი უჯდებათ.

სახელმწიფო — ეს ჩვენ ვართ.

უდაოო უზრუნველყოფის გრძნობა, თითოეული ადამიანის იმის მშვიდი რწმენა, რომ სახელმწიფო ნამდვილად არსებობს მისთვის და არა მარტო იგი არსებობს სახელმწიფოსათვის, გასაგებს ხდის იმ გულუბრყვილო სიამაყეს, რომლითაც მოსკოველები ლაპარაკობენ თავიანთ ფაბრიკებზე, სოფლის მეურნეობაზე, შშენებლობებზე, თეატრზე, არმიაზე. მაგრამ ყველაზე მეტად ისინი ამაყო-

ბენ თავიანთი ახალგაზრდობით. ეს ახალგაზრდობა მართლაც რომ საბჭოთა კავშირის პოტენციალის მძლავრი კოზირია.

სახელმწიფოს საზრუნავი.

ახალგაზრდობისთვის კეთდება ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია. ყველგან გვხვდება მრავალი, სათანადოდ მოწყობილი საბავშვო ბაგები და ბაღები, სკოლების ფართო სისტემა, რომელთა რიცხვი წარმოუდგენლად სწრაფად იზრდება. ბავშვებს აქვთ თავიანთი სტადიონები, კინო, კაფეები და მშვენიერი თეატრები. უფრო მოწიფულთათვის გახსნილია უნივერსიტეტები, ცალკეულ საწარმოებში და გლეხების კოლექტიურ მეურნეობებში მოქმედებს უამრავი კურსი. ასევე მუშაობენ წითელი არმიის კულტდაწესებულებები. საბჭოთა ახალგაზრდობა ბევრად უკეთეს პირობებში იმყოფება, ვიდრე ვინმე სხვაგან.

დასავლეთის ქვეყნების ახალგაზრდობა.

ყველა ქვეყნის ახალგაზრდებისაგან ჩემს მიერ მოლებული წერილების უმრავლესობა, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდების გამოკლებით, შეიცავს მოწოდებებს საშველად. დასავლეთის ახალგაზრდობის უდიდესმა მასებმა არ იციან რა გზას ეწიონ, არც ფიზიკურად და არც სულიერად. მათ არ გააჩნიათ სამუშაოს შოვნის იმედი, არ იციან რა გააკეთონ, არ იციან რაშია მათი არსებობის აზრი. წინმდებარე ყველა გზას მიზანდაკარგულად .მიიჩნევენ.

საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობა.

ყოველივე ამის შემდეგ რაოდენ სასიხარულოა შეხვდე ახალგაზრდებს, ახალგაზრდა ინტელიგენტებს მუშათა და გლეხთა წრიდან, რომლებსაც პირველად მიეცათ საშუალება საბჭოური განათლების მისაღებად. როგორ მტკიცედ, თავდაჯერებულად, მშვიდად იქცევიან ისინი ცხოვრებაში. ისინი თავს გრძნობენ ბრძნული მთლიანის ორგანულ ნაწილად. მომავალი მათ წინაშე სწორ გზასავითაა გადაშლილი, რომელიც შესანიშნავ ლანდშაფტს კვეთს. მოჩვენებითი არაა ის გულუბრყვილო სიამაყე, რომლითაც ისინი გამო-

დიან კრებებზე, ანდა ვინმესთან ბედნიერ ცხოვრებაზე საუბრობენ. მათი ბაგეებიდან სინამდვილეში გასისმის ის, რითაც სავსეა მათი გულები. როდესაც ამ რამდენიმე წლის წინ ფაბრიკის მუშა, დღეს კი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი გოგონა მეუბნება. „წინათ რუსულად ერთი ფრაზის სწორად დაწერაც არ შემეძლო, დღეს კი შემიძლია გეკამათოთ გერმანულ ენაზე ამერიკაში საავტომობილო ფაბრიკის ორგანიზაციაზე“, ანდა, როდესაც სოფლელი გოგონა კრებას მოახსენებს: „ოთხი წლის წინ მე არ ვიცოდი წერა-კითხვა, დღეს კი ფოიხტვანგერის მის წიგნებზე გერმანულად ვესაუბრებიო“, — ამ შეთხვევაში მათი სიხარული კანონზომიერია. იგი გამომდინარეობს საბჭოური სინამდვილის ისეთი ღრმა ალიარებიდან და ამ სინამდვილეში მათი საკუთარი ადგილის ისეთი გაგებიდან, რომ ბედნიერების მათეული განცდა მსმენელსაც გადაეცემა.

დასავლეთის ქვეყნების სტატისტიკის მიხედვით მუშათა და გლეხთა ფენიდან გამოსულ სტუდენტთა რაოდენობა ძალზე მცირეა. აქედან თავისთავად გამოგვაქვს დასკვნა, რომ დასავლეთში ნიჭიერი ხალხის დიდი ნაწილი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომაა განწირული უმეცრებისათვის, რომ მათ ხელმოკლე მშობლები ჰყავთ, ეს იმ დროს, როდესაც მრავალ უნიჭოს, რომელთა მშობლებსაც ფული აქვთ, ძალით აიძულებენ სწავლას. ალფრთოვანებით უყურებ მილიონობით საბჭოთა ადამიანს, რომლებიც ჯერ კიდევ ოცი წლის წინ არსებულ პირობებში უკიდურესი უმეცრებისათვის იყვნენ განწირულნი, დღეს კი, როცა მათ წინ კარი გაიღო, უმაღლეს სასწავლებლებში ალტაცებით მიისწრაფვიან. საბჭოთა კავშირმა ისევე გამოიყენა უქმად მყოფი სასარგებლო წიაღისეულის უზარმაზარი მარაგები, როგორც ცხრაკლიტულში მთვლემარე ინტელიგენციის დიდი ძალები.

პროლეტარები და გლეხები ხალასი ახალგაზრდული გონებით, დაუოკებელი სიხარბით ეწაფებიან მათთვის ახალ მეცნიერებებს, ითვისებენ და გონებაში ჩარშავენ მათ. ხოლო ის უშუალობა, რომლითაც ისინი იწოვენ სამოცთასი წლის განმავლობაში დაგროვილ ცოდნას და რომლითაც მასში ახალსა და შოუელოდნელს ავნებენ, ახალისებს იმათ, ვინც ომის დროიდან მოყოლებული ყოველივე განცდილის შემდეგ სასოწარკვეთას უნდა მისცემოდა ადამიანთა ცივილიზაციის უმომავლობის გამო.

ანდრე ჟიდი ყვება ამ ახალგაზრდობის ეპეკებზე. იგი წერს, თუ როგორ ეკითხებოდნენ მას — იყო თუ არა პარიზში მეტრო, თუ როგორ არ უნდოდათ მისთვის დაეჯერებინათ, რომ საფრანგეთში უჩვენებდნენ რუსულ ფილმებს, თუ როგორ ქედმაღლურად და ავდებულად განუცხადეს მას, რომ ზედმეტი გარჯაა უცხო ენების შესწავლა, რადგან საზღვარგარეთ მეტს ველარაფერს შეისწავლიო. რამდენადაც საბჭოთა გაზეთები ძალიან ხშირად ადარებენ მოსკოვის მეტროს საზღვარგარეთისას, რამდენადაც ისინი ყოველთვის გამოხატავენ სიხარულს საფრანგეთში მათი ფილმების ჩვენების გამო, ამდენად ცხადია, რომ ანდრე ჟიდს შეხვედრა მოუწია თავიანთ გარემოში გიმნაზიელის რამდენიმე სულელ და უტიფარ ჭაბუკთან. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთ კითხვებს არ მაძლევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ახალგაზრდებს ბევრჯერ ვესაუბრე. გაოცებული ვიყავი იმის მხილველი თუ რამდენმა სტუდენტმა იცოდა გერმანული, ინგლისური ან ფრანგული ენები, უფრო მეტიც, ორი და სამი ენა ერთდროულად.

საბჭოთა მკითხველი.

ჭეშმარიტ სიხარულს მწერალს იმის განცდა ჰგვრის, როდესაც ხედავს, რომ მისი წიგნები ამ ახალგაზრდების ბიბლიოთეკებშია. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს დაინტერესებული მკითხველი ცნობისმოყვარე კითხვებით რომ მიმართავს ავტორს. თუმცა, დასავლეთში წიგნების კითხვა, უმეტეს შემთხვევაში, დროის კულტურულ გატარებად, ფუფუნებად ითვლება. მაგრამ საბჭოთა მკითხველისათვის თითქოსდა არ არსებობს საზღვრები სინამდვილესა, რომელშიც იგი ცხოვრობს და მის წიგნთა სამყაროს შორის. თავისი წიგნების პერსონაჟებს იგი ეპყრობა, როგორც ცოცხალ ადამიანებს, გარს რომ არტყიან მას, კამათობს მათთან, ტუქსავს მათ, რეალურობას ხედავს წიგნში აღწერილ მოვლენებში და მისი პერსონაჟების ქცევაში. ფაბრიკებში მკითხველთა კოლექტივებში არაერთხელ მომიწია ჩემს წიგნებზე მსჯელობა, იქ იყვნენ ინჟინრები, მუშები, მოსამსახურეები — ისინი კარგად იცნობდნენ ჩემს წიგნებს, ზოგიერთ ადგილს უკეთესადაც კი, ვიდრე

მე თვითონ. მათთვის პასუხის გაცემა ყოველთვის ადვილი არ იყო. ახალგაზრდა მუშა და გლეხი ინტელიგენტები იძლეოდნენ სავსებით მოულოდნელ კითხვებს, თავიანთ შეხედულებებს იცავდნენ მოკრძალებით, მაგრამ შეუპოვრად და მტკიცედ. ისინი ავტორს არ-თმევენ იმის შესაძლებლობას, რომ ესთეტიკის კანონების, ლიტერატურული ტექნიკისა და პოეტური თავისუფლების კანონებს მიღმა დაიმალოს. ავტორმა შექმნა თავისი ადამიანები, იგი მათ გამო აგებს პასუხს და თუ იგი თავისი ახალგაზრდა მკითხველების თავაზიან, მაგრამ მტკიცე შეპასუხებებსა და ეპვებზე მთლად მართალ პასუხებს ვერ იძლევა, მაშინ მკითხველები მყისვე აგრძნობინებენ თავიანთ უკმაყოფილებას. ასეთ აუდიტორიასთან საუბარი ძალიან სასარგებლოა.

გადამდები სიხარული.

დიახ, ეს ახალგაზრდობა თავის ირგვლივ ავრცელებს ძალისა და ბედნიერების გადამდებ განცდებს. მათი შემხედვარე რწმუნდები საბჭოთა მოქალაქეების რწმენაში თავიანთ მომავლისადმი, რწმენაში, რომლის მეოხებითაც ისინი ცდილობენ თვალი აარიდონ დღევანდელობის ნაკლოვანებებს.

დღევანდელი მოსკოვის სურათი.

უკვე ვთქვი, თუ რა უღიმღამო და ვიწრო ბინებში ცხოვრობენ მოსკოველები. მაგრამ მათ ესმით, რომ საბინაო მშენებლობა წარმოებს პრინციპით: ჯერ საზოგადოებისათვის, შემდეგ კი თითოეულისათვის. საზოგადოებრივი შენობებისა და დაწესებულებების წარმოსადეგი იერსახე გარკვეულწილად უნაზღაურებს მათ ამ დანაკლისს. მუშათა და მოსამსახურეთა კლუბები, ბიბლიოთეკები, პარკები, სტადიონები — ყველაფერი ეს მდიდრულია, ფართეა და ლამაზი. საზოგადოებრივი შენობები მონუმენტურია და ელექტროფიცირების წყალობით მოსკოვი ღამით ისე ბრწყინავს, როგორც არცერთი ქალაქი მსოფლიოში. მოსკოველი დროის უმეტეს ნაწილს საზოგადოებრივ ადგილებში ატარებს, მას უყვარს ჭუჩა, სიამოვნებით დადის კლუბებში და სხდომათა დარბაზებში, იგი მგზნებარე მოკამათეა, უფრო დისკუსია იზიდავს, ვიდრე ჩუმი ფიქრი. კლუ-

ბას მყუდრო ოთახები ეხმარება მას იოლად გადაიტანოს ულაზათო შინაურული გარემოცვა. ულიმლამო საცხოვრებელი პირობებით გამოწვეულ საკუთარი დარდის ნუგეშს ისინი ხედავენ დაპირებაში: მოსკოვი გახდება საუცხოო ქალაქიო.

მოსკოვი გახდება საუცხოო ქალაქი.

ეს, დაპირება ცარიელი ლოზუნგი რომ არაა, ცხადყოფს ის ენერგია, რომლითაც ეს ორი წელია ხელი მოჰკიდეს მოსკოვის სრულ განაშენიანებას. დიახ, გონივრული დასაწყისი, რამაც თავისი ბეჭედი დაასვა საბჭოთა კავშირის მთელ ცხოვრებას, განსაკუთრებით თვალნათლივ ვლინდება მოსკოვის რეკონსტრუქციის დიდებულ გეგმაში. მართლაც, არსად ისე სრულად და ღრმად არ იხსნება საბჭოთა სახელმწიფოს არსი, როგორც ეს ხდება სამშენებლო გამოფენაზე გამოტანილ მომავალ მოსკოვის მოდელზე.

ცალკეული ნაგებობები.

თუმცა ცალკეულ არქიტექტორთა პროექტები, რომელთა ნახატაც შეიძლება მოსკოვის სამშენებლო გამოფენაზე, სხვაგან ნანახზე არც ცუდია, არც უკეთესი. შემოქმედებით-რევოლუციური თვალთახედვით მე მომეწონა მხოლოდ სამი არქიტექტორის ნამუშევარი; სხვათა ნამუშევრებში მრავლადაა ეკლექტიზმი და კლასიციზმი, ნაკლებად რომ მაღელვებს. მაგრამ საკვლევით სხვანაირად წარმოგიდგებათ საბჭოთა ქვეყნის მშენებლობის სურათი, როდესაც მოუახლოვდებით გეგმებს და მოდელებს, რომლებიც უჩვენებენ, თუ როგორ იქნა საბჭოთა მშენებლების მიერ ხელახლა აშენებული ან რეკონსტრუირებული ქალაქები და როგორ წარმოუდგენიათ საბჭოთა მშენებლებს თავიანთი სამომავლო ამოცანები.

მოსკოვის დაგეგმარება.

ამ სახის საქმეთაგან ყველაზე გრანდიოზულია მოსკოვის რეკონტრუქცია. ცნობილია, რომ რევოლუციის წლებიდან მოყოლებული მოსკოვში მიმდინარეობს მშენებლობა, ყველგან განუწყვეტლივ თხრიან, გაპყავთ შურფები, აკაკუნებენ, აშენებენ, ძველი ქუჩები ინგრევა და ჩნდება ახალი, რაც დღეს დიდად ეჩვენე-

ბოდათ, ხვალ უკვე ეპატარაგებათ, ვინაიდან გვერდით უცბად კოშკი აღიმართება. ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება. სახკომსაბჭომ მხოლოდ 1935 წლის ივლისში გადაწყვიტა მოეწესრიგებინა ეს საქმე, მან გადაწყვიტა ისევე გეგმაზომიერად შეეცვალა ქალაქის იერსახე, როგორც საბჭოთა კავშირის მთელი სტრუქტურისა. ყველაფერი ეს უნდა გაკეთებულიყო ათ წელიწადში. ის რაც უნდა გაკეთდეს მომავალ რვა წელიწადში, ამას გვიჩვენებს მომავალი მოსკოვის მოდელი სამშენებლო ეამოფენაზე.

ახალი მოსკოვის მოდელი.

დგახარ პატარა ესტრადაზე გიგანტური მოდელის წინ, მოსკოვს რომ წარმოგვიდგენს 1945 წლისთვის, მოსკოვს, რომელიც დღევანდელს ისე უყურებს, როგორც ახალი მოსკოვი უყურებს მეფის დროინდელს, დიდი სოფელი რომ იყო. მოდელი ელექტროფიცირებულია და წამდაუწუმ ცვლადი ცისფერი, მწვანე, წითელი ელექტროხაზები უჩვენებენ ქუჩების, მეტროპოლიტენის, საავტომობილო გზების განლაგებას, მიუთითებენ თუ როგორი გეგმაზომიერებით მოეწყობა საბინაო მეურნეობა და დიდი ქალაქის მოძრაობა. ქალაქის გამყოფი უზარმაზარი დიაგონალები, წრიული მაგისტრალი ქალაქს რომ ანაწევრებს, ბულვარები, გაფდამკვეთი რადიალური მაგისტრალები, მთავარი და დამხმარე გზები, დაწესებულებები და საცხოვრებელი კორპუსები, სამრეწველო ნაგებობები და პარკები, სკოლები, სამთავრობო შენობები, საავადმყოფოები, სასწავლებლები და გასართობი ადგილები — ყველაფერი ეს დაგეგმარებულია და განაწილებულია გეომეტრიული სიზუსტით. არსად არცერთი მილიონიანი ქალაქი არ აშენებულა ისე საფუძვლიანად, ისე გეგმაზომიერად და ლამაზად, როგორც ახალი მოსკოვი შენდება. უამრავი პატარა მანათობელი წერტილი და ხაზი უჩვენებს: აქ იქნება სკოლები, საავადმყოფოები, ფაბრიკები, მალაზიები და თეატრები. მდინარე მოსკოვი გაივლის აქ, აქ კი გაკა ვოლგა — მოსკოვის არხი. აქ იქნება ხიდები, აქ კი მდინარის ქვეშ გავა გვირაბი, იქ გაიყვანენ გზებს პროდუქტის შემოსატანად, აი აქ კი გზა ყველანაირი სახის ტრანსპორტისათვის, აქედან მოვაწესრიგებთ ქალაქის წყალმომარაგებას, აქედან ელექტრომომარაგებას, აქ კი იქნება თბოცენტრალი.

რა უშლის ხელს ქალაქების დაგეგმარებას კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ყველაფერი ეს ისე გონივრულადაა ერთი მეორესთან დაკავშირებული, როგორც არსად მსოფლიოში. სხვა ქალაქებში მოთხოვნილების ზრდა ვლინდებოდა დროთა განმავლობაში და მხოლოდ ამის შემდეგ ცდილობდნენ ქუჩების გადაკეთებითა და მოძრაობის რეგულირებით გამოესწორებინათ წარმოქმნილი ხარვეზები. ყველაფერ ამას მეტნაკლებად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და არასდროს არ იყო არც გონივრული და არც სრულყოფილი. ამ ქალაქების აღმოცენება და განვითარება არა მარტო ორგანული არ იყო, არამედ მოთხოვნილებათა შემდგომი მოწესრიგებაც ძნელდებოდა და მარცხისათვის იყო განწირული, რადგან უამრავ კერძო პირთა ინტერესებთან უხდებოდა შეჯახება. თანაც არ არსებობდა ავტორიტეტული ორგანიზაცია, რომელიც უგულებელყოფდა კერძო. ინტერესებს და მათ მსხვერპლად შესწირავდა საზოგადოების კეთილდღეობას. ყველგან მიწათმფლობელების წინააღმდეგობა ფუშავდა ქალაქების გონივრულ დაგეგმარებას. პრეფექტი ოსმანი, ვინც პარიზი ხელახლა დააგეგმარა XIX საუკუნის შუახანებში, ყვება: „ინჟინერ ბელგრანის პარიზის წყლით მომარაგების პროექტის განსახორციელებლად საჭირო იყო მდინარეების სომასა და სუდის ზედაწელის შეძენა. მაგრამ კერძო მფლობელები ვერაფრით დაიყოლიეს და ეს საქმე ჩაიშალა“. 1923 წელს, როდესაც აღადგენდნენ მიწისძვრისაგან დანგრეულ ტოკიოს, 120 ჰექტარი მიწისთვის, რაც საჭირო იყო საერთო ტერიტორიის გასაფართოებლად და რომელიც მთელი გამოყენებული ფართობის მხოლოდ მეოთხედ ნაწილს შეადგენდა, კერძო მფლობელებს გადაუხადეს ორმოცი მილიონი იენი და ამით ქალაქის გაფართოების თავდაპირველ დაგეგმარებაზე ხელი აიღეს.

მოსკოვის დადეგმარების უპირატესობანი.

მომავალმა მოსკოვმა არ იცის ასეთი დაბრკოლებები. მისი დადეგმარება არ ხვდება ისეთ წინააღმდეგობებს, როგორიცაა არსებულ, მაგრამ უკვე დრომოწმულთან შეგუება. პირიქით, აქ თავი-

დანვე ყველაფერი შენდება მიზანშეწონილად, გეგმიურად, გონივრულად, გააზრებულად.

ცალკეული დეტალები.

თხუთმეტიდან ოც კილომეტრამდე სიგრძის სამი დიაგონალური და ამდენივე ახალი რადიალური მაგისტრალის გაყვანა, ორი პარალელური ქუჩის გაშენება, წითელი მოედნის ორჯერ გაფართოვება, საცხოვრებელი კორპუსების განლაგება, სახანძრო თვალსაზრისით საშიში და მავნე საწარმოების გადატანა, განიერი სანაპიროების, თერთმეტი ახალი ხიდისა და ახალი რკინიგზის ხაზების მშენებლობა, თბოცენტრალების განაწილება, 530 ახალი სკოლის შენობის, 17 დიდი ახალი საავადმყოფოს და 27 ამბულატორიის, 9 ახალი უზარმაზარი უნივერმაღის მშენებლობა, ქალაქის ტერიტორიის გაფართოება 32 ათასი ჰექტარით, პარკებისა და ტყეების დამცავი ათკილომეტრიანი სიგანის მძლავრი სასარტყელე მასივის სარეკვლის ჩაყრა, რკალად რომ შემოერტყმება ქალაქს, 52 სარაიონო პარკის გაფართოვება ქალაქის ფარგლებში და 13 პარკისა გარეუბნებში — ყველაფერი ეს ისე ზუსტადაა გათვლილი, ისე გონივრულადაა ურთიერთდაკავშირებული, რომ ყველაზე ფხიზელი დამკვირვებელიც კი უნდა აღაფრთოვანოს პროექტის მასშტაბურობამ და სილამაზემ.

ამ პროექტის ინიციატორები არიან ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი და იოსებ ბესარიონის ძე სტალინი.

კიდევ ერთხელ მოდელის თაობაზე.

დიახ, შეუდარებელ ესთეტიკურ სიამოვნებას განიცდი ისეთი ქალაქის მოდელის დათვალიერებისას, რომელიც საფუძვლიდანვე აგებულია გონების კანონების მიხედვით, — ერთგვარად უპირველესი ქალაქისა მას შემდეგ, რაც ხალხი წერს ისტორიას. დგახარ და უყურებ გიგანტურ მოდელს, არქიტექტორები კი განმარტებას იძლევიან. 1935/1936 წლებში აქა და იქ ჩვენ ვგეგმავდით სკოლების მშენებლობას და შესაბამის ადგილებში ინთება ელექტროწერტილები, ფაქტიურად კი აი რამდენი ავაშენეთ და უფრო მეტი ნათურა ინთება. წლის პირველ ნახევარში აქა და აქ გვინდოდა

საავადმყოფოების აშენება, ფაქტიურად კი ავაშენეთ — და კვლავ შუქები ინთება, უფრო მეტი, ვიდრე დაპროექტებული იყო. თუ მოდელის, ქალაქის ცალკეული კვარტალების დაწვრილებით დათვალიერება გინდათ, მოდელი ავტომატურად იხსნება, მიდიხარ, აქეთ-იქით ათვალიერებ მომავალ ქალაქს, ირჩევ შენთვის საყვარელ ადგილებს.

წინათ და ახლა.

გახარებს იმის შეგნება, რომ ეს მოდელი სათამაშო არაა, რომ იგი დასავლეთელი არქიტექტორის ფანტასტიკური უტოპია კარაა, რომ იგი რვა წელში სინამდვილედ იქცევა. ასეთი რწმენა ეფუძნება იმ შეგნებას, თუ რამდენია უკვე გაკეთებული და რამდენად განსხვავდება ახლანდელი მოსკოვი წინანდელისაგან. უკანასკნელი მეფის დროს მოსკოვში ასფალტი ან ქვაფენილი ეგო ქუჩებისა და ზოედნების 200 ათას კვ. მეტრზე, ახლა კი — 3200000 კვ. მეტრზე აგია. ძველ მოსკოვში ერთ სულ მოსახლეზე დღეში წყლის მოხმარება შეადგენდა 60 ლიტრს, ახლა 160 ლიტრს (ბერლინელი მოიხმარს 130 ლიტრს), ძველ მოსკოვს მსოფლიოში მიმოსვლის ყველაზე ჩამორჩენილი საშუალებები ჰქონდა, ახლა კი თავისი ტრამვაის გაფართოებული ქსელით, თავისი ავტობუსებით, ტროლეიბუსებითა და თავისი შესანიშნავი მეტროთი საშუალოდ 550 კაც-მგზავრობით თითოეულ მცხოვრებზე მსოფლიოს ქალაქებს შორის პირველ ადგილზე დგას. პირველ ორ წელს, რომლებზედაც მოდიოდა უძნელესი ამოცანები, მოსკოვის მშენებლობის გეგმა განხორციელდა ას პროცენტზე ბევრად მეტად. ამრიგად, ეჭვი არაა, რომ მომავალი რვა წლისთვის დაგეგმილი ასევე განხორციელდება.

ყოველთვის ემსახურე მთლიანს!

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვნად მე მიმაჩნია არა ის, რომ ასეთ მოკლე დროში აშენდა და აშენდება სახლები, ქუჩები, შეიქმნება სატრანსპორტო საშუალებები. ყველაზე განსაცვიფრებელი და ახალი არის გეგმაზომიერება, მთლიანის გონივრულობა, ის რეალობა, რომ მხედველობაში მიიღება არა მარტო ცალკეული პირების, არამედ ჭეშმარიტად მთელი ხალხის მოთხოვნილებები, უფრო სწორედ,

მთელი გიგანტური სახელმწიფოსი, ვინაიდან მოსკოვის გეგმაში გათვალისწინებულია, რომ მცხოვრებთა რიცხვმა 5 მილიონს არ უნდა გადააჭარბოს. უკვე ახლავეა გაანგარიშებული, თუ სად წავა ზედმეტი მოსახლეობა. ამერიკაში ყველაზე დიდ ქალაქში ცხოვრობს მთელი მოსახლეობის ცხრა პროცენტი, საფრანგეთში — თორმეტი, ინგლისში თხუთმეტ პროცენტზე მეტი. საბჭოთა კავშირს, მრავალი გასაგები მიზეზების გამო, არ სურს რომ დედაქალაქის მცხოვრებთა რიცხვი უთავბოლოდ იზრდებოდეს, ამიტომ იგი თავიდანვე დედაქალაქის რაოდენობას მთელი მოსახლეობის 2,5 პროცენტით საზღვრავს.

შესრულების გარანტიები.

ფაშისტური ოთხწლიანი გეგმების ბუნდოვანი, ცარიელი დაპირებების გვერდით სიამოვნებას გგვრის იმ სიზუსტის ხილვა, რომლითაც აქ გათვალისწინებულია თითოეული დეტალი, ის წინდახედულება, რომლითაც მხედველობაში მიიღება წარმოების შესაძლებლობები და საჭირო მასალების მიწოდება, სინამდვილად ქცეული ამ შესაძლებლობების რეალობა.

„ქ. მოსკოვის რეკონსტრუქციის პროექტის" ოფიციალურ აღწერაში ნათქვამია: „ამ გეგმის განხორციელება მოითხოვს მთელი ძალების დაძაბვას, მაგრამ იგი განხორციელდება". ვინც ერთხელ ყოფილა მოსკოვში, იცის, რომ ეს გეგმა სინამდვილად იქცევა.

მოქალაქეთა ზოგიერთი ძირითადი უფლებები და მოვალეობები (კონსტიტუციიდან).

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-10 თავის „მოქალაქეთა ძირითადი უფლებების და მოვალეობების" 118-121 მუხლები ითვალისწინებს: „მუხლი 118. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ უფლება გარანტირებული სამუშაოს მიღებაზე რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად მისი შრომის ანაზღაურებაზე.

უფლება შრომაზე უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციით, საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალების განუხრელი ზრდით, სამეურნეო კრიზისების შესაძლებლობის აღმოფხვრით და უმუშევრობის ლიკვიდაციით.

მუხლი 119. სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ დას-

ვენებაზე. უფლება დასვენებაზე უზრუნველყოფილია მუშათა უმეტესობისათვის სამუშაო დღის შემცირებით 7 საათამდე, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ყოველწლიური შვებულებების შემოღებით ხელფასის შენარჩუნებით, მშრომელთა მომსახურებისათვის სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, კლუბების გადაცემით.

მუხლი 120. სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ სიბერეში მატერიალურ უზრუნველყოფაზე, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში. ეს უფლებები უზრუნველყოფილია მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური დაზღვევის ფართო განვითარებით სახელმწიფოს ხარჯზე, მშრომელების უფასო სამედიცინო დახმარებით, მშრომელების სარგებლობაში კურორტების ფართო ქსელის გადაცემით.

მუხლი 121. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ უფლება განათლებაზე. ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლებით, უფასო სწავლებით, უმაღლესი განათლების ჩათვლით, სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით უმაღლესი სკოლის მოსწავლეთა უმეტესობისათვის, სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორების სადგურებში და კოლმეურნეობებში მშრომელების უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლებით".

სიახლე საბჭოთა კონსტიტუციაში.

როგორც აქედან ნათლად ჩანს, დემოკრატიული ქვეყნების ჩვეულებრივ კონსტიტუციებსა და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ დასავლეთის ქვეყნების კონსტიტუციებში მართლაც ლაპარაკია მოქალაქეების უფლებებსა და თავისუფლებებზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი მათი განხორციელების საშუალებებზე. სსრ კავშირის კონსტიტუციაში ჩამოთვლილი ფაქტები კი, ჭეშმარიტი დემოკრატიის წინამძღვრებია. გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე ხომ შეუძლებელია აზრის თავისუფალი ფორმირება, ხოლო უმუშევრობის, ღატაკური სიბერისა და შვილების მომავლის შიში თავისუფლების ბოროტი მტერია.

ფარატინა ქაღალდი ცი არა რეალურობა.

კამათი შეიძლება იმის თაობაზე, რომ განხორციელდა თუ არა საბჭოთა კონსტიტუციის ყველა 146-ვე მუხლი, თუ ზოგიერთი ქაღალდზე დარჩა მხოლოდ? უდავოა, რომ მოყვანილი ოთხი მუხლი, — მე კი ისინი ხორცშესხმული დემოკრატიის წინამძღვრად მესახება, — გამოხატავს არა ცარიელ ფრაზებს, არამედ არსებულ სინამდვილეს. მთელი მოსკოვი რომ მოიარო, საეჭვოა სადმე ამ მუხლების საწინააღმდეგო რაიმე აღმოაჩინო.

კიდევ ერთხელ საბჭოთა მოქალაქეების ბედნიერ ცხოვრებაზე.

თუ დავუპირისპირებთ ამ ფაქტს იმას, რასაც მე ზევით ვამბობდი, მაშინ შეიძლება შემდეგ დასკვნამდე მივიდეთ: ამჟამად საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ მყოფი მრავალი ქვეყნის საშუალო მოქალაქე ჯერ კიდევ უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე მისივე მდგომარეობის ადამიანი საბჭოთა კავშირში. მაგრამ ასეთი ცხოვრება მერყეულ ნიადაგზეა აგებული. ამის გარდა, გარემომცველი, ენით აღუწერელი გაჭირვების ხილვა მრავალს ცხოვრების სიკეთით ტკბობაში მძიმე ტვირთად აწევს. მართალია, საბჭოთა საშუალო მოქალაქე უცხოელებთან შედარებით ჯერ კიდევ უარესად ცხოვრობს, მაგრამ იგი უფრო მშვიდად, თავისი ბედით უფრო კმაყოფილად, უფრო ბედნიერად გრძნობს თავს.

თავი II

კონფორმიზი და ინდივიდუალიზმი

მოსკოველთა „მოდუნებულობა".

მწერალ ანდრე ჟიდს წარუდგინეს მუშა „სტახანოველი" — რეკორდსმენი, რომელმაც, როგორც უთხრეს ჟიდს, „ხუთ საათში შეასრულა რვა დღის ნორმა, თუ რვა საათში შეასრულა ხუთი დღის ნორმა, ახლა ზუსტად ალარ მახსოვს. მე ვიკითხე, — აგრძელებს ჟიდი, — ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ წინათ ეს ადამიანი 8 დღეს ანდომებდა ხუთსაათიანი სამუშაოს შესრულებას". ჟიდს გაუკვირდა, რომ მისი ეს კითხვა ცივად მიიღეს და არაფერი უპასუხეს. ამ საბაბით ჟიდი ფიქრობს „მოსკოველთა" მოდუნებულობაზე. შეტისმეტად უკმეხი იქნებოდა ამისათვის „სიზარმაცე" გვეწოდებინა, ამატებს იგი როგორც ობიექტური დამკვირვებელი. თუმცა ჟიდს მიაჩნია, რომ ქვეყანაში, სადაც ყველა მუშა ნამდვილად მუშაობს, სტახანოვური მოძრაობა ზედმეტია. მაგრამ მათთან, საბჭოთა კავშირში, ამბობს იგი, ადამიანები, რომლებიც თავიანთ ნებაზე არიან მიშვებულნი, სწრაფად კარგავენ ორგანიზებულობას, ამიტომაც ზარმაცების შესაფუცხუნებლად სტახანოვური მოძრაობა მოიგონესო, ადრე კი ამისათვის მათრახს იყენებდნენო.

შრომისმოყვარეობა.

საოცარ დაკვირვებებს ახდენს ანდრე ჟიდი. რაც შემეხება მე, უნდა ვთქვა, რომ თვალში მომხვდა მოსკოველთა სწორედ განსაკუთრებული გერგილიანობა, აქტიურობა, შრომისმოყვარეობა. ისინი ქუჩებში დაიარებიან გულისყურიანი გამომეტყველებით. მწვანე შუქის ანთებაზე სწრაფი ნაბიჯით კვეთენ ქუჩას, მგზიდროვდებიან მეტროს საფეხურებზე, სწრაფად ადიან ტრამვაიში, ავტობუსში, ჭიანჭველებივით ყველგან ფუსფუსებენ. ფაბრიკებში თითქმის არ-

სად მინახავს, რომ მუშებს საქმიდან თავი აეღოთ და მომსვლელისთვის შეეხედოთ, ისე ძლიერად იყვნენ ისინი ჩანთქმულნი თავიანთ საქმეებში. აღარას ვამბობ იმათზე, ვისაც რამდენადმე საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავია. ისინი თითქმის არ კარგავენ დროს ჭამაში, მათ თითქმის არ სძინავთ და არაფერს უჩვეულოს არ ხედავენ იმაში, რომ თეატრში წარმოდგენის დროს გამოიძახონ ტელეფონით და დაუსვან რაიმე გადაუდებელი კითხვა, ანდა გამთენიისას 3-4 საათზე დაურეკონ სახლში. მე ძრსად მინახავს ამდენი დაულალავი ადამიანი, რამდენიც მოკოვში. მეორეს მხრივ, წუხილით ვიტყვი, რომ ამ ადამიანებზე გავლენას ახდენს დაქანცვის მავნე შედეგები, მუშაობა მთლიანად ფიტავს მათ. თითქმის ყველა მოსკოველი, ვისაც საპასუხისმგებლო პოსტები უკავია, საკუთარ ასაკზე უფროსად გამოიყურება. თუ ნიუ-იორკში და ჩიკაგოში ვერსად გადავაწყდი მუშაობის ამერიკულ ტემპს, მე ის მოსკოვში ვნახე.

შრომა.

უკვე დრო იყო წერტილი დასმოდა ამ „fable convenue“ [1] რუსი ადამიანის სიზარმაცეზე. ხალხი, რომელიც ჯერ კიდევ ოცი წლის წინ თითქმის ილრმობოდა სიღარიბეში, ჭუჭყში და უმეცრებაში, ამჟამად ფლობს მაღალ განვითარებულ მრეწველობას, რაციონალიზებულ სოფლის მეურნეობას, ხელახლა აშენებულ და რეკონსტრუირებულ მრავალ ქალაქს. გარდა ამისა მთლიანად დაძლეულია წერა-კითხვის უცოდინრობა. ბუნებით ზარმაც ადამიანებს განა შეუძლიათ ასეთი სამუშაოების შესრულება? დავუშვათ, რომ საბჭოთა კავშირს გაუმართლა და წარმოაჩინა არაჩვეულებრივად ნიჭიერი ბელადები. ყველა გენიოსი, რომლებიც კი კაცობრიობას უშვია საუკუნეების მანძილზე, მოსკოვში რომ შეკრებილიყო ამ ოც წელიწადში, ისინიც კი ვერ აიძულებდნენ ბუნებით ზარმაც ადამიანებს ,განეხორციელებინათ ასეთი გიგანტური სამუშაოები. ამიტომაც იყო, რომ მუშები და გლეხები, აქამდე რომ ქედს უხრიდნენ კაპიტალისტებსა და შემამულეებს, მიაჩნდათ რა შრომა მძიმე უღლად, ესწრაფვოდნენ მისგან გათავისუფლებას. შრომი-

[1] გავრცელებული ფონაჩმახი- რედ.

სადმი მათი დამოკიდებულება ძირეულად შეიცვალა მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ საკუთარი შრომის მათთვისვე სარგებლიანობაში.

განაწილება სიმდიდრისა და არა სიღარიბისა.

ანდრე ჟიდი და მასთან ერთად ბევრი სხვაც გაოცებულია საბჭოთა კავშირში მატერიალური უთანაბრობის გამო. მე კი მისი გაოცება მაკვირვებს. სავსებით გონივრულია, რომ საბჭოთა კავშირი მანამდე, სანამ იგი არ განახორციელებს დასრულებული კომუნიზმის იდეალურ პრინციპს: „...თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით", მანამდე მისდევს სოციალისტურ პრინციპს: „...თითოეულს მისი შრომის მიხედვით". ჩემი აზრით, სოციალიზმის ამუნებისას, საკითხი უნდა დაისვას არა სიღარიბის, არამედ სიმდიდრის განაწილებაზე. მაგრამ მე არ ვიცი, თუ რა გზით მიიღწევა ოდესმე სიმდიდრის განაწილება. ღარიბულ ცხოვრებას აიძულებენ მათ, ვისგანაც მოელიან შრომის მაღალნაყოფიერებას, რაც არასასურველად იმოქმედებს მათს შრომისუნარიანობაზე. თეზისი იმის ესახებ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ყველა მოქალაქემ უნდა იცხოვროს ღარიბულად, უკიდურეს შემთხვევაში ძალიან მოკრძალებულად მანამდე, სანამ ყველას არ ექნება კარგად ცხოვრების შესაძლებლობები,—მიმაჩნია პირველყოფილი ქრისტიანული წარმოდგენების ატავისტურ გადმონაშთად და უფრო ღვთისთაყვანისმცემლურია, ვიდრე გონივრული. ასეთი შეხედულებების ადამიანები მე მაგონებენ ერთ ჩემს ნათესავს, მოხუცებულ ბავარიელ ჩინოვნიკს, რომელსაც მსოფლიო ომის დროს ცარიელ იატაკზე ეძინა იმიტომ, რომ სანგრებში მსხდომ მეომრებს ქვეშაგები არა აქვთო.

უკლასო საზოგადოება.

უსაფუძვლო მგონია იმის შიში, რომ მატერიალურმა უთანასწორობამ შეიძლება აღადგინოს სულ ახლახან მომსპარი კლასები. უკლასო საზოგადოების ძირითადი პრინციპი ხომ ისაა, რომ თითოეულს — დღიდან თავისი გაჩენისა — განათლების მიღებისა და პროფესიის არჩევის ერთნაირი შესაძლებლობა აქვს და ამის შე-

დეგად თითოეულს იმისი რწმენა უჩნდება, რომ ცხოვრებაში ადგილს მონახავს თავისი უნარის შესაბამისად. ეს ძირეული პრინციპი კი — რაზედაც არ კამათობენ საბჭოთა სახელმწიფოს ყველაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგენიც კი — სსრ კავშირში განხორციელებულია. ამიტომაც იყო, რომ მოსკოვში მე არსად მინახავს მონური მორჩილება. სიტყვა „ამხანაგო"! — ლიტონი სიტყვა არაა. მეტროს გვირაბიდან ამოსული მშენებელი მუშა თავს მართლაც სახალხო კომისრის თანაბარ ამხანაგად გრძნობს. ჩემი დაკვირვებით, დასავლეთში გლეხებისა და პროლეტარების განათლებამიღებული შვილები ხაზს უსვამენ თავიანთ გადასვლას მაღალ ფენებში და ყოფილი კლასობრივი ამხანაგებისაგან თავი შორს უჭირავთ. საბჭოთა კავშირში გლეხობიდან და მუშებიდან გამოსულ ინტელიგენტებს მჭიდრო კონტაქტი აქვთ თავიანთ ძველ წრესთან.

ორი კლასი-მებრძოლები და მომუშავენი.

თუმცა საბჭოთა კავშირში ერთი დაყოფა მაინც შევნიშნე. სსრ კავშირის ახალი ისტორია მკაფიოდ იყოფა ორ ეპოქად,—ბრძოლისა და მშენებლობის ეპოქებად. ამ დროს კარგი მებრძოლი ყოველთვის არ არის კარგი მშრომელი და სავსებით ჯრაა აუცილებელი, რომ სამოქალაქო ომის დროს დიდი საქმეების შემოქმედი ადამიანი გამოსადეგი იყოს მშენებლობის დროსაც, თუმცა ბუნებრივია, რომ თითოეული, ვისაც დამსახურებანი მიუძღოდა საბჭოთა კავშირის შექმნის საქმეში, შემდგომშიც აცხადებდა პრეტენზიებს მაღალ პოსტებზე. ამიტომაც იყო, რომ ქვეყნის მშენებლობაზე პირველ რიგში მიზიდული იქნენ დამსახურებული მებრძოლები, თუნდაც იმიტომ, რომ მათი საიმედოობა ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ ახლა სამოქალაქო ომი კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა. უხეირო მუშაკებად გამომდგარი ძველი კარგი მებრძოლები დაკავებული პოსტებიდან გაათავისუფლეს და გასაგებია, რომ ბევრი მათგანი ახლა რეჟიმის მოწინააღმდეგე გახდა.

მავნებლები.

ბუნებრივია, რომ რაც არ უნდა წარმატებით დამთავრებულიყო ხუთწლიანი გეგმები, მათი განხორციელება სიძნელეებს მაინც

გადააწყდებოდა, და აი ზოგიერთ სფეროში კიდევაც იქნა დაშვებული შეცდომები. ის ვინც მუყაითად, მთელი ძალების დაძაბვით მუშაობს, გრძნობს, რომ მას ხელს უშლის სხვისი უხეირო, უღიმღამო მუშაობა. ისინი ღიზიანდებიან. ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ისინი ანგარიშმოუცემლად მიაწერენ მავნებლობას მას, ვისაც არა აქვს დიდი საქმეების კეთების საკმაო ძალა და გამოცდილება.

სიმართლე.

ის, რომ მავნებლობის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ბევრნი წინათ რომ ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ — ოფიცრები, მრეწველები, კულაკები — მნიშვნელოვან უბნებზე გაძვრნენ და მავნებლობას მიჰყვეს ხელი. მაგალითად, თუ ამჟამად კერძო პირების ტყავით მომარაგების პრობლემა, განსაკუთრებით კი ფეხსაცმლის მწარმოებელთა მომარაგება ჯერ კიდევ ცუდადაა მოგვარებული, უეჭველია ამაში დამნაშავენი არიან ის კულაკები, რომლებიც თავის დროზე მავნებლობდნენ მესაქონლეობაში. ქიმიური მრეწველობა და ტრანსპორტი დიდხანს ზიანდებოდა მავნებლური აქციებისაგან. თუ ჯერ კიდევ ტარდება საგანგებო მკაცრი ზომები ფაბრიკებისა და მანქანა-დანადგარების დასაცავად, ამისთვის მრავალი არგუმენტირებული მიზეზი არსებობს.

გამონაგონი.

თუმცა მოსახლეობა თანდათან მოიცვა მავნებლობის ნამდვილმა ფსიქოზმა. მიეჩვევნენ მავნებლობით აეხსნათ ყველაფერი, რაც არ გამოუდიოდათ მაშინ, როდესაც წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ალბათ საკუთარ უუნარობაში უნდა ეძიათ.

მაგალითები.

ჩემთან სასტუმროში სადილობდა ერთი დიდი ჩინოვნიკი. ოფიციანტი ზოზინით გვემსახურებოდა. ჩემმა სტუმარმა გამოიძახა ადმინისტრატორი, რაღაც უსაყვედურა და შემდეგ ოფიციანტზე ხუმრობით უთხრა: „შეხედე, მაშ ეს მავნებელი ვრაა?“ მაგრამ ხუმრობა ალარაა, როდესაც კინორეჟისორისა თუ რედაქტორის სუსტი

მუშაობა აიხსნება მავნებლობით, ანდა როდესაც ამტკიცებენ, რომ წიგნში სოფლის მეურნეობის მშენებლობის თემაზე მოთავსებული ცუდი ილუსტრაციები უნდა მიეწეროს მხატვრის ბოროტ განზრახვას, რომელიც თავისი ნამუშევრებით ცდილობდა სახელი გაეტეხა სამეურნეო მშენებლობისათვისო.

კონფორმიზმი.

თვით ფაქტი, რომ ასეთი ფსიქოზი შეიძლებოდა ვაერცელებულიყო, მოწმობს იმ კონფორმიზმის არსებობას, რაშიც მრავალი საყვედურობს საბჭოთა კავშირს. კრიტიკოსების თქმით საბჭოთა ქვეყნის ადამიანები, პიროვნებაწართმეულნი არიან, მათი ცხოვრების წესი, მათი აზრები სტანდარტული, ნიველირებული, უნიფიცირებულია. „როდესაც ელაპარაკები ერთ რუსს, — ნათქვამია ჟიდთან, — ელაპარაკები ყველას“.

რა არის ამაში მართალი?

ასეთ მტკიცებებში სიმართლის მარცვალია. არა მარტო გეგმიურ მეურნეობას მოაქვს მოხმარების საგნების, ავეჯის, ტანსაცმლის, ყოველდღიური წვრილმანი ნივთების გარკვეული სტანდარტიზაცია სანამ მზა ნაკეთობათა წარმოება ჯერ კიდევ არაა მაღალ დონეზე განვითარებული, არამედ საბჭოთა ადამიანების მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება ფართო მასშტაბებშია სტანდარტიზირებული. კრებები, პოლიტიკური გამოსვლები, დისკუსიები, საღამოები კლუბებში — ყველაფერი ეს წყლის ორ წვეთივით წაგავს ერთმანეთს, პოლიტიკური ტერმინოლოგია კი ამ ვეებერთელა სახელმწიფოში ერთ თარგზეა გამოჭრილი.

სამი პუნქტი.

თუ ირგვლივ მიმოიხედავთ, აღმოჩნდება, რომ მთელი ეს აბადალებული „კონფორმიზმი“ დაყვანილია სამ პუნქტზე, სახელდობრ: კომუნიზმის ძირითად პრინციპებზე საერთო აზრის ქონაზე, საბჭოთა კავშირისადმი საყოველთაო სიყვარულზე და ყველას მიერ გაზიარებულ რწმენაზე, რომ ახლო მომავალში საბჭოთა კავშირი გახდება ყველაზე ბედნიერი და ძლიერი ქვეყანა მსოფლიოში.

კომუნიზმი და საბჭოთა პატრიოტიზმი.

ბატონობს ერთიანი აზრი იმაზედ, რომ სჯობია, როდესაც წარმოების საშუალებები კერძო საკუთრება კი არა, საერთო სახალხო ქონებაა. მე ვერ ვიტყვი, რომ ასეთი კონფორმიზმი მთლად ცუდი იყოს. დიახ, გულახდილად რომ ვთქვათ, ნათელია, რომ იგი სულაც არაა ცუდი იმ გაბატონებულ აზრზე, რომ ორი სიდიდე, ცალ-ცალკე მესამეს რომ უდრის, ერთმანეთის ტოლია. საბჭოთა ადამიანების სამშობლოსადმი სიყვარულში, რომელიც თუმცა ყოველთვის გამოხატულია ერთნაირ, ხანდახან საკმაოდ გულუბრყვილო ფორმებში, ვერაფერს ვხედავ საძრახისს. პირიქით, უნდა გამოვტყდე, რომ მე კიდევაც მიზიდავს საბჭოთა ადამიანების გულუბრყვილო პატრიოტული პატივმოყვარეობა. ახალგაზრდა ხალხმა წარმოუდგენელი მსხვერპლის ფასად შექმნა გრანდიოზული და აი, იგი დგას თავისი ქმნილების წინ, თავად რომ მისი მთლიანად ჯერ კიდევ არ სჯერა, ხარობს მიღწეულით და ელოდება, რათა უცხოელებმაც დაუდასტურონ მას, თუ რა შესანიშნავი და დიადია ეს მონაპოვარი.

ბოლშევიკური თვითკრიტიკა.

მაგრამ ამდაგვარი საბჭოთა პატრიოტიზმი არანაირად არ გამორიცხავს კრიტიკას. „ბოლშევიკური თვითკრიტიკა"-ეს არანაირად არაა ცარიელი სიტყვები. გაზეთებში გვხვდება მძაფრი თავდასხმები შრავალ ნამდვილად არსებულ და სავარაუდო ნაკლოვანებაზე, ასევე ხელმძღვანელ პირებზე, რომლებიც თითქოსდა პასუხისმგებლები არიან ამ ხარვეზებისათვის. მე გაოცებული ვუსმენდი როგორ მწვავედ აკრიტიკებდნენ საწარმოო თათბირებზე წარმოების ხელმძღვანელებს და გაკვირვებული ვათვალიერებდი კედლის გაზეთებს, რომლებშიც მოურიდებლად ლანძღავდნენ, ანდა კარიკატურებს უხატავდნენ დირექტორებსა და სხვა პასუხისმგებელ პირებს. არც უცხოს უკრძალავდნენ თავისი აზრის გულახდილად გამოთქმას. უკვე ვახსენე, რომ საბჭოთა გაზეთები ცენზურაში არ ატარებდნენ ჩემს სტატიებს, ისეთებსაც კი, რომლებშიც მე ვწუხდი შეუწყნარებლობაზე ზოგიერთ სფეროში, სტალინის ზომაგადასულ კულტზე, ანდა მოვითხოვდი მეტი სიცხადის შეტა-

ნას დიდი პოლიტიკური პროცესის წარმართვისას. უფრო მეტიც, გაზეთები იმაზე ზრუნავდნენ, რომ თარგმნილში მაქსიმალური სიზუსტით გადმოეცათ ჩემი უარყოფითი გამონათქვამების მთელი სპექტრი. ქვეყნის ხელმძღვანელები, ვისთანაც კი ვისაუბრე, გამონაკლისის გარეშე ყველანი უფრო საწინააღმდეგო აზრის მოსამენად იყვნენ განწყობილნი, ვიდრე ფარისევლური შექებისათვის. საბჭოთა კავშირში ხალისით ადარებენ საკუთარ მიღწევებს დასავლეთისას, ადარებენ სამართლიანად, ზოგჯერ ზედმეტად სამართლიანადაც და თუ საკუთარი მიღწევა ჩამოუვარდება დასავლეთურს, არ ეშინიათ ამის აღიარებისა. ხშირად ისინი გადაჭარბებითაც კი აფასებენ დასავლეთის წარმატებებს, თავიანთისას კი ამცირებენ. მაგრამ როდესაც უცხოელი იხარჯება წვრილმან კრიტიკაზე და ნაკლებ მნიშვნელოვანი მიღწევების გვერდით ვერ ამჩნევს საერთო მიღწევების მნიშვნელობას, მაშინ საბჭოთა ადამიანები ადვილად კარგავენ მოთმინებას. მლიქვნელობას და ცარიელ კომპლიმენტებს ისინი არაფის არასდროს პატიობენ. (საბჭოთა კავშირის მიერ ა. ჟიდის წიგნზე გამოცლენილი მძაფრი რეაგირება სწორედ იმით აიხსნება, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნისას იგი ყველაფერს მაშინათვე ითავისებდა, მაგრამ აქედან წასვლის შემდეგ დაიწყო მათზე უკმაყოფილების გამოთქმა).

პარტიის გენერალური ხაზი.

ძალიან ხშირად შეხვდებით ან წაიკითხავთ საწინააღმდეგო აზრს ამა თუ იმ კერძო საკითხზე, მაგრამ პარტიის გენერალური ხაზის კრიტიკას ვერსად გაიგონებთ. ამ საკითხში მართლაც კონფორმიზმი არსებობს. გადახრებს ადგილი არა აქვს და თუ აქვს, მას აშკარად ვერ აცლენენ. რაში მდგომარეობს პარტიის გენერალური ხაზი? იმაში, რომ ყველა ლონისძიების განხორციელებისას იგი გამოდის რწმენიდან, რომ საბჭოთა კავშირში ძირითადი მიმართულებებით სოციალიზმის აშენება წარმატებითაა დამთავრებული და მომავალ ომში დამარცხებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამ მხრივ არც შე მიმაჩნია კონფორმიზმი საძრახისად. თუ კიდევ არსებობდა 1935 წლის შუამდე რაიმე ეჭვები ტენერალური ხაზის სისწორეში, ამის შემდეგ დაეჭვების საფუძველი ისე აშკარად ვაბათილა ქვეყნის მზარდმა აყვავებამ და წითელი არმიის ძლიერებამ, რომ ამ

პუნქტის consensus omnium[1] საღი აზრის საყოველთაო ცნობის ტოლფასია.

კონფორმიზმი მოსკოვში და ლონდონში.

საერთოდ საბჭოთა ადამიანების კონფორმიზმი თავიანთი სამშობლოსადმი დაიყვანება მათ საყოველთაო, მხურვალე სიყვარულზე. სხვაგან ამას, უბრალოდ, პატრიოტიზმს უწოდებენ. მაგალითად, თუ ინგლისში ფეხბურთის მატჩის დროს ატეხილი დაუზოგავი ცემა-ტყეპა ეროვნული ჰიმნის აღერებისას დაუყოვნებლივ გადაიზრდება საყოველთაო წესრიგში, ასეთ მოვლენას აქ იშვიათად ეძახიან კონფორმიზმს.

სამშობლოს სიყვარული, კარაქი, ზარბაზნები და ოქრო.

საბჭოთა ადამიანებისა და სხვა ქვეყნების მკვიდრთა პატრიოტიზმს შორის ერთი განსხვავება მაინც არსებობს: საბჭოთა ქვეყნის პატრიოტიზმს რაციონალური თვალთახედვით უფრო მტკიცე საფუძველი აქვს. იქ ადამიანის ცხოვრება ყოველდღიურად უმჯობესდება, იზრდება როგორც მიღებული მანეთების რიცხვი, ასევე მისი მსყიდველობითი უნარიც. საბჭოთა მუშის საშუალო ხელფასი 1929 წელთან შედარებით 1936 წლისათვის 278 პროცენტით გაიზარდა. საბჭოთა მოქალაქეს იმისი რწმენა აქვს, რომ ქვეყნის განვითარება კიდევ მრავალი წლით გაგრძელდება. (არა მარტო იმიტომ, რომ გერმანიის იმპერიის ოქროს რეზერვები შემცირდა 5 მილიონ ფუნტამდე, საბჭოთა კავშირისა კი გაიზარდა 1400 მილიონ ფუნტამდე). ბევრად უფრო ადვილია პატრიოტად ყოფნა იმ დროს, როდესაც ეს პატრიოტი იღებს არა მარტო მეტ ზარბაზანს, არამედ მეტ კარაქსაც, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი იღებს მეტ ზარბაზანს, მაგრამ საკვებით არ იღებს კარაქს.

წახალისებული ოპტიმიზმი.

საბჭოთა ადამიანების ერთსულოვანი ოპტიმიზმი ამის შემდეგ გაკვირვებას აღარ იწვევს. თუმცა მას გამოხატავენ ისეთი სიტყვე-

[1] საყოველთაო აღიარება. — რედ.

ბით, რომლებიც თავიანთი ერთფეროვნების გამო კაცს სულ მალე გაცვეთილად მოეჩვენება. საბჭოთა ადამიანები ეს—ესაა ითვისებენ ცოდნის საფუძვლებს, მათ აქამდე არ ჰქონდათ დრო დაუფლებოდნენ მდიდარ ტერმინოლოგიას და ამიტომ მათი პატრიოტიზმი ჯერ კიდევ საკმაოდ ზოგადი ფრაზებით გამოიხატება. მუშები, წითელი არმიის მეთაურები, სტუდენტები, ახალგაზრდა გლეხები — ყველანი ერთი და იმავე სიტყვა-ფრაზებით ჰყვებიან თავიანთ საამურ ცხოვრებაზე, ისინი როგორც ორატორ-მსმენელები ჩაფლულნი არიან ამ ოპტიმიზმში. ხელისუფალნი კი მათში ასეთ განწყობილებას ხელს აშველებენ. სტანდარტიზებული ენთუზიაზმი ხელოვნურობის შთაბეჭდილებას განსაკუთრებით მაშინ ტოვებს, როდესაც იკვრცელდება მასობრივი ინფორმაციის ოფიციალური საშუალებებით. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბოლოს და ბოლოს თანაგრძნობით განწყობილი კრიტიკოსებიც კი კინოფორმიზმის არსებობაზე იწყებენ ლაპარაკს.

ლიტერატურა და თეატრი.

ასეთი სტანდარტიზებული ოპტიმიზმი სერიოზულ ზიანს აყენებს ლიტერატურასა და თეატრს, ანუ იმ ფაქტორებს, რომლებიც ყველაზე მეტად ხელს უწყობენ ინდივიდუალურობის ჩამოყალიბებას. ეს სავალალოა იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობებია სწორედ ლიტერატურისა და თეატრის აყვავებისათვის. უკვე აღვნიშნე რომ ამ გიგანტურმა ქვეყანამ, რომელმაც სულიერ ცხოვრებას აზიარა აქამდე უმეცრებაში მყოფი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, წინ წამოსწია დღემდე დამალული ტალანტების უმრავლესობა.

ცოდნისა და ხელოვნების წყურვილი.

საბჭოთა კავშირში კარგად ცხოვრობენ მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, მსახიობები. სახელმწიფო არა მარტო აფასებს, არამედ უფრთხილდება მათ, ანებივრებს პატივითა და მაღალი ხელფასით; მათ განკარგულებაშია მუშაობისათვის საჭირო ყველა საშუალება. არც ერთ მათგანს არ აწუხებს იმის კითხვა, რომ მათი ნაღვაწი შემოსავალს მოიტანს თუ არა? გარდა ამისა, მათ მსოფლიოში ათვისების საუკეთესო უნარის მქონე მკითხველი ჰყავთ.

კითხვის წყურვილი.

საბჭოთა ადამიანების კითხვის წყურვილი ძნელი ასახსნელია. გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს — ყველაფერ ამას ისინი პირდაპირ ნთქავენ, თუმცა ამით სულაც ვერ იკლავენ კითხვის წყურვილს. ერთ პატარა შემთხვევას მოვყვები: ვათვალიერებდი მოსკოვის ყველაზე გავრცელებული გაზეთის „პრავდის“ ახალ სტამბას. ჩვენ დავდიოდით გიგანტურ საროტაციო მანქანა-დანადგარზე, რომელსაც სიმძლავრით პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში. ორი საათის განმავლობაში იგი ბეჭდავს გაზეთის ორ მილიონ ეგზემპლარს. მანქანა მთლიანად წააგავს უზარმაზარ ორთქმავალს და მის დიდ პლატფორმაზე ოთხმოცი მეტრის სიგრძეზე ისე შეიძლება გასეირნება, როგორც საოკეანო გემზე. მე ყურადღება მივაქციე იმას, რომ მანქანას დარბაზის მხოლოდ ნახევარი ეკავა, მეორე ნახევარი კი ცარიელი იყო. მიზეზი ვიკითხე. „ამჟამად,—მიპასუხეს მე,—ჩვენ „პრავდას“ ვბეჭდავთ მხოლოდ ორი მილიონი ტირაჟით. მაგრამ ჩვენ გვაქვს ხელისმომწერთა კიდევ ხუთი მილიონი განცხადება და როგორც კი ქალაქის ფაბრიკები ჩვენს მომარაგებას შესძლებენ, მეორე მანქანასაც დავაყენებთ“.

გრანდიოზული ტირაჟები.

საყვარელი ავტორების წიგნები იბეჭდება ისეთი ტირაჟებით, რომლებიც აცვიფრებს უცხოელ გამომცემლებს. პუშკინის თხზულებათა ტირაჟმა 1936 წლის ბოლოსათვის 31 მილიონ ეგზემპლიარს გადააჭარბა, მარქსის და ლენინის წიგნები უფრო მეტი ტირაჟითაა გამოშვებული, ქაღალდის უკმარისობა ზღუდავს პოპულარული მწერლების წიგნების ტირაჟების ოდენობას. პოპულარული მწერლის წიგნს ჩვეულებრივ ვერ შეიძენთ წიგნის ვერც ერთ მაღაზიაში, ვერც ერთ ბიბლიოთეკაში; ახალი გამოცემის გამოსვლისთანავე მაშინათვე დგება მყიდველთა რიგები და მთელს ტირაჟს, თუნდაც იგი 20 ათასს, 50 ათასს, 100 ათას ეგზემპლარს აღწევდეს, რამდენიმე საათში იტაცებენ. საყვარელი ავტორების წიგნები ბიბლიოთეკებში, რომელთა რიცხვი 70 ათასია, რამდენიმე კვირით აღრე უნდა შეუკვეთოთ. ამრიგად, ეს წიგნები წარმოადგენენ ღირებულ რამეს, თუმცა ძალიან იაფ ფასებში იყიდება. ასე, რომ,

როდესაც მე მითხრეს: „ფული შეიძლება არ გქონდეთ ჩაკეტილში, მაგრამ წიგნები, გეთაყვათ, ცხრაკლიტულში იქონიეთ“, ეს მარტო ხუმრობით არ მიმიღია. ცნობილი მწერლების წიგნები ითარგმნება საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე. მათ კითხულობენ იმ ეროვნების წარმომადგენლებიც, რომელთა სახელიც თავად ავტორსაც შეიძლება არ იცოდეს.

წიგნების გავლენა.

უკვე აღვნიშნე, რომ საბჭოთა მკითხველები გაცილებით მეტ ინტერესს იჩენენ წიგნისადმი, ვიდრე სხვა ქვეყნისა. ვთქვი იმის შესახებაც, რომ წიგნთა პერსონაჟები მათთვის რეალური ცხოვრებით ცხოვრობენ. წაკითხული რომანის გმირები საბჭოთა კავშირში ისეთივე ცოცხალი არსებები ხდებიან, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მონაწილე რომელიმე პიროვნება. თუ მწერალმა საბჭოთა მოქალაქეების ყურადღება მიიქცია, მაშინ იგი მათში ისეთივე პოპულარობით სარგებლობს, როგორითაც სხვა ქვეყნებში კინოვარსკვლავები და მოკრივეები სარგებლობენ მხოლოდ. ხალხი მას ისე უხსნის გულს, როგორც მორწმუნე კათოლიკეები თავიანთ სულიერ მამას.

მემკვიდრეობა.

საბჭოთა კავშირში პოპულარობით სარგებლობენ სამეცნიერო წიგნებიც. 100 ათასიანი ტირაჟით გამოსული კანტის თხზულებათა ახალი გამოცემა დაუყოვნებლივ დაიტაცეს. წარსულის ფილოსოფოსთა ნააზრევი ირგვლივ ისეთ კამათს იწვევს, როგორც თითოეული ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე რომელიმე აქტუალური სამეურნეო საკითხი. ისტორიულ პიროვნებაზე კი ისე ცხარედ კამათობენ, თითქოს საქმე ეხება რომელიმე სახალხო კომისრის მუშაობის შეფასებას. საბჭოთა მოქალაქეები გულგრილნი არიან ყოველივე იმისადმი, რასაც კავშირი ჯრა აქვთ მათ სინამდვილესთან, მაგრამ თუ ერთხელ დარწმუნდნენ იმაში, რომ რომელიმე საგანს რაიმე დამოკიდებულება გააჩნია მათს სინამდვილესთან, ისინი აიძულებენ მას იცხოვროს უჩვეულოდ ინ-

ტენსიური ცხოვრებით. საბჭოთა ადამიანების მიერ სიამოვნებით გამოყენებული „მემკვიდრეობის“ ცნება მათში რაღაც უმაღლესი განზომილების ხელშესახებ თვისებას იძენს.

მოსკოვის თეატრები.

სახვითი ხელოვნების საქმე ისევე კარგადაა დაყენებული, როგორც ლიტერატურის. მოსკოვის თეატრებსა და ფილმებზე საუბრისას ძალიან ძნელია თხრობა განაგრძო საქმიანი სულისკვეთებით და არ აღფრთოვანდე როგორც წარმოდგენებით, ისე მაყურებლით. საბჭოთა ადამიანები — ეს მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო, ყველაზე თავდადებული, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე რეჟისორები და მუსიკოსები არიან. როგორ ასრულებენ მოსკოველები თავიანთი კომპოზიტორების ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის ნაწარმოებებს, ახალგაზრდა ძერჟინსკის „წყნარ დონს“, როგორ თამაშობენ ისინი „ფიგაროს“ ან „კარმანს“ — მუსიკალური თვალთახედვით ისინი არა მარტო დასრულებული ნაწარმოებებია, ორამედ რეჟისურა, მსახიობთა შესრულება, სცენური გაფორმება— ყველაფერი გაცვიფრებს სიახლითა და ცხოვრების არაჩვეულებრივი სისავსით. მოსკოვის მხატვრული და ვახტანგოვის თეატრების სპექტაკლების თანაბარი ნაწარმოებების შექმნა სხვა ქვეყნების თეატრებს არ ძალუძთ. არაფერი რომ არ ვთქვათ ტალანტზე, მათ ამისათვის არ ჰყოფნით არც ფული, არც მოთმინება; იმისთვის რომ მიაღწიო თითოეული როლის ამნაირად დაუფლებას და ანსამბლის ასეთ შეხმატკბილებას, საჭიროა მრავალი თვის, ხანდახან კი მთელი წლის რეპეტიციები. ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც რეჟისორი თავს ზემოთ არ გრძნობს მატერიალური საგებლით დაინტერესებული მეპატრონის მათრახს. სცენური სურათები გამოირჩევიან ისეთი სისრულით, რომელთა მსგავსიც ორსად მინახავს; დეკორაციები, იქ სადაც ეს მართებულია, მაგალითად ოპერაში ან რომელიმე ისტორიულ პიესაში, გაცვიფრებს თავისი მდიდარი იერსახით. წინათ ექსტავაგანტურობით იყენენ გატაცებულნი. ეს გატაცება ჩაცხრა, გემოვნება უფრო ზომიერი გახდა, თუმცა გაბედული, საინტერესო ექსპერიმენტები ახლაც გვხვდება, როგორიცაა მაგალითად პიესა „აურზაური არაფრის გამო“ ვახტანგოვის თეატრში. ყოველი დეტალი გადმოცემული იყო მსუბუქად

და გრაციოზულად, სპექტაკლის სითამამე ესაზღვრებოდა შემართებას, ხოლო შექსპირი შესანიშნავად იყო შეთავსებული ჯაზურ მუსიკასთან.

ხდება ხოლმე, რომ ერთი და იგივე პიესა მოსკოვში ერთდროულად რამდენიმე თეატრში იდგმება, მას თამაშობენ სხვადასხვა სტილში, მაგალითად „ოტელო", „რომეო და ჯულიეტა", აგრეთვე თანამედროვე ავტორების ოპერები და პიესები. მოსკოვის ორ თეატრში ვნახე ახალგაზრდა პოგოდინის პიესა „არისტოკრატები", რომელშიც მოთხრობილია შრომითი ბანაკის ცხოვრება. ვახტანგოველები გვთავაზობენ შესანიშნავი რეჟისურით უწვრილმანეს დეტალებამდე დახვეწილ, ოდნავ ტრადიციული სტილის სპექტაკლს. ოხლოპკოვი თამაშობს დეკორაციის გარეშე, ორ სცენაში შეუმჩნეველად მიანიშნებენ კონსტრუქციებზე, ხის ხიდებით რომ უკავშირდებიან ერთმანეთს. ამასთან ერთი სცენა გამართულია მაყურებელთა დარბაზის შიგ შუაგულში, სპექტაკლი უკიდურესად სტილიზებულია, არაჩვეულებრივად ექსპერიმენტალური და ქმედითია.

პროვინციაში.

საქმეში ჩახედული ხალხის თქმით ლენინგრადის თეატრი თითქმის არ ჩამოუვარდება მოსკოვისას, ზოგ რამეში კი აღემატება კიდევაც მას. პროვინციებში ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ახალი დიდებული თეატრები შენდება. დედაქალაქი იქ თავის გამოცდილ, სახელგანთქმულ დასებს აგზავნის, მაგრამ არა გასტროლებზე, არამედ მუდმივი მუშაობისათვის.

კინოსურათები.

უფრო მეტ სახსრებს ღებულობს კინო. კინორეჟისორს ხარჯებისადმი ანგარიშის გაუწევლად შეუძლია ექსპერიმენტების ჩატარება. თუ რამდენად მიზანშეწონილია გაწეული შრომა და ხარჯები, ეს კარგად დამანახა რაიზმანისა და როშალის ფილმებმა. პირველ რიგში კი ჭეშმარიტი შინაგანი საბჭოთა პატრიოტიზმით გამსჭვალულმა, ეიზენშტეინის ნამდვილად პოეტურმა ფილმმა — შედევრმა „ბეჟას მდელომ".

მაყურებლის რეაქცია.

მაყურებელიც გულგრილი არაა. მოსკოვში 38 დიდი თეატრია, უამრავი საკლუბო სცენა და მოყვარულთა წრეებია: ამათ გარდა კიდევ შენდება მთელი რიგი ახალი თეატრები. ყველა თეატრში ადგილები თითქმის ყოველთვის გაყიდულია, ბილეთის შოვნა ძნელია, მითხრეს რომ მხატვრულ თეატრში, მისი დაარსების დღიდან თავისუფალი საკარძელი არასდროს ყოფილა. სცენის ან ეკრანის წინ მსხდომი მაყურებელი თავის გრძნობებს ძალიანად ეძლევა, ხარბად იწოვს თითოეულ ნიუანსს, ანასთან ის სავსეა იმ გულუბრყვილობით, თითქოსდა მას ერთადერთს ძალუძს ხელოვნების ნაწარმოებით ჭეშმარიტი სიამოვნების მიღება. ასეთ მგრძნობიარე მაყურებელში ერთდროულად შეიმჩნევა გულუბრყვილობაც და გარესამყაროსადმი კრიტიკული მიდგომაც. იგი არანაკლებად „ტკბება“ ფაქიზი ფსიქოლოგიური ნიუანსებით, ვიდრე რომელიმე ოსტატურად დეკორირებული ტრიუკით. ეს ჩანს შემდეგიდან: „როდესაც ცნობილი მსახიობი ხმელიოვი მეფე თეოდორეს როლში ტოლსტოის იმავე სახელწოდების ისტორიულ დრამაში, იმის მაგივრად, რომ შეუპოვრად დაეჭირა თავი, გაუბედავად ილიმება და ოდნავ შესამჩნევად აბრუნებს კისერს, თითქოს და მას რაღაცა გუდავს, — ჩემს გვერდით მჯდომმა მოხუცმა ძმიმედ და სევდიანად ამოიოხრა, მან ისე გაიგო, თითქოს მეფემ იქ, სცენაზე იმიტომ ჩაიცინა, რომ ბედმა არ გაუღიმა არც მას და არც მის სახელმწიფოს. ხოლო, როდესაც ოტელო ანკესს წამოეგო და დაიჯერა დეზდემონას სასიყვარულო კავშირი კასიოსთან, ჩემს გვერდით მჯდომ ახალგაზრდა ქალს მოკლე შეძახილი ამოხდა: „ჩერჩეტი“. როდესაც „კარმენის“ ბოლო აქტში ცირკის კედელი იწევა და მოუთმენლობით აღგზნებული მაყურებელი ხედავს ხარების ბრძოლას, ორიათას ხუთას კაციან დარბაზში გაისმის აღფრთოვანებითა და ბედნიერებით ალსავსე ღრმა „აჰ!“. უნდა ნახოთ ვიშნევსკის ფილმში „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“ მაყურებელი როგორი გულისწყრომით უყურებს იმ ეპიზოდს, როდესაც თეთრგვარდიელები გადაჯაჭვულ ტყვეებს ზღვაში ყრიან. მაყურებელი განსაკუთრებით ვერ მალავს აღშფოთებას იმაზე, როდესაც სულ ნორჩი, თხუთმეტი. წლის, ტყვეც მათ ხვედრს იზიარებს.

უარყოფითობა.

უკვე ვთქვი, რომ საბჭოთა მწერლებს და თეატრალურ მოღვაწრეებს იდეალური პუბლიკა ჰყავთ, ამასთან ისინი სახელმწიფოს დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ და საკუთარ მუშაობას, ვგონებ უნდა დაეკმაყოფილებინა და გაეხარებინა ისინი, მაგრამ, სამწუხაროდ, სტანდარტიზირებული ოპტიმიზმი, რაზედაც მე ზევით ვლაპარაკობდი, ყველაზე მეტად სწორედ მათ უშლის ხელს.

შემწყნარებლობა.

საბჭოთა სახელმწიფოს მხატვრული პოლიტიკა, როგორც ჩანს, არ გამოირჩევა ერთიანობით. იგი ძალიან ფართოდ ულებს კარს მთელს ძველ ლიტერატურას, მზრუნველობით ეკიდება რუს და უცხოელ კლასიკოსებს და თანამედროვე დასავლეთელი მწერლების შეფასებას უდგება მხოლოდ ერთი, — ხარისხიანობის საზომით. მოსკოვში გამოდის შესანიშნავ ჟურნალის „ინტერნაციონალნაია ლიტერატურას" ცალკეული გამოცემები რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ჩინურ ენებზე. საბჭოთა პრესასა და უცხოურ ლიტერატურას შორის შუამავლის როლის შესრულება ამ ჟურნალზე უკეთესად შეუძლებელია. გერმანელ კლასიკოსთა ოცნება „უნივერსალურ ლიტერატურაზე" და „სწავლულთა რესპუბლიკაზე" სინამდვილესთან ისე ახლოს არსადაა, როგორც საბჭოთა კავშირში.

გეგმიური მეურნეობა ხელოვნებაში.

ასეთი შემწყნარებლობის ფონზე მით უმეტეს გაკვირვებს გეგმიური მეურნეობის პოლიტიკა, რომელსაც იყენებენ თანამედროვე საბჭოთა ავტორების მიმართ. გენერალური ხაზიდან გადაცდომილ მწერლებს, მართალია, პირდაპირ არ ავიწროებენ, მაგრამ მათ აშკარად ამჯობინებენ იმათ, რომლებიც მთელ თავიანთ ნაწარმოებებში ასე ხშირად და დაუფარავად, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია, ჰეროიკული ოპტიმიზმის ლეიტმოტივს ატარებენ.

ჰეროიკული ოპტიმიზმი წიგნში.

უდავოა, საბჭოთა კავშირის მთავარ ტონად დღესაც ჰეროიკული ტონი დარჩა, რომელსაც შემოქმედის გატაცება შეუძლია. ფაშისტური სახელმწიფოებიდან მომდინარე ომის საფრთხემ გავ-

ლენა უნდა მოახდინოს მწერლისა და მხატვრის აზროვნებაზე, დაეძალოს, რომ ჰეროიკული ოპტიმიზმი მათ ნაწარმოებებში ლეიტმოტივად ელერდეს. ვერ დავიჯერებდი იმას, რომ ჰეროიკული თემატიკა ესოდენ დიდ ადგილს დაიკავებდა წიგნებში, ფილმებში, თეატრების რეპერტუარებში, თუკი მას ხელმძღვანელი ორგანოებიდან ყოველმხრივი ხელშეწყობა არ ექნებოდა. უეჭველია, რომ მწერალი, რომელიც გენერალური ხაზიდან გადახვევას გაბედავს, საქმეს გაირთულებს. მაგალითად ერთი ცნობილი ლირიკოსი, რომლის შემოქმედების ძირითადი განწყობილება მელანქოლია და შემოდგომის მოტივებია, ყოველ შემთხვევაში მას არ ახასიათებს ჰეროიკული ოპტიმიზმი, არ მოიხსენიება არც პრესაში, არც საზოგადოებრივ ადგილებში, მიუხედავად იმისა, რომ მის ნაწარმოებებს ჯერ კიდევ ბეჭდავენ, მას კითხულობენ და იგი საერთოდ ყველასათვის საყვარელი ავტორია. აკრძალული მარცხმოსურნეობის წინაშე შიში ხანდახან პირდაპირ ბავშვურ ფორმებს იძენს იმათ საქმიანობაში, ვინც საგამომცემლო საქმეს განაგებს. მაგალითად, ცნობილი მწერლის ერთი მოთხრობა, რომელშიც მფრინავმა რეკორდი დაამყარა, მაგრამ შემდეგ დაილუპა, უზომოდ მშიშარა რედაქტორმა, როგორც „ძალიან პესიმისტური" ნაწარმოები, ამ ავტორის მოთხრობათა კრებულიდან ამოიღო.

ჰეროიკული ოპტიმიზმი სცენაზე.

ჰეროიკული ოპტიმიზმი წიგნებთან შედარებით კიდევ უფრო მკაფიოდაა გამოხატული სცენაზე. განსაკუთრებით ძლიერად იგი ფილმებში გამოსჭვივის. მაკონტროლებელი ორგანოები ყველაფერში ერევიან. ისინი ნაწარმოების მხატვრული ღირებულების ხარჯზე ცდილობენ მისი პოლიტიკური ტენდენციების გამართვას, აძლიერებენ და ხაზს უსვამენ მას. უდავოა, ჰეროიკულმა ოპტიმიზმმა შექმნა რამოდენიმე შესანიშნავი ნაწარმოები, მაგალითად: ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია" და „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ", ანდა აფინოგენოვის პიესა „შორეული", ანდა უკვე ნახსენები ძერჟინსკის ოპერა „წყნარი დონი". აქ ტენდენციურობა როგორი შესამჩნევიც არ უნდა იყოს იგი, ხელს არ უშლის ნაწარმოების დედააზრს, თუმცა იგი უფრო მოიგებდა, თუ ბოლოს წითელ დროშას ერთხელ აიქნევდნენ ორის მაგივრად. მაგრამ სხვა

ნაწარმოებებში, როგორც კინოში, ისე სცენაზე ფართოდ მოძალებული ტენდენცია ხშირად აუფერულებს მხატვრულ შთაბეჭდილებას. მაგალითად ტექნიკური თვალსაზრისით უდავო დიდოსტატობის შედეგი, პიესა „ინტერვენცია", ანდა ფილმი „უკანასკნელი ღამე" მაყურებელს თავისაგან განიზიდავს ძალიან უხეში, მხოლოდ შავ-თეთრი საღებავებით დახატული ხასიათებით.

თარჯიმნები.

შესაძლოა, ვინმემ იკითხოს თუ როგორ ვბედავ სამსჯავროზე გამოვიტანო ასეთი კატეგორიული შეხედულებები, მას შემდეგ, რაც თავად ვაღიარე რომ რუსული ენა ცუდად ვიცოდი. ეს საბაბს მაძლევს რუს მთარგმნელებს ხოტბა შევასხა. მოსკოვში შეეჩვიენენ იმ აზრს, რომ ჩამოსულმა კაცმა არ იცის აღგილობრივი ენა, ამიტომ იქ ჰყავთ თარჯიმნები, რომლებსაც გასაოცარი დახვეწილობით შეუძლიათ თქვენთან დაახლოება. თეატრში, ანდა მოხსენების დროს ისინი თქვენ გვერდით სხედან და ერთი-ერთმანთზე ისეთი მოხერხებით გიჩურჩულებენ ნათარგმნ ფრაზებს, რომ ერთდროულად მესმის რუსული სიტყვებიც — თითქოსდა სარგებლობ შენს გვერდზე მჯდომ ცოცხალი ლიბრეტოთი. თარჯიმნები ამას ისეთი გასაოცარი ტაქტით აკეთებენ, რომ ვერ გრძნობ ენის უცოდინარობით გამოწვეულ წუხილს.

„ხელოვნების ენაც კი დაკავშირებული აღმოჩნდა ხელისუფლებასთან".

დავუბრუნდეთ ჩვენს თემას. თითქმის არ უჩვენებენ ისეთ თანამედროვე პიესებს და ფილმებს, რომლებიც სხვა არაპოლიტიკურ თემებს აშუქებენ. ამიტომაც საბჭოთა თეატრებსა და კინოებს ერთობ ღარიბი რეპერტუარი აქვთ. ერთი შესანიშნავი ოპერა იმის გამო მოიხსნა, რომ გენერალურ ხაზს არ შეესიტყვისებოდა. იმ თეატრებს, რომლებსაც მარტოოდენ ჰერროიკულ-ოპტიმისტური ნაწარმოებების თამაში არ სურთ, მხოლოდ კლასიკა რჩებათ. მოსკოვში ჩემი ყოფნისას შექსპირის ნაწარმოებები არა ნაკლებ რვა სცენაზე მაინც იდგმებოდა. შექსპირის გარდა მოსკოვის თეატრებში აგრეთვე ნახავდით ბომარშეს, შილერის, ოსტროვსკის, გოგოლის, ტოლსტოის, გორკის, გოცის ნაწარმოებებს და სცენისათვის

გადამუშავებულ დიკენსის რომანს — ყველა ისინი უჩვეულოდ კარგ დადგმებს წარმოადგენდნენ. იმ კინორეჟისორებს, რომლებსაც არ სურთ მარტოოდენ ჰეროიკულ-ოპტიმისტური ნაწარმოებების დადგმა, უკიდურეს შემთხვევაში კომედიებისა და ხუმრობების გადაღება შეუძლიათ. თუ ავტორს სურს, — მეუბნებოდნენ მოსკოვში,—რომ დადგან პოლიტიკის მიღმა მდგომი მისი პიესა, მაშინ თუ იგი გორკი არ არის, უნდა მოკვდეს არანაკლებ ორმოცდაათი წლით ადრე. ეს ხუმრობა, ცოტა არ იყოს, მწარედ გაისმოდა. საერთოდ კი საბჭოთა კავშირის მხატვრულ პოლიტიკას იქითკენ მივყავართ, რომ მოსკოვში მსახიობების თამაში ბევრად უკეთესია იმ ნაწარმოებებზე, რომლებსაც ისინი თამაშობენ. საბჭოთა კავშირს აქვს შესანიშნავი თეატრი, მაგრამ არა აქვს დრამა.

უფრო მკაცრი ცენზურის მიზეზი.

ყოველთვის ასე როდი იყო. მოსკოვის სცენებისა და კინოთეატრების არეალი უწინ უდაოდ უფრო ფართო იყო. როდესაც ვეკითხები ამ დარგის პასუხისმგებელ პირებს რატომ მოხდა ასე, რატომაა, რომ ამ ბოლო ერთი-ორი წლის მანძილზე ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებს უფრო მკაცრად აკონტროლებენ, ვიდრე ადრე, გიპასუხებენ, რომ საბჭოთა კავშირს უახლოეს მომავალში გარდუვალი ომი ემუქრება და მორალური შეიარაღების დაკოვნება დაუშვებელია. აი პასუხი, რომელსაც საბჭოთა კავშირში ამ და ზოგიერთ სხვა კითხვაზეც მიიღებ. ეს მდგომარეობა ნათელს ჰფენს ბევრ ისეთ რამეს, რაც საბჭოთა კავშირს გარეთ ძნელი გასაგებია.

აუცილებელია კი ცენზურა?

მაგრამ მაინც მთლად ნათელი არაა სახელმწიფოს მეურვეობა და ზრუნვა შემოქმედ ადამიანზე. სახელმწიფოს შეუძლია რაიმე ამოცანები დაუსახოს შემოქმედს, მაგრამ მე არ ვთვლი სწორად იმას, როდესაც სახელმწიფო მეტ-ნაკლებად რბილი დაწოლით აიძულებს შემოქმედს თავად იკისროს მათი განხორციელება და გენერალური ხაზის დაცვა. მე იმაში ვარ დარწმუნებული, რომ

შემოქმედი ადამიანი ყველაზე უკეთ წყვეტს იმ ამოცანებს, რომ-ლებსაც იგი თავის თავს უსახავს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ადა-მიანები იმხელაზე არიან პოლიტიკით გამსჭვალულნი, რომ ეს უკანასკნელი შემოქმედი ხალხის ნაწარმოებებში იმ შემთხვევაშიც უცილობლად იჩენდა თავს, მათთვის რომ არც დაეძალებინათ პო-ლიტიკური თემატიკის არჩევანი.

თავი III.

დემოკრატია და დიქტატურა

თავისუფლება? დიქტატურა?

მივადექით საკითხს, რომელიც მართლაც ყველაზე მწვავე კამათს იწვევს, როდესაც საუბარია 1937 წლის მოსკოვზე. ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია საბჭოთა კავშირში მიმართება „თავისუფლებასთან“.

ფორმალური და ფაქტიური დემოკრატია.

საბჭოთა ადამიანები ამტკიცებენ, რომ მარტო ერთნი ისინი ფლობენ ფაქტიურ დემოკრატიას და რომ ეგრეთ წოდებულ დემოკრატიულ ქვეყნებში ამ თავისუფლებას წმინდა ფორმალური ხასიათი აქვს. დემოკრატია ნიშნავს ხალხის ბატონობას. მაგრამ როგორ შეუძლია ხალხს — კითხულობენ საბჭოთა ადამიანები, — თავისი ბატონობა განახორციელოს, თუ იგი არ ფლობს წარმოების საშუალებებს? მათი თქმით, ე. წ. დემოკრატიულ ქვეყნებში ხალხი ძალაუფლებას მოკლებული ნომინალური მბრძანებელია. ძალაუფლება ეკუთვნის მათ, ვინც ფლობს წარმოების საშუალებებს. მაშ, რაღა რჩება, კითხულობენ ისინი, ე. წ. დემოკრატიული თავისუფლებიდან თუ მას უფრო ყურადღებით ჩავუკვირდებით? იგი იფარგლება მთავრობისა და მტრული პოლიტიკური პარტიების დაუსჯელად ლანძღვის თავისუფლებით და სამ თუ ოთხ წელში ერთხელ საარჩევნო ყუთში საარჩევნო ბიულეტენის ფარული ჩაგდების უფლებით. მაგრამ ეს „თავისუფლებები“ არსად იძლევიან გარანტიებს, ანდა უმრავლესობის ნების ფაქტიური განხორციელების შესაძლებლობებს მაინც. როგორ გამოიყენონ სიტყვის, ბეჭდვის და კრებების თავისუფლება, თუ ამავე დროს არ ფლობენ არც სტამბას, არც საკუთარ პრესას, არც დარბაზებს კრებებისათვის? რომელ ქვეყანაში აქვს ხალხს ყველაფერი ეს თავის განკარგულე-

ბაში? რაიმეს [illegible] შეუძლია მის [illegible] გამოხატოს ძა-
ვისი აზრი და სად შეუძლიათ მის დელეგატებს ეფექტურად წარმო-
ადგინონ იგი? ვეიმარის კონსტიტუცია ითვლებოდა ყველაზე თა-
ვისუფალ კონსტიტუციად მსოფლიოში. შეეძლო კი ამ კონსტიტუ-
ციის საარჩევნო უფლების საფუძველზე შემდგარ პარლამენტს
უზრუნველყო ხალხის ნების გატარება? შესძლო კი ამ პარლამენ-
ტმა წინ აღდგომოდა ფაშისტური უმცირესობის დიქტატურის მო-
სვლას ხელისუფლებაში? დასასრულს, საჭიროა მოქალაქეები ამ-
ბობენ, რომ ეგრეთ წოდებული ყველა დემოკრატიული თავისუფ-
ლება თავისუფლებად დარჩება მანამდე, სანამ საფუძველი არ ჩა-
ეყრება ჭეშმარიტ სახალხო თავისუფლებას, ანუ სანამ თავად ხალ-
ხის ხელში არ იქნება წარმოების საშუალებები.

პარლამენტარიზმის საკუთხისა ბედზე.

საჭმოა კავშირის ერთ-ერთმა გამოჩენილმა სახელმწიფო მო-
ღვაწემ მითხრა: „ბურჟუაზიული დემოკრატიის წამყვანმა პოლი-
ტიკოსებმა ჩვენსავით დროულად გაიგეს, რომ ფაშისტური სახელ-
მწიფოების სამხედრო საფრთხის წინააღმდეგ წარმატება მხოლოდ
ერთადერთ, — კონტრშეიარაღების პოლიტიკას შეიძლება ჰქონდეს.
მაგრამ ისინი ანგარიშს უწევენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა არ-
ჩევნები, პარლამენტი და ხელოვნურად შექმნილი საზოგადოებრივი
აზრი. ამიტომაც იძულებულნი ისინი მალავენ თავიანთ შეხედუ-
ლებებს, ანდა, უკეთეს შემთხვევაში ფრთხილად, შენიღბულად გა-
მოხატავენ. ეს პოლიტიკოსები მიმართავენ სხვადასხვა ფანდებს —
ტყუილსა და დაშინებას იმ მიზნით, რომ საჭირო ლონისძიებათა
გასატარებლად თავიანთი პარლამენტებისაგან და საზოგადოებრივი
აზრისაგან ნებართვას მიაღწიონ. თუ ჩვენ არ ვიქნებოდით და არ
შევიარაღდებოდით, მაშინ ფაშისტები დიდი ხანია ომს გააჩაღებ-
დნენ. დემოკრატიული პარლამენტების მოღვაწეობა ძირითადად
დაიყვანება იმაზე, რომ პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეებს
გაუფუჭონ კარიერა, ხელი შეუშალონ მათ საჭირო ლონისძიებე-
ბის განხორციელებაში, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მათი გან-
ხორციელება გააძნელონ. ე. წ. დემოკრატიული პარლამენტარიზმი-
სა და ბეჭდვის თავისუფლების მთელი მიღწევები იმაში მდგომა-
რეობს, რომ ყველამ, ვინც მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვ-

რებაში, ან უნდა ითმინოს მისი სისტემატური ლანძღვა-გინება, ანდა მთელი ცხოვრება წესწერის დაუსაბუთებელ შეურაცხყოფათაგან თავდაცვას. შედეგიანი მუშაობის ნაცვლად პარლამენტარული ქვეყნების მინისტრები დროის დიდ ნაწილს ფლანგავენ არაკანონიერ საკითხებზე პასუხის გაცემაში და უშედეგო პაექრობაში".

ავტორის აზრი.

გამოვტყდები და ვიტყვი, რომ მდგომარეობა უფრო კრიტიკულია ვიდრე მისი უბრალო კარიკატურა. ჩემი ცხოვრების დიდი ხნის მანძილზე დემოკრატიული თავისუფლებები უზომოდ ძვირფასი იყო, რადგან სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება ძალიან ახლოს იდგა ჩემს მწერლურ სულისკვეთებასთან. ანატოლი ფრანსის ცნობილი გამოთქმა — დემოკრატია იმაში მდგომარეობს, რომ მდიდარსაც და ღარიბსაც ერთნაირად აქვთ უფლება ღამე გაათენონ სენის ხიდებქვეშ, — ღიმაზ, მაგრამ სასაცილო აფორიზმად მიმაჩნდა.

ჩემმა დემოკრატიულმა მრწამსმა პირველი დარტყმა ომის დროს აწვნია, როდესაც უნდა მეღიარებინა, რომ მთელი დემოკრატიულობის მიუხედავად, ომი მოსახლეობის უმეტესობის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ გრძელდებოდა. ომისშემდგომ წლებში მე უფრო მკაფიოდ ვამჩნევდი ნაკლოვანებებსა და ურთიერთსაპირისპიროს ჩვეულებრივ დემოკრატიულ კონსტიტუციებში. ახლა მე ომ აზრზე ვარ, რომ ბურჟუაზიული თავისუფლებები მეტ-ნაკლებად სატყუარაა, რომლის მეშვეობითაც უმცირესობა თავის ნებას ახორციელებს.

სოციალისტური დემოკრატიის გზაზე.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მჯერა, რომ სოციალისტური დემოკრატიის გზის დიდი ნაწილი მან უკვე გაიარა. ფაქტია, რომ იქ წარმოების საშუალებები ეკუთვნის ხალხს და არა ერთეულებს. ისიც ფაქტია, რომ, როდესაც დემოკრატიული ქვეყნები განიარაღებაზე თავიანთი ლაქლაქით და სისტემატური დათქობებით ფაშისტურ სახელმწიფოებს სტიმულს აძლევდნენ ახალ-

ახალი ძალმომრეობისათვის, მხოლოდ ერთი, საბჭოთა კავშირი თავისი გეგმაზომიერი შეიარაღებით წინ ეღობებოდა ფაზიშზმს ომი წამოეწყო ცუდად შეიარაღებული მსოფლიოს წინაშე. ამის შემდეგ საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელები უფლებამოსილნი არიან ერთგვარი ირონიით განაცხადონ, რომ მხოლოდ მათმა „არადემოკრატიულმა ღონისძიებებმა“ შესაძლებელი გახადეს დასავლეთ-ევროპული დემოკრატიის შემდგომი არსებობა. მათ ფაქტობრივად შექმნეს „დემოკრატია“, რადგან წარმოების საშუალებები საერთო სახალხო ქონებად აქციეს და ქმედითი იარაღი გამოქედეს ამ ქონების დასაცავად.

„თავისუფლება არის ბურჟუაზიული ცრურწმენა“.

საბჭოთა კავშირის მტრებს დიდი ხალისით მოჰყავთ ლენინის სიტყვები: „თავისუფლება არის ბურჟუაზიული ცრურწმენა“. ისინი არასწორ ციტირებას ახდენენ. ლენინი სწორედ რომ იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რასაც ისინი ამ ფრაზაში დებენ და ნასესხებია სტატიიდან „ყალბი სიტყვები თავისუფლებაზე“. მასში ლენინი ლაპარაკობს „...თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული ცრურწმენების ულმობელ მხილებაზე“... „ვიდრე კლასები არ მოსპობილა, ყოველგვარი ლაპარაკი თავისუფლებასა და თანასწორობაზე საერთოდ წარმოადგენს თავის მოტყუებას“ ...„ვიდრე წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება რჩება, მანამდე ლაპარაკიც კი შეუძლებელია ადამიანის პიროვნების და არა მესაკუთრის, ნამდვილ თავისუფლებაზე, ადამიანთან ადამიანის ნამდვილი სოციალურ-პოლიტიკურ თანასწორობაზე — და არა მესაკუთრისა და უქონელის, მაძღრისა და მშიერის, ექსპლუატატორისა და ექსპლოატირებულის თვალთმაქცურ თანასწორობაზე“.

კარგი და ძალიან კარგი თავისუფლება.

თავისუფლების ასეთი გაგება საბჭოთა მოქალაქისათვის აქსიომაა. თავისუფლება, რომელიც მთავრობის საჯაროდ გალანძღვის ნებას იძლევა, შეიძლება კარგიცაა, მაგრამ საბჭოთა ადამიანი

უფრო უკეთესად თელის იმ თავისუფლებას, რომელიც მას უმუშევრობის საფრთხისაგან, მოხუცებულობაში სილატაკისაგან და თავისი ბავშვების ბედზე ზრუნვისაგან ათავისუფლებს.

სტალინი და თავისუფლება.

სტალინმა ეს აზრები გასაგებად სტახანოველების თათბირზე გამოსვლისას გადმოსცა: „...სამწუხაროდ თქვა მან, — მარტოოდენ თავისუფლება მთლად საკმარისი არაა. თუ არ გყოფნის პური, არ გყოფნის კარაქი და ცხიმეულობა, არ გყოფნის ჩასაცმელ-დასახური, ცუდია საცხოვრებელი, მაშინ მარტო თავისუფლების ამარა შორს ვერ წახვალ. ძალიან ძნელია, ამხანაგებო, მხოლოდ თავისუფლებით ცხოვრება. კარგი და ხალისიანი ცხოვრებისათვის აუცილებელია ის, რომ პოლიტიკური თავისუფლების სიკეთეებს ზედ ერთვოდეს მატერიალური სიკეთენიც“.

ფრიც მაუტნერი და თავისუფლება.

აქ მინდა მოვიყვანო არც ისე ცნობილი ფილოსოფოსის ფრიც მაუტნერის ციტატა, რომელიც შემდეგნაირად განმარტავს დემოკრატიული თავისუფლების ცნებას: „დემოკრატიული სახელმწიფო, ეს ისეთი სახელმწიფოა, რომლის მოქალაქეებიც პოლიტიკურად თავისუფლები არიან და სადაც ძველებური, ხანდისხან კი უფრო ახალი ცრურწმენების საფუძველზე დამკვიდრებულია კანონების შექმნის წესი: ან ყველაზე მდიდრების, ანდა ყველაზე უფროსების, ანდა ერთ ადგილზე ყველაზე დიდხანს მცხოვრებლების ანდა უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით. თუმცა, არსად არ გვხვდება იმის აშკარა მითითება, რომ პოლიტიკური თავისუფლების არსის განსაზღვრის მიზნით კანონებს სულელები ქმნიდნენ, რომლებსაც ყველანი უნდა დაემორჩილონ. პოლიტიკური თავისუფლება თითოეულ შემთხვევაში მიიღწევა რევოლუციის გზით. მაგრამ რამდენადაც ასეთი უგულვებელყოფა უტოპიაა, — საზოგადოებრივი წესრიგი წარმოუდგენელია სამართლებრივი შეზღუდვების გარეშე, — ამდენად ახალი საზოგადოებრივი წესრიგის პირველი ნაბიჯია უარყოფის, უარყოფა და ახალი შეზღუდვების შემოღება, რომელებიც ასევე იწოდებიან თავისუფლებად“.

სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება საბჭოთა კავშირში.

დავუბრუნდეთ საბჭოთა კავშირს. მისი კონსტიტუციის 125-ე მუხლში სწერია: „მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცების მიზნით სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის კანონით უზრუნველყოფილია:

ა) სიტყვის თავისუფლება,

ბ) ბეჭდვის თავისუფლება,

გ) კრებებისა და მიტინგების თავისუფლება,

დ) ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლება.

მოქალაქეთა ეს უფლებანი უზრუნველყოფილია მშრომელებისა და მათი ორგანიზაციებისათვის სტამბების, ქაღალდის მარაგის, საზოგადოებრივი შენობების, ქუჩების, კავშირგაბმულობის საშუალებათა და სხვა მატერიალურ პირობათა მინიჭებით, რომლებიც კი აუცილებელია მათი განხორციელებისათვის". ეს მუხლი ნათელ შთაბეჭდილებას ახდენს. სხვა კონსტიტუციების შესაბამისი მუხლების მსგავსად იგი არ სჯერდება სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების გარანტიების მიცემას, იგი ამასთანავე მიანიშნებს ასეთი თავისუფლების უზრუნველმყოფელ საშუალებებზე. თუმცა პრაქტიკა მოწმობს, რომ ამ გარანტიების მიუხედავად, საბჭოთა კავშირში სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების საქმე ჯერ კიდევ შორსაა იდეალურისაგან. როგორც ზევით მიუთითებდი, ზოგიერთი მწერალი ხშირად წუხს იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური ხელისუფალნი მათ ლაგამამოდებულებს ატარებენ და იმის თქმა, რომ პლატონი მისი სახელმწიფოდან საერთოდ ყველა მწერლის გაძევებას აპირებდა, მათთვის ვერაფერი ნუგეშია.

სოციალისტური სახელმწიფოს აშენება თუ ლანძღვის თავისუფლება?

მართალია ვწუხვარ, რომ საბჭოთა კონსტიტუციის 125-ე მუხლი ჯერ კიდევ მთლიანად არაა ცხოვრებაში გატარებული, მაგრამ, მეორეს მხრივ, კარგად მესმის, რომ საბჭოთა კავშირს არ სურს ძალიან აჩქარებით გაიაროს დარჩენილი გზა, რომელიც სოციალისტური სახელმწიფოს აშენების სრული განხორციელებისაგან აშორებს. საბჭოთა კავშირი ვერასოდეს ვერ მიაღწევდი იმას, რასაც

მან მიაღწია, თუ იგი შინ დაუშვებდა დასავლეთევროპული ყაიდის პარლამენტურ დემოკრატიას. ლანძღვის შეუზღუდავი თავისუფლების პირობებში სოციალიზმის აშენება არასდროს არ იქნებოდა შესაძლებელი. პარლამენტისა და პრესის მუდმივი თავდასხმების ქვეშ მყოფი და არჩევნების შედეგებზე დამოკიდებული მთავრობა ვერასოდეს ბიძეულებდა მოსახლეობას თავის თავზე აეღო ის ტვირთი, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი იყო ასეთი მშენებლობის განხორციელება. ალტერნატივის წინაშე მდგარმა საბჭოთა ხელმძღვანელებმა, რომლებსაც თავიანთი ძალების საკმაოდ დიდი ნაწილი ან უაზრო და ღვარძლიანი თავდასხმების მოგერიებაზე უნდა გაეხარჯათ, ან მთელი თავიანთი ძალები მიემართათ დაწყებული მშენებლობის დამთავრებაზე, მხარი დაუჭირეს ლანძღვის თავისუფლების შეზღუდვას.

„და ამახ ბქვია დემოკრატია".

დაცინვა, ბუზღუნი და ავყიოობა ბევრისათვის ისეთი აქვიატებული საქმიანობაა, რომ მის გარეშე ცხოვრება შეუძლებლად შიაჩნიათ. ასეთი საქმიანობისთვის მსოფლიოს ხალხთა ენებზე არსებობს განსხვავებული სიტყვები და წარმომიდგენია, რომ ზოგიერთს ლანძღვის თავისუფლების შეზღუდვა წმინდა დესპოტიზმი ჰგონია. ამიტომაცაა, რომ ბევრი საბჭოთა კავშირს უწოდებს დემოკრატიის საპირისპირო ქვეყანას და იმასაც კი ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირსა და ფაშისტურ დიქტატურას შორის არაფერი განსხვავებაა. ბრმა ცოდვილები! საბჭოების დიქტატურა ძირითადად კრძალავს ორი შეხედულების სიტყვიერად, წერილობით და მოქმედებით გავრცელებას: ერთი, რომ სოციალიზმის აშენება საბჭოთა კავშირში შეუძლებელია მსოფლიო რევოლუციის გარეშე, მეორე შეხედულება კი ისაა, რომ საბჭოთა კავშირი წააგებს მომავალ ომს. ის, ვინც ამ ორი აკრძალვიდან გამომდინარე საბჭოთა კავშირისა და ფაშისტურ დიქტატურის სრულ ერთგვაროვნებას ამტკიცებს, მას თვალთახედვის არედან რჩება ერთი არსებითი განსხვავება, კერძოდ რომ საბჭოთა კავშირი კრძალავს ორჯერ ორი=ხუთის აგიტაციას, მაშინ როდესაც ფაშისტური დიქტატურები კრძალავენ ორჯერ ორი=ოთხის აგიტაციას.

ჯერ გამარჯვება, შემდეგ კი ფორმაზე ღილების დაკერება.

რა თქმა უნდა, საბჭოთა ადამიანები ესწრაფვიან იმ ხარვეზების გამოსწორებას, რომლებიც მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა. მათ რომ ეს სწადიათ, ცხადყვეს კონსტიტუციის მიღებით და მისით გამოწვეული სიხარულით, მაგრამ ისინი ფრთხილი, ჭკვიანი და თანმიმდევრული ხალხია. ვიდრე მოხმარების საგნების წარმოებას უფრო ფართო მასშტაბებით შეუდგებოდნენ, მათ სახელმწიფო უზრუნველყვეს ნედლეულითა და მანქანებით, ახლაც, სანამ ცალკეულ მოქალაქეს უბოძებენ სოციალისტური დემოკრატიის ყველა უფლებას, მათ სურთ უზრუნველყონ ასეთი დემოკრატიის არსებობა, გაიმარჯვონ ომში, ანდა უკუაგდონ მისი საფრთხე. „არა უშავს, ამხანაგო, ჩვენ ომში მყოფი ლაშქარი ვართ, — მითხრა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პირმა, — როდესაც ჩვენ ვლაპარაკობდით სოციალისტური დემოკრატიის ჯერ კიდევ ჩრდილოეთ მხარეებზე — ჩვენ ჯერ უნდა გავიმარჯვოთ, შემდეგ კი ხელს მოკიდებთ ისეთი საკითხების გადაჭრას, თუ როგორ აკობებს ფორმაზე ღილის მიკერება — ოდნავ ზევით თუ ოდნავ დაბლა“.

დემოკრატიული დიქტატორი.

„კერძოდ, რა გსურთ? — შემეკითხა ხუმრობით ერთი საბჭოთა ფილოლოგი, როდესაც მასთან ერთად ამ თემაზე ვსაუბრობდით. დემოკრატია — ეს ხალხის ბატონობაა. დიქტატურა — ერთი ადამიანის ბატონობაა. მაგრამ თუ ეს ადამიანი ხალხის ინტერესების ისეთი იდეალური გამომხატველია, როგორც ეს ჩვენთანაა, — მაშინ დემოკრატია და დიქტატურა განა ერთი და იგივე არაა?“

სტალინის კულტი.

ამ ხუმრობას ძალიან სერიოზული საფუძველი აქვს. თაყვანისცემა და უზომო კულტი, რითაც ადამიანები მოსავენ სტალინს, — ესაა პირველი, რაც საბჭოთა კავშირში მოგზაურ უცხოელს თვალში ეცემა ყველა კუთხეში და გზაჯვარედინზე. შესაფერის თუ მოუსადაგებელ ადგილებში ყველგან ჩანს სტალინის გიგანტური ბიუსტები და პორტრეტები. არა მარტო პოლიტიკური სიტყვები, არა-

მედ ნებისმიერ სამეცნიერო და მხატვრულ თემებზე გაკეთებული მოხსენებები გადავსებულია სტალინის განდიდებით და ხშირად ასეთი გალმერთება ულაზათო ფორმებს ღებულობს.

მაგალითები.

აი რამდენიმე მაგალითი. ჩემს მიერ ზემოთ აღფრთოვანებით აღწერილ სამშენებლო გამოფენის სხვადასხვა დარბაზებში დადგმულია სტალინის ბიუსტები, ამას თავისი აზრი აქვს. ვინაიდან სტალინი მოსკოვის სრული რეკონსტრუქციის ერთ-ერთი ინიციატორია. მაგრამ, მეტი რომ არ ითქვას, გაუგებარია, რა ურთიერთობა აქვს სტალინის ულამაზო კოლოსალურ ბიუსტს რემბრანდტის სურათების გამოფენასთან, რომლის დანარჩენი ნაწილიც გემოვნებითაა გაფორმებული. საგონებელში ჩავვარდი, როდესაც საბჭოთა დრამის ტექნიკაზე გაკეთებულ ერთ-ერთი მოხსენებისას გავიგონე რომ გამომსვლელი, აქამდე რომ ზომიერების ზღვარს იცავდა, უცბად ალენთო სტალინის დამსახურებათა უზომო ხოტბით.

საფუძველი.

ეჭვგარეშეა, რომ ასეთი ზომაგადასული თაყვანისცემა უმრავლეს შემთხვევაში წრფელია. ადამიანებს უჩნდებათ თავიანთი მადლიერების, თავიანთი უზომო აღტაცების გამოხატვის მოთხოვნილება. ისინი ნამდვილად ფიქრობენ, რომ ყველაფერი. რაც მათ გააჩნიათ და რანიც არიან, სტალინის დამსახურებაა. მართალია სტალინის ასეთი გალმერთება დასავლეთიდან ჩამოსულ კაცს შეიძლება უცნაური, ზოგჯერ კი აუტანელიც ეჩვენოს, მე მაინც ვერსად მივაკვლიე ამ გრძნობის ხელოვნურობის ნიშნებს. ეკონომიკური მშენებლობის მიღწევებთან ერთად იგი ბუნებრივად წარმოიშვა. ხალხი სტალინის მადლიერია პურისათვის, წესრიგისათვის, განათლებისათვის და ამ ახალი კეთილდეობის უზრუნველმყოფელი ჯრმოის შექმნისათვის. ხალხს სურს ჰყავდეს ისეთი ვინმე, რომლისადმიც თავიანთი ცხოვრების პირობების უეჭველი გაუმჯობესებისათვის მადლიერებას გამოხატავდა და ამ მიზნისთვის ირჩევს არა განყენებულ ცნებას, არა აბსტრაქტულ „კომუნიზმს“, არა-

მედ კონკრეტულ ადამიანს — სტალინს. რუსს სჩვეია გაზვიადება, მისი სიტყვა და ენერგია გარკვეულწილად ალმატებით ხარისხს გამოხატავენ. იგი ხარობს, როდესაც შეუძლია გამოაცალინოს თავისი გრძნობები. მაშასადამე, უხიმო თაყვანისცემა ეკუთვნის არა ადამიან სტალინს — იგი ეკუთვნის აშკარა წარმატებების მქონე სამეურნეო მშენებლობის წარმომადგენელს. ხალხი ამბობს — სტალინი და მასში გულისხმობს სწორედ მზარდ აყვავებას, მზარდ განათლებას. ხალხი ამბობს: ჩვენ გვიყვარს სტალინი და ეს არის ხალხის ნდობის ყველაზე უშუალო, ყველაზე ბუნებრივი გამოხატულება ეკონომიკური მდგომარეობისადმი, სოციალიზმისადმი, რეჟიმისადმი.

სტალინის ხალხურობა.

არადა სტალინი ნამდვილად არის ხალხის ღვიძლი შვილი. იგი სოფელი მეწყალის შვილია და აქამდე შეინარჩუნა კავშირი მუშებთან და გლეხებთან. ჩემთვის ცნობილი ნებისმიერი სხვა სახელმწიფო მოღვაწეთაგან განსხვავებით იგი ლაპარაკობს ხალხის ენით. სტალინი გარკვეულად არცაა დიდი ორატორი. იგი ლაპარაკობს ნელ-ნელა, ყოველგვარი ბრწყინვალების გარეშე, ოდნავ ყრუ ხმით, ძძიმე-ძძიმედ. იგი ნელ-ნელა ავითარებს ხალხის საღი აზრისაკენ მიმავალ თავის არგუმენტებს, რომლებსაც სწრაფად ვერ სწვდებიან, მაგრამ საფუძვლიანად იგებენ. მთავარი სტალინთან — ესაა იუმორი, საფუძვლიანი, ეშმაკური, მშვიდი, ხანდახან დაუნდობელი გლეხური იუმორი. თავის სიტყვებში მას სიამოვნებით მოჰყავს იუმორისტული პწკარედები პოპულარული რუსი მწერლების თხზულებებიდან. იგი არჩევს სასაცილოს და იყენებს პრაქტიკულად, მისი სიტყვების ზოგიერთი ადგილი ძველებური კალენდრების მონათხრობებს გვაგონებს. როდესაც სტალინი თავისი ცბიერი, სასიამოვნო ჩაცინებებით, საჩვენებელი თითის მისებური დამახასიათებელი ენერგიით ლაპარაკობს, სხვა ორატორებივით იგი არ თიშავს საკუთარ თავსა და აუდიტორიას, მთლად თვალშისაცემად სცენაზე იგი არასოდეს არ მაღლდება, როდესაც დანარჩენები დაბლა სხედან. იგი ძალიან სწრაფად ამყარებს კავშირს, ინტიმურობას ბაკის თავსა და მსმენელებს შორის. ისინიც იმავე მასალისგან არიან გამოძერწილნი, როგორითაც თავად სტა-

ლინი. მ[illegible] გაბაგებია სტალინის მოსაზრებები, ისინი მასთან ერთად გულიანად იცინიან ყოველდღიური ამბებზე.

სტალინის სიტყვის ტექნიკა.

არ შეიძლება არ მოვიყვანო მაგალითი, რომელიც ცხადყოფს სტალინის მჭევრმეტყველების ხალხურ ხასიათს. იგი ლაპარაკობს, მაგალითად კონსტიტუციაზე და დასკინის ოფიციოზს „დოიჩე კორესპოდენცს", რომელიც აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნამდვილ კონსტიტუციად, რადგან საბჭოთა კავშირი გეოგრაფიული ცნების გარდა სხვას არაფერს არ წარმოადგენსო.

ბიუროკრატი და ამერიკა.

„რა შეიძლება ითქვას, კითხულობს სტალინი, — ამნაირ, უკაცრიელ პასუხია, „კრიტიკოსებზე"? და იგი მხიარულად განწყობილ კრებას უყვება: ერთ-ერთ თავის მოთხრობა-ზღაპარში დიდი რუსი მეჭერადი შჩედრინი იძლევა ძალიან შეზღუდული და ჩლუნგი, მაგრამ უკიდურესობამდე თავდაჯერებული და ამპარტავანი ბიუროკრატის ტიპს. მას შემდეგ, რაც ამ ბიუროკრატმა მისდამი „მიბარებულ" დარგში „წესრიგი და სიმშვიდე" დაამყარა, გაწყვიტა ათასობით მცხოვრები და ცეცხლს მისცა ათობით ქალაქი, მიმოიხედა ირგვლივ და ჰორიზონტზე იხილა ამერიკა, ქვეყანა, რა თქმა უნდა, ნაკლებადცნობილი, სადაც თურმე არსებობს რალაც თავისუფლებები — ხალხს რომ აღაფრთოვანებს, სადაც სახელმწიფოს მართავენ სხვანაირი მეთოდებით. ბიუროკრატმა დაინახა ამერიკა და აღშფოთდა: ეს რა ქვეყანაა, საიდან გაჩნდა იგი, რა საფუძველზე არსებობს იგი? რა თქმა უნდა, იგი შემთხვევით აღმოჩენილა რამდენიმე საუკუნის წინ, მაგრამ განა არ შეიძლება ხელახლა ისე დაიკეტოს, რომ მისი ხსენება მოისპოს? თქვა ეს და დადო რეზოლუცია: „ამერიკა — კვლავ დაიხუროს!".

სტალინი და მისი ნაციონალ-სოციალისტი კრიტიკოსი.

„მე მგონია, — უხსნის სტალინი კრებას, რომ ბატონები „დოიჩე დიპლომატიშპოლიტიშე კორესპონდენციდან" შჩედრინის ბი-

უკროკრატს ორი წვეთი წყალივით ჰგვანან. სსრ კავშირმა ამ ბატონებს უკვე დიდი ხანია თვალებზე ძირმაგარები ამოუყვანა. ცხრამეტი წელია სსრ კავშირი დგას როგორც შუქურა და გათავისუფლების სულისკვეთებას გადასდებს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს და მისი მტრების გაცოფებას იწვევს. ირკვევა, რომ საბჭოთა კავშირი არა მარტო არსებობს, არამედ იზრდება კიდეკაც და არა მარტო იზრდება, არამედ ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს და არა მარტო ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს, არამედ ახალი კონსტიტუციის პროექტსაც ქმნის, პროექტს, რომელიც აღანთებს გონებას, ახალ იმედებს უნერგავს ჩაგრულ კლასებს. ყოველივე ამის შემდეგ აბა როგორ არ აღშფოთდნენ ბატონები გერმანული ოფიციოზიდან? ეს რა ქვეყანაა, გაჰკიოიან ისინი, რა საფუძველზე არსებობს იგი და თუ იგი 1917 წლის ოქტომბერში აღმოაჩინეს, მაშინ გაბა არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენება არსად არ იყოს? და, თქვეს რა ეს, დაადგინეს: საბჭოთა კავშირი კვლავ დაიხუროს, საქვეყნოდ გაცხადდეს, რომ სსრ კავშირი, როგორც სახელმწიფო, არ არსებობს, რომ სსრ კავშირი სხვა არაფერია, თუ არა უბრალო გეოგრაფიული ცნება!".

დაუჯერებელი სინამდვილე.

როდესაც შჩედრინის ბიუროკრატმა ამერიკას კვლავ დახურვის რეზოლუცია დაადო, სიჩლუნგის მიუხედავად, მან თავის თავში მაინც მიაგნო რეალურობის ელემენტებს, როდესაც იქვე თავისთვის ჩაილაპარაკა: „მაგრამ, მგონი ეს ჩემზე არაა დამოკიდებული". მე არ ვიცი ეყოფათ კი ჰუა ბატონებს გერმანული ოფიციოზიდან იმის მისახვედრად, რომ ქალალდზე, რა თქმა უნდა, შეუძლიათ ამა თუ იმ სახელმწიფოს „დახურვა", მაგრამ თუ სერიოზულად ვიტყვით, მაშინ „ეს მათზე არაა დამოკიდებული".

მოსკოვმა ხმამაღლა უნდა ილაპარაკოს, თუ ხურს, რომ ვლადივოსტოკმაც მოუსმინოს.

ასე ელაპარაკება სტალინი ხალხს. როგორც ხედავთ, მისი გამოსვლები ძალიან საქმიანი და ერთგვარად პრიმიტიულია, მაგრამ მოსკოვში ძალიან ხმამაღლა და გარკვევით უნდა ილაპარაკონ, თუ

ენდათ, რომ ვლადივოსტოკშიც გაუგონ. ამიტომ სტალინი ლაპარაკობს ხმამაღლა და ბარკვეით, თითოეულს ესმის მისი სიტყვები და ხარობს ამით. სტალინის სიტყვები ქმნიან სიახლოვის გრძნობას მასა და მის მსმენელ ხალხებს შორის.

პოლიტიკური მოღვაწე და არა კერძო პირი.

ამასთან, სხვა ხელისუფალთაგან განსხვავებით სტალინი ძალიან უბრალოა. მას არ მიუთვისებია რაიმე აღმატებული ტიტული და თავის თავს უბრალოდ ცენტრალური კომიტეტის მდივანს უწოდებს. საზოგადოებრივ ადგილებში იგი ბაშინ ჩნდება, როდესაც ეს უაღრესად საჭიროა; მაგალითად, იგი არ ესწრებოდა კონსტიტუციის მიღების გამო გამართულ დიდ საზეიმო დემონსტრაციას. რომელსაც მოსკოველები ატარებდნენ წითელ მოედანზე და რომელსაც ხალხმა მისი სხეული უწოდა. საზოგადოებისათვის სტალინის პირადი ცხოვრებიდან ძალიან ცოტა რამეა ცნობილი. მასზე ჰყვებიან ასობით ანეკდოტს, კერძოდ იმის შესახებ თუ რა ახლოს მიაქვს გულთან თითოეული ადამიანის ბედი, მაგალითად, ცენტრალურ აზიაში მომაკვდავი ბავშვის გადასარჩენად სხვანაირად რომ ვერაფერს შველოდნენ როგორ გააგზავნა წამლებით დატვირთული თვითმფრინავი; ანდა როგორ აიძულა ერთი მეტისმეტად მორიდებული მწერალი, თავის თავზე რომ არ ზრუნავდა, გადასულიყო რიგიან ბინაში. მაგრამ ასეთი ანეკდოტები მხოლოდ ზეპირად ვრცელდება და პრესაში განსაკუთრებულ შემთხვევებში თუ გამოჩნდება. სტალინის პირად ცხოვრებაზე, მისი ოჯახის, ჩვეულებების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. იგი ნებას არ რთავს საჯაროდ აღნიშნონ მისი დაბადების დღე. როდესაც საზოგადოებრივ ადგილებში სტალინს ესალმებიან, იგი ყოველთვის ცდილობს ხაზი გაუსვას, რომ ეს მისალმება ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ გატარებულ პოლიტიკას და არა პირადად მას. მაგალითად, როდესაც ყრილობამ დაადგინა მიეღო სტალინის მიერ შემოთავაზებული და საბოლოოდ რედაქტირებული კონსტიტუცია და დაუცხრომელი ოვაცია მოუწყო მას, იგი ტაშს სხვებთან ერთად უკრავდა, რათა ეჩვენებინა, რომ იგი ამ ოვაციას იღებდა არა როგორც მისადმი, არამედ მისი პოლიტიკისადმი მადლობას.

ერთი სადღეგრძელო მეგობრების წრეში.

სტალინს, როგორც ჩანს, ბეზრდება ასეთი გალმერთება და ხანდახან ამაზე თავად ეცინება. ჰყვებიან, რომ მეგობართა ინტიმურ წრეში ახალი წლის ეახშამზე სტალინმა ასწია ჭიქა და თქვა: „მე ვსვამ ხალხთა შეუდარებელი ბელადის, გენიალური ამხანაგის, სტალინის ჯანმრთელობის სადღეგრძელოს. აი, ჩემო მეგობრებო, ეს ბოლო სადეგრძელო, რომელიც ამ წელს ჩემს გამო შეისმება".

გულახდილობა და უბრალოება.

ხელისუფლების სათავეში მყოფი ჩემთვის ცნობილი ყველა ადამიანისაგან სტალინი თავისი უბრალოებით გამოირჩევა. მე მას გულწრფელად ველაპარაკებოდი მისი პიროვნების უგემოვნო, ზომაგადასულ კულტზე და იგიც, ასევე გულახდილად მპასუხობდა. მან თქვა, რომ ენანება ის დრო, რომელსაც კარგავდა წარმომადგენლობებზე. ეს საკვლევით დასაჯერებელია: მე ბევრს მიყვებოდნენ და დოკუმენტალურადაც მიმტკიცებდნენ, რომ სტალინი უზარმაზარ შრომის უნარს ფლობდა და თავად სწვდებოდა ყველა წვრილმანს. მას მართლაც არ რჩებოდა დრო ზედმეტი ცერემონიებისათვის. მის სახელზე მოსული ასობით მისასალმებელი დეპეშიდან იგი ერთზე მეტს არ პასუხობს. სტალინს ახასიათებს უკიდურესი, თითქმის თავხედობამდე მისული სწორხაზოვნება და საწინააღმდეგო არაფერი აქვს თავისი მოსაუბრის ასეთივე თვისებისა.

ულვაშებიანი-ადამიანის ასი ათასი პორტრეტი.

მე შევნიშნე, რომ მის პიროვნებას გადამეტებულად თაყვანს სცემდნენ. ამაზე მან მხრები აიჩეჩა. მან თქვა, რომ ჰპატიობდა ამას თავის მუშებსა და გლეხებს, რომ ისინი ძალიან დაცებულნი იყვნენ სხვა საქმეებით და ვერ შეძლეს თავის თავში ზომიერი გემოვნების გამომუშავება. სტალინმა მსუბუქად გაიხუმრა საოცარ ზომებამდე გადიდებულ ულვაშებიანი კაცის ასი ათასობით პორტრეტზე, რომლებიც მის წინ მოაქვთ ხოლმე დემონსტრაციებზე. მე შევახსენე, რომ უთუოდ გემოვნებიანი ადამიანებიც კი ჰფენენ მის პორტრეტებსა და დგამენ ბიუსტებს, თანაც როგორებს! —

ჰფენენ და დგამენ ისეთ ადგილებში, რომლებთანაც მათ არაკითარი საერთო არა აქვთ, როგორც, მაგალითად რემბრანდტის გამოფენაზე. აქ მან სერიოზული სახე მიიღო. სტალინმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ამ ადამიანებმა საკმაოდ გვიან ცნეს არსებული რეჟიმი და ახლა გაორმაგებული მონდომებით ცდილობენ თავიანთი ერთგულების დამტკიცებას. დიახ, სტალინი შესაძლებლად თვლის, რომ ამ საქმეში ადგილი აქვს მავნებლების განზრახვას, რომლებიც ამგვარად ცდილობენ მის დისკრედიტაციას. „პირმოთნე სულელს, — წყენით თქვა სტალინმა, — უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე მტრების ასეულს". მთელ ამ ხმაურს, ვანაკუბადა მან, იგი მხოლოდ იმიტომ ითმენს, რომ იცის თუ როგორ გულუბრყვილო სიხარულს ანიჭებს საზეიმო ჩოჩქოლი მის ორგანიზატორებს და რომ ყველაფერი ეს ეხება მას არა როგორც ერთ პიროვნებას, არამედ მიმდინარეობის წარმომადგენელს, რომელიც ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირში უფრო მნიშვნელოვანია სოციალისტური მეურნეობის აშენება, ვიდრე პერმანენტული რევოლუცია.

პარტიული დადგენილება.

მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიულმა კომიტეტებმა უკვე გამოიტანეს დადგენილება, რომელიც მკაცრად გმობს „პარტიული ხელმძღვანელების უსარგებლო და უაზრო ხოტბის ცრუ პრაქტიკას", რის გამოც გაზეთების ფურცლებიდან თანდათან გაქრა უზომოდ აღფრთოვანებული მისასალმებელი დეპეშები.

დიდი მიზანი.

საერთოდ და მთლიანად ახალი დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც სტალინმა მისცა საბჭოთა კავშირს, — ეს არაა უბრალო დეკორაცია, რომელშიც დროდადრო ქედმაღლურად აჩეჩილი მხრებით შეიძლება ჩაიხედო. მართალია სტალინისა და მისი თანამებრძოლების მიერ გამოყენებული საშუალებები ზოგჯერ მთლად ნათელი არ იყო,—მათ დიდ ბრძოლაში ეშმაკობა ისევე აუცილებელი იყო, როგორც მამაცობა, — მაგრამ სტალინი გულწრფელია, როდესაც თავის საბოლოო მიზნად სოციალისტური დემოკრატიის განხორციელებას ისახავს.

თავი IV

ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი

კონსტიტუციის მუხლი.

„...უფლების რაიმე პირდაპირი, ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან, პირიქით, მოქალაქეთა პირდაპირი, ან არაპირდაპირი უპირატესობის შემოღება მათი რასიული და ნაციონალური კუთვნილების მიხედვით, აგრეთვე რასიული ან ნაციონალური განკერძოებულობის, ან სიძულვილისა და ქედმაღლობის ყოველგვარი ქადაგება — ისჯება კანონით“ — ნათქვამია საბჭოთა კონსტიტუციის 123-ე მუხლში.

ეროვნული პრობლემა.

კონსტიტუციის II თავი — სახელმწიფოებრივი წყობილება — ჩამოთვლის მრავალ ეროვნებას და როდესაც მოსკოვში ყრილობაზე შენს წინ ხედავ თავების მთელს ამ მრავალფეროვნებას: ქართულს, თურქმენულს, უზბეკურს, ყირგიზულს, ტაჯიკურს, ყალმუხურს, იაკუტურს — მხოლოდ მაშინ ხდება ცხადი თუ რა უზომოდ ძნელ ამოცანას წარმოადგენდა ამ ეროვნებათა ნამგალისა და უროს სიმბოლოს ქვეშ გაერთიანება. ეროონული პრობლემის გადასაჭრელად საბჭოთა კავშირს გარკვეული დრო დასჭირდა. მაგრამ ახლა მან იგი საბოლოოდ მოაგვარა, საბჭოთა კავშირმა ცხადყო, რომ ნაციონალიზმის ინტერნაიცონალიზმთან შეთავსება შესაძლებელია.

ამ პრობლემის გადაწყვეტა.

როდესაც 1924 წელს სტალინმა განაცხადა, რომ რუსი გლეხი თავის თავში სოციალიზმის შესაძლებლობების მატარებელია, ანუ

სხვა სიტყვებით, შეუძლია თავისი ეროვნულობის შენარჩუნებით გახადეს ინტერნაციონალური, მოწინააღმდეგეებმა დასცინეს და უტოპისტი უწოდეს. პრაქტიკამ კი ცხადყო სტალინის თეზისების სისწორე, ბელორუსიიდან შორეულ აღმოსავლეთამდე გლეხები სოციალიზმს ეზიარნენ. სამშობლოსადმი საბჭოთა ადამიანების სიყვარული არ ჩამოუვარდება ფაშისტებისას თავიანთი სამშობლოსადმი, მაგრამ აქ მხედველობაშია მისალები საბჭოთა სამშობლოს სიყვარული. ეს ნიშნავს, რომ ასეთი სიყვარული არა მარტო მისტიკურ ქვეცნობიერებას ეფუძნება, არამედ გონების სიმტკიცითაა გამაგრებული. დიდმა ფსიქოლოგ-პრაქტიკოსმა სტალინმა სასწაული მოახდინა, როდესაც მრავალი ხალხის პატრიოტიზმი ინტერნაციონალური სოციალიზმის მიზნების სამსახურში ჩააყენა. დღეს იგი სინამდვილედაა ქცეული: ციმბირის შორეული დასახლებების მცხოვრებლები გერმანიისა და იტალიის თავდასხმას ესპანეთის რესპუბლიკაზე ისეთი აღშფოთებით აღიქვამენ, თითქოსდა იგი უშუალოდ მათ ეხება. საბჭოთა კავშირის თითოეულ სახლში ჩამოკიდებულია ესპანეთის რუქა და თავად ვნახე მოსკოვის ახლო-მახლო რაიონებში როგორ ტოვებდნენ გლეხები სამუშაოს, საქმელსაც კი არ სჭამდნენ, რათა მიესწროთ რადიოგადაცემებისათვის ესპანეთის ამბებზე. სოფლის მოსახლეობასაც კი მთელი მისი ნაციონალიზმის მიუხედავად საბჭოთა სახელმწიფომ გაუღვიძა საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობა.

ფორმით ეროვნული, შინაარსით ინტერნაციონალური.

სადღეისოდ ცხოვრებაში განხორციელებულია სტალინური ფორმულა — კულტურა „ფორმით ეროვნული, შინაარსით ინტერნაციონალური“ [1]. სოციალიზმი საბჭოთა კავშირში ვლინდება მრავალ ენაზე და სხვადასხვაგვარად ფორმით ეროვნულში და არსით ინტერნაციონალურში. ავტონომიური რესპუბლიკების ეროვნული განსაკუთრებულობანი — ენა, ხელოვნება, ყველანაირი ფოლკლორი მზრუნველობითა და სიყვარულითაა გარემოცული. ხალხებს, რომლებიც აქამდე მხოლოდ ზეპირად მეტყველებდნენ,

---

[1] სტალინთან—„სოციალისტური“.—რედ.

დაწერილობა შეექმნეს. ყველგან არსებობს ეროვნული მუზეუმები, ეროვნული ტრადიციების საკვლევი სამეცნიერო ინსტიტუტები, ძალიან დონეზე დგას ეროვნული საოპერო და დრამატული თეატრები. მე მოწმე გავხდი იმ აღფრთოვანებისა, რომლითაც თეატრალურ სანახაობებით განებივრებული მოსკოველები ხვდებოდნენ დიდ თეატრში დადგმულ ქართულ ოპერას.

ებრაელთა საკითხის გადაწყვეტა.

იმაში, თუ რამდენად ჯანსაღი და ქმედითია საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკა, ყველაზე უკეთ დამაჯერებელია საბჭოთა კავშირში ებრაელთა საკითხის გადაჭრის მეთოდმა. მეფის მინისტრმა პლევემ, მისივე სიტყვებით, სხვა გამოსავალი ვერ მონახა, გარდა იმისა, რომ აიძულა ებრაელთა ერთი მესამედი გაქრისტიანებულიყო, მეორე მესამედი ემიგრაციაში წასულიყო, ხოლო მესამედი ამომწყდარიყო. საბჭოთა კავშირმა სხვა გზას მიმართა. მან მოახდინა თავისი. ხუთმილიონიანი ებრაული მოსახლეობის დიდი ნაწილის ასიმილაცია, ხოლო მეორე ნაწილს უბოძა ერცელი ავტონომიური ოლქი და შეუქმნა იქ დასახლების პირობები, რითაც რეჟიმის ფანტასტიკურად ერთგული მილიონობით შროშისმოყვარე, უნარიანი მოქალაქე გაიჩინა.

ებრაელთა ქმაყოფილება.

საბჭოთა კავშირში სხვადასხვა წრეებიდან გამოსული ბევრ ებრაელს შევხვდი, რადგან მათი მდგომარეობა მაინტერესებდა. დაწვრილებით ვესაუბრე მრავალ მათგანს. წარმოების პროცესის განსაკუთრებული ტემპები საჭიროებენ ხალხს, ხელებს, ჭკუას. ებრაელები ხალისით ჩაებნენ ამ პროცესში და ეს ხელს უწყობდა მათ ასიმილირებას, რამაც საბჭოთა კავშირში ბევრად წინ წაიწია, ვიდრე სადმე სხვაგან. მოხდა ისე, რომ ებრაელები მეუბნებოდნენ: „მრავალი წელია აღარ მიფიქრია, რომ ებრაელი ვარ, მხოლოდ თქვენი შეკითხვები მახსენებენ ამას“. ჩემთან შეხვედრილი ებრაელები ხაზს უსვამდნენ ახალი სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი მათ სრულ ერთსულოვნებას, რაც მეტად ამაღელვებელი იყო. ადრე მათ ბიოკოტს უცხადებდნენ, სდევნიდნენ, არ ჰქონდათ პრო-

ფესიები, მათ სიცოცხლეს აზრი ეკარგებოდა, — ახლა ისინი, — გლეხები, მუშები ინტელიგენტები, ჯარისკაცები — მადლიერებით აღივსნენ ახალი წყობილებისადმი.

ებრაელი გლეხები.

მიწათმოქმედებას მრავალი წლით მომწყდარი ებრაელები არაჩვეულებრივი გატაცებით მიეძალნენ მას. ებრაელთა კოლმეურნეობები ხშირად მეპატიჟეებოდნენ თავიანთთან. მაგრამ მე უფრო მაინტერესებდა საბჭოთა არაებრაელი გლეხების ნაამბობი ამ კოლმეურნეობებზე. ეფიქრობდი, რომ ანტისემიტიზმი, თუკი იგი არსებობდა, ყველაზე მეტად აქ უნდა გამომჟღავნებულიყო, ვიდრე სადმე სხვაგან. გაირკვა, რომ არაებრაელი გლეხები თავდაპირველად მართლაც სუფევრული წარმოდგენებისა იყვნენ ებრაელებზე და მათ მიწათმოქმედებისათვის აბსოლუტურად უეარგის ხალხად თვლიდნენ. ახლა ისინი გულახდილად იკინოდნენ თავიანთ წინანდელ წარმოდგენებზე. მიყვებოდნენ დიდი მეგობრულ შეჯიბრებებზე ახალმოსახლე ებრაელებსა და არაებრაელებს შორის უკრაინაში, ყირიმში, დონის ოლქში. დონის კაზაკები მეუბნებოდნენ, რომ ებრაელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო შეჯიბრებებში მიღწეულმა წარმატებებმა კი არ გაფანტა კაზაკების ძველი უნდობლობა მათდამი, არამედ იმან, რომ ებრაელები აღმოჩნდნენ საუკეთესო მხედრებიო.

ახალგაზრდა ებრაელი ინტელიგენცია.

ასეულობით წლის მანძილზე განათლებასა და მეცნიერებას მოწყვეტილი ებრაელები ახლა დიდი გატაცებით დაეწაფნენ მათ. ფიყვებოდნენ, რომ ებრაელთა სოფლებში საგრძნობლად აკლდათ თხუთმეტიდან ოცდაათ წლამდე ასაკის ხალხი. მთელი ებრაელი ახალგაზრდობა სასწავლებლად ქალაქად მიდისო.

„ებრაელი ხალხის მავნეობის ილუზია“.

ამრიგად, თუ საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარება, ერთის მხრივ, ებრაელების ასიმილაციას უწყობდა ხელს, მეორეს

მხრივ, საბჭოთა კავშირმა საბოლოოდ მოსპო „ებრაელი ხალხის მავნებლობის ილუზიის“ თეზისი და თავის ებრაელ მოსახლეობას საშუალება მისცა საკუთარი ეროვნულობის შესანარჩუნებლად.

ებრაელთა ნაციონალიზმი საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა ებრაელების ნაციონალიზმი გამოირჩევა თავისებური ემოციურობით. ამას ორი შემდეგი ფაქტი განაპირობებს. პირველი ისაა, რომ საბჭოთა ებრაელი თავის ენად აღიარებს ძრა ტრადიციებით მდიდარ, კეთილშობილურ, მაგრამ არც მაინცდამაინც მიზანშეწონილ ძველ-ებრაულ ენას, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოტარებულ სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგან შემდგარ ებრაულს, რომელიც სულ ცოტა ხუთი მილიონი ადამიანისთვისაა სალაპარაკო ენა. მეორე ფაქტი კი ისაა, რომ ებრაელებისათვის ეროვნული სახელმწიფოს მოსაწყობად ბოძებული ქვეყანა, სადაც ისინი დასახლდნენ, ქვეყნის გულიდან შორს იმყოფება, იქ ცხოვრება ძნელია, თუმცა თავის თავში განუსაზღვრელ შესაძლებლობებს შეიცავს.

ებრაული ენა.

ისევე როგორც ყველა სხვა ეროვნული ენის მიმართ საბჭოთა კავშირში ებრაული ენისადმიც კეთილად არიან განწყობილნი. არსებობს ებრაული სკოლები, ებრაული გაზეთები, პირველხარისხოვანი ებრაული პოეზია, ენის განსავითარებლად იწვევენ ყრილობებს, დიდი პოპულარობით სარგებლობენ ებრაული თეატრები. მოსკოვის სახელმწიფო ებრაულ თეატრში ვნახე „მეფე ლირის“ საუცხოო დეკორაციებით ინსცენირებული დადგმა, მთავარ როლში დიდი მსახიობის მიხოელსისა და შესანიშნავი კომიკოსის ზუსკინის მონაწილეობით.

ებრაული სახელმწიფო ბირობიჯანი — ეს უტოპიაა,

ებრაელების ეროვნული სახელმწიფოს მოწყობა თავიდან წარმოუდგენელ სიძნელეებს გადააწყდა. საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგები, და არა მარტო ისინი, თვლიდნენ, რომ ეს ისეთივე გაბე-

ული, მაგრამ უიმედო წამოწყება იყო, როგორც ერთ ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის შექმნა. სახსრების უკმარისობა აძნელებდა პროექტის განხორციელებას. ბევრი გადასახლებული კვლავ უკან ბრუნდებოდა და რეჟიმის მოწინააღმდეგეებს ეძლეოდათ საბაბი მწვავე კრიტიკისათვის. ისინი აცხადებდნენ, რომ ამ უტოპიურმა გეგმამ თავდაპირველი წინასწარმეტყველების მიხედვით ოლქის სიშორის, ნიადაგის არახელსაყრელი გეოლოგიური აგებულების, მალარიის, ადგილობრივი ჭირის — კოლოების, — ყველაზე მეტად კი სამეურნეო საქმიანობაში გადაგვარებული პროვინციელი რუსი ებრაელების უვარგისობის გამო მარცხი განიცადაო.

ებრაული სახელმწიფო ბირობიჯანი — ეს სინამდვილეა.

მაგრამ ახლა ბირობიჯანში ნამდვილი ქალაქი წამოიმართა — სკოლებით, საავადმყოფოებით, სამთავრობო სახლებით, თეატრით. ექსპრესს პირდაპირ მოსკოვიდან იქ ჩაჰყავხართ. მართალია, ემიგრაციის გეგმა უახლოეს სამ წელიწადში ითვალისწინებს ასი ათასი ებრაელის გადასახლებას, ხელისუფლებას მაინც ხალხის მკაცრი შერჩევა უხდება, რადგან გადასვლის მსურველი ძალიან ბევრია. ბირობიჯანიდან მრავალი წერილი მივიღე და იქიდან ჩამოსულებსაც საკმაოდ ბევრს ვესაუბრე. არავინ უარყოფს, რომ იქ ცხოვრება ჯერ კიდევ მძიმეა, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ყველაზე ძნელი ეტაპი უკვე განვლილია და რომ მოჩვენებითი უტოპია სინამდვილად გადაიქცა. ებრაელთა სოციალისტური რესპუბლიკა ბირობიჯანი არსებობს. იგი მტკიცედ დგას ფეხზე, თუმცა ნიადაგის გეოლოგიური აღნაგობა ამ საქმეს ისევე უშლის ხელს, როგორც ეროვნული ეკონომიკის მუდმივი კანონები ეწინააღმდეგებიან ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის აშენების შესაძლებლობას.

თავი V

მშვიდობა და ომი

დაიწყება თუ არა ხვალ ომი?

დედამიწის ყველა კუთხეში მოახლოებულ ომზე ბევრს ლაპარაკობენ. კითხვა: „როდის დაიწყება ომი?“ საუბრის აკვიატებული თემაა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულის აზრი ომისკენაა მიპყრობილი, დასავლეთის ფაშისტური ქვეყნების მცხოვრებთა გარდა, მას რეალურად არავინ მიიჩნევს. ადამიანები ცხოვრობენ, შრომობენ, აწყობენ გეგმებს და მაინც არ ფიქრობენ სიკვდილზე, თუმცა არც მის გარდუვალობაში ეპარებათ ეჭვი. საბჭოთა კავშირში თითოეული ადამიანი ასი პროცენტითაა დარწმუნებული უახლოეს მომავალში მოსალოდნელი ომის საფრთხეში. ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური განვითარება და აყვავება, ამბობენ საბჭოთა ადამიანები, ყველა ფაშისტური თეორიის ისეთი ცხადი უარყოფაა, რომ ფაშისტურმა ქვეყნებმა, თუ კი თავად სურთ არსებობა, ჩვენ უნდა გაგვანადგურონ. ისინი იმგვარადვე დაგვესხმიან თავს, როგორც საკუთარი ზელებისა და პრიმიტიული იარაღების ამარა დარჩენილი ბელოსნები თავს დაესხმოდნენ და გაანადგურებდნენ რთულ მანქანებს, თუკი ამ მანქანებიდან მოსალოდნელ საფრთხეს იგრძნობდნენ. ასევე ფაშისტური საბელმწიფოები ბოლოს და ბოლოს თავს დაგვესხმიან ჩვენც. მართალია, მათ ბელადებს კარგად ესმით, რომ ჩვენს წინააღმდეგ ომი გარდუვლად გამოიწვევს მათ დალუპვასაც, მაგრამ ფაშისტურ ქვეყნებს მაინც მოუწევთ ასეთი ომის წამოწყება. სამეურნეო სიძნელეები, რაც ფაშისტურმა სახელმწიფოებმა საკუთარ თავს შეუქმნეს, ბოლოს და ბოლოს აიძულებს მათ ჩვენთან ომს. ჩვენს მთავრობას, გერმანიის მთავრობის მსგავსად, არ შეუძლია თავის ხალხს წაართვას კარაქი და სხვა ცხიმეულობა, მოაკლოს სულ უფრო მეტი კვების პროდუქტი და პირველადი მოთხოვნილების საგნები იმ მიზეზით, რომ ხალხს დაჰპირ-

დეს ყოველივე ამ დანაკარგის ასწილად ანაზღაურებას ზარბაზნე-ბის გამოდნობით, იმ ზარბაზნებისა, რომლებსაც სამეფოდ მხო-ლოდ და მხოლოდ დეკორაციებად დაიტოვებს.

„გერმანული სულის ადამიანი არასდროს არ იქნება ინტელიგენტი".

ოდესღაც ასეთ იმის თქმა, თუ როგორ წარმოუდგენია ფაშისტები რიგით საბჭოთა მოქალაქეს. ჰიტლერის, მუსოლინის, ფრანკოს მიმდევრებს იგი თავისებურ პირველყოფილ ადამიანებად, ველუ-რებად მიიჩნევს, რომლებსაც უახლესი ტექნიკური შეიარაღების მიუხედავად, არ გააჩნიათ ელემენტარული წარმოდგენა ცივილიზა-ციაზე. საბჭოთა მოქალაქეების აზრით, ფაშისტები ცივილიზაციას თავის დაუძინებელ მტრად მიიჩნევენ და ამიტომ ცდილობენ ხელ-ყონ მათი, საბჭოთა მოქალაქეების, როგორც მათთვის მტრული ცივილიზაციის წარმომადგენლების სიცოცხლე. გერმანელი ფაშის-ტების გამოსვლებიდან საბჭოთა ადამიანებმა განსაკუთრებით ერთი დაიმახსოვრეს მტკიცედ, რაც ფაშისტებმა ოფიციალურ კალენ-დარშიც შეიტანეს. იგი გავრცელებულია არა მარტო გერმანიის იმ-პერიაში, ჯერ-ჯერობით მთელს აღმოსავლეთში და ღაღადებს: „გერმანუ-ლი სულის ადამიანი ინტელიგენტი არასდროს არ იქნება". და რამ-დენადაც ყველა საბჭოთა ადამიანი, თითოეული გლეხი, მუშა და ჯა-რისკაცი სწორედ ინტელიგენტად გახდომას ესწრაფვის, ამდენად გერმანელი ფაშისტი მათთვის მტრული პრინციპების განსახიერებაა. ფაშიზმისადმი იმდენად სიძულვილით არ არიან გამსჭვალულნი, რამ-დენადაც ზიზღით, როგორც აბეზარი შხამიანი მწერის მიმართ.

ერთ ხელში კალატოზის ჭაფჩა, მეორეში—მახვილი.

საბჭოთა კავშირში საერთო შემოსაელის ყოველი მეექვსე მანე-თი ფაშისტების წინააღმდეგ თავდაცვით ღონისძიებებზე გადა-ირიცხება. ეს დიდი მსხვერპლია. საბჭოთა მოქალაქემ იცის, რომ ყველა ნაკლოვანება, რომლებიც ქვეყანაში ცხოვრებას აქამდე ჯერ კიდევ აძნელებს, დიდი ხნის დაძლეული იქნებოდა, შესაძლებელი რომ გამხდარიყო ამ მეექვსე მანეთის მოხმარება. ყველა შეძლებდა უკეთ ჩაცმას, უკეთ ცხოვრებას. მაგრამ საბჭოთა ადამიანებმა ისიც იციან, რომ მათ საზღვრებთან გულბორბოტი ხალხი მოუთ-

მენლად ელის მომენტს მათზე თავდასხმისათვის და რომ ეს საზღვრები მათ მტკიცედ უნდა დაიცვან. ამიტომ თავიანთი სოციალისტური მეურნეობის მშენებლობაზე ისინი ისე შრომობენ, როგორც ებრაელები თავიანთი მეორე ტაძრის აგებაზე — ერთ ხელში კელატოზის ქაფჩით, მეორეში კი მახვილით. ომზე ლაპარაკობენ არა როგორც შორეული, არამედ როგორც უახლოესი მომავლის შევლენაზე. ომს მიიჩნევენ მკაცრ აუცილებლობად, მას ელიან სიმშვიდეულით, მაგრამ იმგვარი რწმენით, როგორც მტკივნეულ ოპერაციას, რომელსაც უნდა გაუძლო და რომლის სასიკეთო დასასრული ეჭვს არ იწვევს.

მოთხოვნილება მშვიდობაზე.

ამასთან ერთად, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ რაც შეიძლება დააყოვნონ ომის დაწყება, ანდა ყოველნაირი ალბათობის საწინააღმდეგოდ, თავიდან აიცილონ კიდევაც. საბჭოთა კავშირი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული მშვიდობის ხანგრძლივი შენარჩუნებით. მან ეს-ესაა დაიწყო თავისი სახლის მოწყობა, ბინები მყუდროდება, ყოველდღიურად მდიდრდება და ძლიერდება. ამგვარად მას გაუჩნდა თავისი სახლის მზერით ტკბობის მოთხოვნილება, ნატრობს ამ დროის გახანგრძლივებას ისე, რომ ჩხუბი არ მოუვიდეს ბოროტ მეზობელთან. მან იცის, რომ რაც უფრო შორისათვის გადადებს ომს, მით უფრო ძლიერი იქნება თავად და მით უფრო ნაკლები მსხვერპლით გაიმარჯვებს.

მზადყოფნა ომისათვის.

მაგრამ რამდენადაც თვლიან, რომ ამ ომს ვერაფერი შეაჩერებს და რომ ხვალ იგი სინამდვილედ იქცევა, ამიტომ მისთვის ემზადებიან. ომისადმი სწორედ ამ სამზადისით აიხსნება ყოველივე, რაც სხვა შემთხვევაში გაუგებარი დარჩებოდა. მე უკვე ვლაპარაკობდი რეპერტუარებში გაბატონებულ ომის თემაზე დადგმულ პიესებზე და ფილმებზე, უამრავ წიგნზე და ნაწარმოებებზე, რომლებიც სამოქალაქო ომში და ინტერვენციის დროს პარტიზანების გმირობას უმღერიან. ოთხწლიანი მსოფლიო ომის ფრონტებზე ვერ ნახავდით იმდენ მოკლულს, იმდენ ბრძოლასა და შერკინებას, რამ-

სას ვნახე.

„ჩვენი არმია“.

ომისათვის მთელი ეს სამზადისი მკაფიოდ ვლინდება იმ მდგომარეობაში, რომელიც უკავია წითელ არმიას. იგი არის სახალხო ჯარი ამ სიტყვის განსაკუთრებული ღრმა აზრით; თუ რომელიმე არმია მსოფლიოში შეიძლება იწოდებოდეს „ჩვენს არმიად“, სწორედ რომ წითელი არმიაა. საკუთარი ყურით უნდა მოისმინო როგორი სიყვარულით ლაპარაკობენ საბჭოთა ადამიანები ამ „ჩვენს არმიაზე“. არმიასა და მოსახლეობას შორის არსებობს მჭიდრო კონტაქტი. გლეხური და პროლეტარული ფენებიდან დიდი რაოდენობით გამოვიდნენ მეთაურები. ასე რომ ბელადების, ჯარისკაცებისა და მოსახლეობის აზროვნება საესებით ერთნაირია, საერთოდ სამოქალაქო მოსახლეობა ყველანაირად მჭიდროდაა დაკავშირებული არმიასთან. ჯარისკაცები მუშათა კლუბებში თავს გრძნობენ როგორც სახლში, ცალკეული სამხედრო ნაწილები შეფობენ სპორტული და კულტურული პროფილის ორგანიზაციებს, არმიის თითოეული რგოლი თავის მხრივ მეგობრულადაა დაკავშირებული ცალკეულ ოლქთან, ქალაქის ცალკეულ რაიონთან, მუშათა ან გლეხთა ცალკეულ ორგანიზაციასთან. დიდ დემონსტრაციებზე არმია სამოქალაქო მოსახლეობასთან ერთად მოდის.

არმიის კულტურული ამოცანები.

რომის არმიის მსგავსად, წითელი არმია თავის ერთ-ერთ სერიოზულ ფუნქციად თვლის კოლონიზატორულ მოღვაწეობას, მოსახლეობის სწავლების გაგრძელებას. წითელმა არმიამ ააშენა შესანიშნავი თეატრები და ბიბლიოთეკები, გულუხვად ეხმარება კინოს. იგი გამოსცემს საერთო კულტურული დანიშნულების რიგ გაზეთებსა და ჟურნალებს. ერთხელ მოსკოვის ცნობილი ლიტერატურული ჟურნალის „ზნამიას“ მიერ ჩემს საპატივცემულოდ გამართულ წვეულებაზე გავოცდი, როდესაც დამსწრეთა შორის ბევრი მეთაური ვიხილე. ამიხსნეს, რომ ამ ჟურნალს მხარს უჭერდა და გამოსცემდა არმია.

მწერლები და ჯარისკაცები.

თვალში გეცემა სამხედროების ინტერესთა მრავალმხრივობა, განსაკუთრებით მათი გაზრდილი ინტერესი ლიტერატურისადმი. მწერალი ლევ ტროცკი წითელი არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. მწერლები დღესაც დიდ როლს თამაშობენ არმიაში. მე ვიცი რამდენიმე გენერალი, რომლებსაც ერთდროულად წითელ არმიაშიც და ჟურნალისტიკაშიც მაღალი პოსტები უკავიათ. ბევრი მწერალი მონაწილეობდა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებში. ზოგიერთს არმიაში დღესაც ხელმძღვანელი პოსტები უკავია. თითქმის ყველა საბჭოთა მწერალი დაინტერესებულია სამხედრო საკითხებით. არმიის ერთმა ხელმძღვანელთაგანმა, სხვათა შორის საუკეთესო ძველი სკოლის პრუსიელ ოფიცერს რომ მაგონებდა, სახელი მოიხვეჭა როგორც ლირიკულმა პოეტმა; მისი ლექსები ძალიან კარგად იკითხება მის მიერვე რედაქტირებულ გერმანულ თარგმანშიც. მეორე მხრივ, ერთმა რუსმა მწერალმა დიდად შეუწყო ხელი ბრძოლების მიმდინარეობას ესპანეთში. არ ვიცი მეორე ქვეყანა, სადაც ასე ორგანულად შერწყმოდეს მწერლური ნიჭიერება სამხედრო უნარს. მრავალი ავტორი და რედაქტორი თვლის, რომ შესაძლოა უკვე ხვალ, ხელნაწერების კარნახის მაგივრად ისინი უხელმძღვანელებენ სამხედრო ნაწილებს.

პასუხისმგებლობა.

წითელ არმიაში ვიწრო პროფესიონალიზმი, როგორც ოფიცრებს, ისე ჯარისკაცებს შორს, იშვიათად გვხვდება. ალბათ ასე იმიტომაა, რომ ყველა ამ ადამიანმა იცის, მათ მოუწევთ ომი, რომელიც თითოეული მათგანისაგან მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე მარტო სამხედრო ცოდნაა.

გონიერი ენთუზიაზმი.

ფსიქოლოგიური უპირატესობა, რომელიც ომის შემთხვევაში წითელ არმიას თავის მოწინააღმდეგეებთან შედარებით ექნება, იმაში მდგომარეობს, რომ მისი ჯარისკაცები იბრძოლებენ იმ საქმისთვის, რომელიც ძვირფასია მათთვის არამარტო პატრიოტიზმის აუხსნელი გრძნობის ძალით, არამედ იმიტომ, რომ ამ საქმეს ისინი საკუთარ საქმედ თვლიან.

თავი VI

სტალინი და ტროცკი

მებრძოლი და მუშაკი.

როგორც ზეით ვთქვი, საბჭოთა კავშირში არიან ადამიანები, რომლებმაც თავი გამოაელინეს არა მარტო როგორც მებრძოლებმა, არამედ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზატორებმა. იოსებ სტალინი სწორედ ასეთ ადამიანად წარმომიდგენია. მას საბრძოლო, რევოლუციური წარსული აქვს; მან ძლევამოსილად ჩაატარა ქალაქ ცარიცინის თავდაცვა, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს; 1918 წლის შემოდგომაზე სტალინის მიერ ლენინისათვის გაგზავნილ სამოცდაათგვერდიანი მოხსენების მიხედვით, საერთო საბრძოლო გეგმაში ძირეული ცვლილებები იქნა შეტანილი. მაგრამ სტალინის შემოქმედება, როგორც სოციალისტური მეურნეობის ორგანიზატორისა, აღემატება მის საბრძოლო დამსახურებებს.

ტროცკის ავტოპორტრეტი.

როდესაც ლევ ტროცკი საკუთარ პორტრეტს ხატავს შესანიშნავად დაწერილ ავტობიოგრაფიაში, იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ისიც, ასევე ნიჭიერი ადამიანია, დიდი მებრძოლია და მშენებლობის დიდი ბელადია. მე კი მგონია, რომ საუკეთესო ადვოკატის ტროცკის მიერ საკუთარი თავისათვის დამსახურებების მიწერის ცდა სწორედ იმას ცხადყოფს, რომ მისი დამსახურებანი, უკეთეს შემთხვევაში, მისი ომისდროინდელი მოღვაწეობით შემოიფარგლება.

დიდი პოლიტიკოსი?

ტროცკის ავტობიოგრაფია, უეჭველად, შესანიშნავი მწერლის

ნაწარმოებია და შესაძლოა ტრაგიკული ბედის ადამიანისაც. მაგრამ ეს ჯერაა დიდი სახელმწიფო მოღვაწის პორტრეტი. ვფიქრობ, რომ ამისათვის ორიგინალს პირადი ღირსებები, ზომიერების გრძნობა და სინამდვილეზე სწორი შეხედულება აკლია. უმაგალითო ქედმაღლობა აიძულებს მას მუდამ უგულებელყოს შესაძლებლის საზღვრები და ეს მოუზომლობა, მწერლისთვის აგრერიგად სანაქებო, უჩვეულოდ ვნებს სახელმწიფო მოღვაწის კონცეფციებს. ჩემი აზრით ტროცკის ლოგიკა ჰაერშია გამოკიდებული. იგი არ ეყრდნობა ადამიანური არსისა და მისი შესაძლებლობების ცოდნას, რომელიც მხოლოდ მტკიცე პოლიტიკურ წარმატებას უზრუნველყოფს. ტროცკის წიგნი სავსეა სიძულვილით, სუბიექტურია პირველიდან ბოლო სტრიქონამდე, მეტისმეტად უსამართლოა. მასში ნიადაგ ერთმანეთშია არეული სიმართლე გამოგონილთან, ეს წიგნს მომხიბლაობას მატებს, მაგრამ ამგვარი გუნება-განწყობილება პოლიტიკოსს სწორ გადაწყვეტილებას ვერ უკარნახებს.

დამახასიათებელი დეტალი.

მე მგონი, ერთი პატარა დეტალიც საკმარისია იმისათვის, რომ ნათლად გამოჩნდეს სტალინის უპირატესობა ტროცკისთან შედარებით. სტალინმა მითითება მისცა, — გორკის მიერ რედაქტირებულ დიდ ოფიციალურ გამოცემაში „სამოქალაქო ომის ისტორიაში“ მოეთავსებინათ ტროცკის პორტრეტი. ამასობაში კი ტროცკი თავის წიგნში ბოღმამორეული უარყოფს სტალინის ყველა დამსახურებას, საპირისპირო კუთხიდან ხატავს მის თვისებებს. ტროცკის წიგნი სტალინისადმი სიძულვილითა და გესლიანი დაცინვითაა სავსე.

უტყუარი სიტყვები.

რა თქმა უნდა, დამარცხებულ ადამიანს უძნელდება ობიექტურად დაჯერება. ეს თავად ტროცკისაც ესმის, რაც შესანიშნავ სიტყვებში გამოხატა: „მე არ მჩევია, — ასკვნის იგი თავისი წიგნის წინასიტყვაობაში, — ისტორიული პერსპექტივების დანახვა პირადი ბედისწერის თვალთახედვით. შეიცნო მოვლენის კანონზომიერება და იპოვო შენი ადგილი მასში — აი რევოლუციონერის უპირეე-

ლესი მოვალეობა. იგი ისეთ ადამიანს ანიჭებს უმაღლეს პირადულ სიამოვნებას, რომელიც დღევანდელ დღეს თავის ამოცანებს არ უკავშირებს".

ვნახე საუკეთესო, მაგრამ ამოვარჩიე ყველაზე ცუდი.

ვფიქრობ, ვერავინ შეძლებდა უფრო გარკვევით მიეთითებინა ის საშიშროება, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ტროცკი თავისი დამბრობის შემდეგ და რა დღეშიც აღმოჩნდება ხილვე თითოეული დამარცხებული, კერძოდ ეს იყო „საკუთარი ბედისწერის თვალთა-ბედვით ისტორიული პერსპექტივების შეუფასებლობის" საშიშროება. მას ესმოდა თუ რა შეცდომის წინაშე იდგა. იგი ხედავდა შეცდომას, რომელსაც უნდა ეცდუნებინა. ხედავდა, გადაწყვიტა კიდევაც არ გაეკეთებინა, მაგრამ გააკეთა. მან იცოდა, თუ რა იყო ყველაზე კარგი, მაგრამ ირჩია ყველაზე ცუდი.

პათოსი და ისტერია.

ტროცკი მე წარმოდგენილი მყავს მხოლოდ და მხოლოდ ტიპურ რევოლუციონერად, იგი ძალიან სასარგებლოა პათეტიკური ბრძოლის დროს, მაგრამ არაფრის მაქნისია ეჰ, სადაც საჭიროა მშვიდი, შეუპოვარი, გეგმიური მუშაობა. რევოლუციის ჰეროიკული ეპოქის დამთავრების შემდეგ პათეტიკური აფეთქებების ადგილს სამყარო და ხალხი ტროცკიმ დამახინჯებული სახით წარმოიდგინა. იგი საგნებს არასწორად ალიქვამდა. იმ დროს, როდესაც ლენინი დიდი ხანია სინამდვილეს თავის შეხედულებებს მოუსადაგებდა. ჯიუტი ტროცკი მტკიცედ განაგრძობდა იმ პრინციპების მხარდაჭერას, რომლებმაც თავიანთი დანიშნულება ჰეროიკულ-პათეტიკურ ეპოქაში გაამართლეს, მაგრამ გამოუსადეგარნი იყვნენ იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დააყენეს ყოველდღიურმა მოთხოვნილებებმა. ტროცკის შეუძლია, — და ეს მისი წიგნიდანაც ჩანს, დიდი დაძაბულობის მომენტში მასების გაყოლიება. პათეტიკურ წუთებში მას შეეძლო მასები ალენთო ენთუზიაზმით. მაგრამ მას არ ჰქონდა ალმაფრენის ერთი კალაპოტით წარმართვის უნარი, არ შეეძლო მისი „კანალიზირება", დიდი სახელმწიფო მშენებლობისათვის მისი მომართვა.

ეს შეუძლია სტალინს.

ტროცკი მწერლადაა დაბადებული, იგი ხალისით ყვება თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. მე მჯერა მისი სიტყვებისა: „კარგად დაწერილი წიგნი, რომელშიც ახალ აზრებს სხვებს უზიარებ, ჩემთვის კულტურის სიკეთეთაგან ყველაზე უფრო ღირებული და ძვირფასია“. ტროცკის ტრაგედია იმაშია, რომ მას არ აკმაყოფილებდა ყოფილიყო დიდი მწერალი. გაძლიერებულმა მოძმეთხოვნელობამ იგი აქცია ჭირვეულ დოქტრინერად, რომელიც მიისწრაფოდა მოეტანა და მოიტანა კიდევაც უბედურება და რამაც ფართო მასებს დაავიწყებინა მისი დამსახურება.

მწერალი, მაგრამ არა პოლიტიკოსი.

მე კარგად ვიცნობ მწერლებისა და რევოლუციონერების ამ ტიპს, თუმცა კი შედარებით შეზღუდულ მასშტაბებში. გერმანიის რევოლუციის ზოგიერთ ხელმძღვანელს, მაგალითად კურტ ეისნერსა და გუსტავ ლანდაუერს, მართალია ნაკლებად, მაგრამ ცოტა რამ როდი ჰქონდათ საერთო ტროცკისთან. დოგმისადმი ჯიუტმა ერთგულებამ, შეცვლილი პირობებისადმი შეგუების უუნარობამ, მოკლედ რომ ვთქვათ, პრაქტიკულ-პოლიტიკური ფსიქოლოგიის უქონლობამ, ეს თეორეტიკოსები და დოქტრინერები პოლიტიკური მოღვაწეობისათვის ძალიან მოკლე ხნით გახადა გამოსადეგნი. თავიანთი ცხოვრების ხანგრძლივი დროის მანძილზე ისინი იყვნენ კარგი მწერლები და არა პოლიტიკოსები. მათ ხალხისაკენ მიმავალი გზა ვერ იპოვეს, რადგან მეტისმეტად სუსტად ერკვეოდნენ ხალხის ფსიქოლოგიაში. ისინი იყვნენ ხალხში, მაგრამ მასები არ მიდიოდნენ მათთან.

განსხვავება ხასიათში და შეხედულებებში.

ეჭვს გარეშეა, რომ გადამწყვეტ საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა ტროცკსა და სტალინს შორის დიდი კონფლიქტის მიზეზი შეიქმნა, რომელიც ღრმა წინააღმდეგობებიდან გამომდინარეობდა. ამ ადამიანების ხასიათების განსხვავება იმის მიზეზია, რომ რუსეთის რევოლუციის საკითხებში ისინი საწინააღმდეგო დასკვნამდე

მიდიოდნენ, სახელდობრ, ეროვნულ საკითხში, გლეხობის როლის საკითხში და ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხში. სტალინი ამტკიცებდა, რომ სოციალიზმის სრული განხორციელება შესაძლებელია მსოფლიო რევოლუციის გარეშეც და რომ ცალკეული საბჭოთა ხალხების ეროვნული ინტერესების დაცვისას სოციალიზმი შეიძლება აშენდეს ერთ, ცალკეულ ქვეყანაში; იგი თვლიდა, რომ რუს გლეხს სოციალიზმის აშენების უნარი ჰქონდა. ტროცკი ამას სადავოდ ხდიდა. იგი ამტკიცებდა, რომ მსოფლიო რევოლუცია სოციალიზმის აშენების აუცილებელი წინაპირობაა. იგი ჯიუტად იშველიებდა მარქსისტულ მოძღვრებას აბსოლუტური ინტერნაციონალიზმის შესახებ, იცავდა პერმანენტული რევოლუციის ტაქტიკას და ამისათვის მრავალი ლოგიკური მოსაზრება მოჰყავდა. იგი დაჟინებით მოითხოვდა მარქსისტული დებულების სისწორის დაცვას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ.

მართალი აღმოჩნდა სტალინი.

არა უგვიანეს 1935 წლისა მთელმა მსოფლიომ სცნო, რომ სოციალიზმი ერთ ქვეყანაში აშენებულია და უფრო მეტიც, რომ ეს სახელმწიფო შეიარაღებულია და მზადაა ნებისმიერი თავდასხმისაგან თავის დასაცავად.

რის გაკეთება შეეძლო ტროცკის?

რის გაკეთება შეეძლო ტროცკის? მას შეეძლო ჩუმად ყოფილიყო. მას შეეძლო თავი დამარცხებულად ჩაეთვალა და განეცხადებინა თავისი შეცდომების თაობაზე. მას შეეძლო შერიგებოდა სტალინს. მაგრამ ეს არ გააკეთა. მან ვერ შეძლო ამის გაკეთება. ადამიანი, რომელიც წინათ ხედავდა' იმას, რასაც სხვები ვერ ხედავდნენ, ახლა ვერ ხედავდა იმას, რასაც თითოეული ბავშვი ხედავდა. მოგვარებული იქნა კვების საკითხი, მუშაობდნენ მანქანები, ნედლეულს იღებდნენ ადრე წარმოუდგენელი მასშტაბებით, ქვეყანა ელექტროფიცირებული, მექანიზებული გახდა. ტროცკის არ სურდა ყოველივე ამის აღიარება. მან განაცხადა, რომ სწორედ სწრაფი აღმავლობა და მშენებლობის გამალებული ტემპები განა-

პირობებენ ამ მშენებლობის არამდგრადობასო. საბჭოთა კავშირი — „სტალინის სახელმწიფო", როგორც ტროცკი მას უწოდებდა, — გარეგანი ჩარევის გარეშეც ადრე თუ გვიან კრახს განიცდის და მასზე ფაშისტური ქვეყნების თავდასხმის შემთხვევაში უეჭველად დამარცხდებაო. ტროცკი უსაზღვრო სიძულვილით იყო აღვსილი იმ ადამიანისადმი, ვისი დროშითაც ხორციელდებოდა მშენებლობა.

ახლა წარმოვადგინოთ სტალინი.

სტალინის პირველი ნაბიჯები.

ჯერ კიდევ ადრეულ წლებში სტალინი იმ პრობლემებით იყო დაკავებული, რომლებიც ომის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდნენ. უკვე 1913 წელს ლენინი წერდა გორკის: „ჩვენთან აქ ერთი შესანიშნავი ქართველი ჩაუჯდა და „პროსვეშჩენიესათვის" წერს დიდ სტატიას, რისთვისაც შეკრიბა მთელი ავსტრიული და სხვა მასალები. ჩვენ ბეჯითად ვიმუშავებთ ამაზე".

აღმასვლის სიძნელეები.

სტალინმა ხელი მოჰკიდა ამ საკითხს. მას ჰქონდა იდეები. მან თავი გამოავლინა როგორც ორგანიზატორმა. მაგრამ სტალინი არ დაბრმავებულა, მოუსვენარი ტროცკის გვერდით იგი ჩრდილში მოკამკაშე რჩებოდა. ტროცკი კარგი ორატორია, ალბათ საუკეთესო არსებულებს შორის. იგი მომხიბვლელია. სტალინი, როგორც უკვე მივუთითე, ლაპარაკობს იუმორით, მაგრამ ვრცლად, გონივრულად. მან შეუპოვარი შრომით მოიპოვა ის პოპულარობა, რაც სხვას ადვილად ეძლეოდა. თავის წარმატებას იგი მხოლოდ საკუთარ თავს უმადლის.

იგი წინ გამოდის.

მრავალი წლის განმავლობაში ტროცკს საკუთარი სიკაშკაშე, რომელიც ყოველთვის არ იყო წრფელი, ხელს უშლიდა სტალინის ნამდვილი დამსახურებების დანახვაში. მაგრამ დადგა დრო, როდესაც შარტოოდენ მებრძოლი ტროცკის იდეები თანდათან მცდარი

შეიქმნა და ლპობა იწყო; პირველად ეს შენიშნა და თქვა სტალინმა. უკვე 1924 წლის დეკემბერში ძველი თეორიის საპირისპიროდ სტალინისთვის საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ დასრულებული სოციალისტური საზოგადოების აშენება ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში შესაძლებელია. მან ჯერ კიდევ მაშინ უფრო თანმიმდევრულად, უფრო მკაფიოდ და მკვეთრ ფორმულირებებში, ვიდრე ლენინმა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ალმავლობითა და გლეხობის არტელებში გაერთიანებით უჩვენა გზა ასეთი მშენებლობისაკენ. ჩამოაყალიბა ის, რაც აქამდე სადაო იყო, სახელდობრ: პარტიის სწორი პოლიტიკის პირობებში რუსი გლეხობის გადამწყვეტი ნაწილი შეიძლება ჩაბმული იქნას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. ეს მტკიცება მან დაასაბუთა უბრალო, დამჯერებელი არგუმენტებით.

უდავო არგუმენტები.

ტროცკიმ თავისი ბრწყინვალე რიტორიკით უკუაგდო სტალინის უდავოდ უცილობელი არგუმენტები. სტალინმა იცოდა, რომ მის მიერ წამოყენებული არგუმენტები მართლაც და უდავო იყო, მაგრამ იგი ხედავდა, რომ ბევრს ტროცკის ფორმით ბრწყინვალე, მაგრამ შინაარსით ყალბი შეპასუხებებისა სჯეროდა.

უდავო საქმეები.

სტალინი მარტო სწორი გამონათქვამებით როდი იფარგლებოდა. იგი მუშაობდა, მიდიოდა მართალი გზით. მან გლეხები გაერთიანა არტელებში, ავითარებდა ბრეწველობას, ქმნიდა ნიადაგს სოციალიზმისათვის საბჭოთა კავშირში და აშენებდა სოციალიზმს. მის მიერ შექმნილი სინამდვილე უკუაგდებდა ტროცკის უცილობელ თეორიებს.

„კატონი დამარცხებულთა მხარეზე"

„ლმერთები გამარჯვებულთა მხარეზე, კატონი დამარცხებულთა მხარეზე". ტროცკის არ უნდოდა თავი დამარცხებულად ეცნო. იგი გამოდიოდა ბრწყინვალე სიტყვებით, წერდა შესანიშნავ სტატი-

ებს, ბრიგადირებს, წევრებს, რომლებშიც სტალინური სინამდვილეს ილუზიას უწოდებდა, რაღგან იგი ტროცკის თეორიაში არ ეტეოდა. ტროცკი სტალინს ხელს უშლიდა. პარტიის ყრილობა მის წინააღმდეგ გამოვიდა — იგი გადასახლეს, შემდეგ კი ქვეყნიდან გააძევეს.

თეზისების მაგია.

სტალინის საქმე იფურჩქნებოდა, იზრდებოდა ქვანახშირის მოპოვება, მატულობდა რკინისა და მადნის ამოღებაც, იგებოდა ელექტროსადგურები, ჩამორჩენილი მძიმე მრეწველობა თავისი განვითარებით ეწეოდა სხვა ქვეყნების მრეწველობას; შენდებოდა ქალაქები, მატულობდა რეალური ხელფასი, დაძლეულ იქნა გლეხობის წვრილბურჟუაზიული განწყობილებანი, შემოსავალს იძლეოდა მათი არტელები, — მოსახლეობა ეძალებოდა კოლმეურნეობებს. თუ ლენინი იყო საბჭოთა კავშირის ცეზარი, სტალინი მისი ავგუსტი, მისი „განმადიდებელი" შეიქნა. სტალინური მშენებლობა ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა. მაგრამ სტალინს უნდა დაენახა, რომ ჯერ კიდევ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არ უნდოდათ დაეჯერებინათ ამ რეალური ხელშესახები საქმისა, მათ ტროცკის თეზისებისა უფრო სჯეროდათ, ვიდრე აშკარა ფაქტებისა.

საბიფათო მეგობრები.

დიახ, იმ ადამიანებს შორის, რომლებთანაც მეგობრობდა სტალინი და რომლებსაც მან ანდო საპასუხისმგებლო პოსტები, ზოგიერთმა ტროცკის სიტყვა უფრო ირწმუნა, ვიდრე სტალინის საქმე. ეს ადამიანები ხელს უშლიდნენ სტალინის საქმეს, უქმნიდნენ დაბრკოლებებს, უწყობდნენ საბოტაჟს. ისინი პასუხისგებაში მისცეს, მათი დანაშაული დადგენილ იქნა. სტალინმა მათ დანაშაული შეუნდო და კვლავ მაღალ პოსტებზე ალაგდგინა.

უზომოდ ერთგულნი.

რა უნდა ეფიქრა და განეცადა სტალინს, როდესაც შეიტყობდა, რომ მისი მეგობრები და ამხანაგები, მისი წამოწყებების აშკარა

წარმატებების მიუხედავად, კვლავაც განაგრძობდნენ მისი მტრის, — ტროცკისაკენ გადახრას, მასთან საიდუმლო მიმოწერაც ჰქონდათ და თავიანთი ძველი ბელადის სსრ კავშირში დაბრუნებას ესწრაფოდნენ, რითაც ზიანს აყენებდნენ სტალინის საქმეს.

ორ პროცესს შუა პერიოდში.

სტალინი მაშინ ვნახე, როდესაც ტროცკისტთა პირველი, ზინოვიევისა და კამენევის ჯგუფის პროცესი უკვე დამთავრებული იყო. მსჯავრდადებულები გაასამართლეს და დახვრიტეს. აღძრული იქნა საქმე ტროცკისტთა მეორე — პიატაკოვის, რადეკის, ბუხარინისა და რიკოვის ჯგუფის წინააღმდეგ. მაგრამ ზუსტად არავინ იცოდა რა ბრალდებას წამოუყენებდნენ მათ, როდის, რომელი მათგანის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებით დაიწყებოდა პროცესი. აი დროის ამ მონაკვეთში, ორ პროცესს შორის, მე შევხვდი სტალინს.

სტალინი.

პორტრეტებიდან სტალინი ბღალი, მხრებგანიერი წარმოსადეგი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს. ცხოვრებაში იგი უფრო ტანმორჩილი და გამხდარია; კრემლის ვრცელ ოთახში, სადაც მე მას შეეხვდი, იგი რაღაცნაირად შეუმჩნეველი იყო.

ლაპარაკის მანერა.

სტალინი ლაპარაკობს ნელ-ნელა, წყნარი, ოდნავ ყრუ ხმით. მას არ უყვარს დიალოგები მოკლე, ამაღელვებელი კითხვებით, პასუხებით, გადახვევებით. იგი მათ ნელ-ნელა მოფიქრებულ ფრაზებს ამჯობინებს. სტალინი ძალიან გამოკვეთილად ლაპარაკობს, ზოგჯერ ისე, თითქოსდა კარნახობსო. სუბრის დროს, ბოლოთაა სცემს, შემდეგ ანაზდეულად უახლოვდება თანამოსაუბრეს და მისკენ თავისი ლამაზი ხელის საჩვენებელ თითს იშვერს, ხსნის, განმარტავს ანდა აყალიბებს თავის მოფიქრებულ ფრაზებს. ხშირად ფურცელზე ფერადი ფანქრით ხატავს ფიგურებს.

შეფარვით და გულღიად.

სტალინთან ჩემი საუბრის თემა წინასწარ არ შეთანხმებულა. არც მე მომიმზადებია რაიმე თემა. დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი თავისთავად აეწყობოდა ადამიანისა და მომენტის შთაბეჭდილებათა გამო. გულში მეშინოდა, რომ ჩვენი საუბარი მეტ-ნაკლებად ოფიციალურად, წინასწარმოფიქრებულად წარიმართებოდა, რომლის მსგავსიც სტალინს დასავლეთელ მწერლებთან რამდენჯერმე ჰქონდა. დასაწყისში საუბარი მართლაც ამ მიმართულებით წარიმართა. ჩვენ ვლაპარაკობდით მწერლის ფუნქციაზე სოციალისტურ საზოგადოებაში; რევოლუციურ ზემოქმედებაზე, რომელსაც ზოგჯერ რეაქციული მწერლებიც კი ახდენენ, ვთქვათ, მაგალითად, გოგოლი; ინტელიგენციის კლასობრივ კუთვნილებასა თუ არაკლასობრიობაზე; სიტყვისა და ლიტერატურის თავისუფლებაზე საბჭოთა კავშირში. თავიდან სტალინი ლაპარაკობდა ფრთხილად, ზოგადი ფრაზებით. მაგრამ მან თანდათან შეცვალა თავისი დამოკიდებულება და მალე ვიგრძენი, რომ ამ ადამიანთან შემეძლო გულახდილად საუბარი. ვლაპარაკობდი გულწრფელად და ისიც გულწრფელად მპასუხობდა.

ლაპარაკის სტილი.

სტალინი ლაპარაკობს შეუღამაზებლად და შეუძლია - რთული აზრებიც კი უბრალოდ გამოხატოს. ხანდახან ძალზე უბრალოდ ლაპარაკობს, როგორც ის ადამიანი, რომელიც შეეგუა აზრების ისეთნაირად ფორმულირებას, რომ ისინი გასაგებია მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე. შეიძლება, იგი გონებამახვილი არაა, მაგრამ იუმორი მას უეჭველად ახასიათებს. ზოგჯერ მისი იუმორი სახიფათო ხდება. დროგამოშვებით იგი თავისთვის ყრუდ, ეშმაკურად იცინის, მრავალ დარგში თავს საესებით ლაღად გრძნობს და მოუმზადებლად, მეხსიერების დაუძაბავად ყოველთვის ზუსტად წარმოსთქვამს სახელებს, თარიღებს, ფაქტებს.

თავისებურება.

სტალინთან ვლაპარაკობდი სიტყვის თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე და როგორც ზევით ვწერდი, მისი პიროვნების გალმერთება-

ზე. საუბრის დასაწყისში იგი ზოგადი ფრაზებით ლაპარაკობდა და პარტიული ლექსიკონის ცნობილ შაბლონურ გამოთქმებს მიმართავდა. მოგვიანებით მასში უკვე პარტიულ ხელმძღვანელს ვეღარ ვგრძნობდი. იგი ჩემს წინაშე წარმოდგა როგორც პიროვნება. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არ მეთანხმებოდა, მის სახეზე აღბეჭდილი იყო სიღრმე, გონიერება და ფიქრი.

სტალინი და „ებრაელ“.

იგი აღელდა, როდესაც საუბარი ტროცკისტების პროცესს შეეხო. დაწვრილებით მოჰყვა პიატაკოვისა და რადეკისადმი წაყენებულ ბრალდებაზე, რომლის მასალებიც ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. სტალინი ლაპარაკობდა ფაშისტური საფრთხის გამო პანიკაში ჩავარდნილ ხალხზე, წინ რომ გახედვა არ შეეძლოთ. მე კვლავ შევახსენე, თუ რა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა საზღვარგარეთ მცხოვრებ ხალხზე, მათზეც კი, ვინც სსრ კავშირის მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი, ზინოვიევის პროცესზე გამოყენებულმა ძალზე პრიმიტიულმა ხერხებმა. სტალინმა ოდნავ გაიცინა, გაიცინა მათზე, ვინც შეთქმულების არსებობის დაჯერებამდე თხოულობს დიდი რაოდენობის წერილებით დოკუმენტს. გამოცდილი შეთქმულები, — დასძინა სტალინმა,—ღია ადგილზე დოკუმენტებს იშვიათად ინახავენ. შემდეგ მან ლაპარაკი დაიწყო მეორე ტროცკისტული პროცესის მონაწილე ყველაზე უფრო პოპულარულ პიროვნებაზე მწერალზე, რადეკზე. იგი ლაპარაკობდა აღელვებით, ყვებოდა მასთან თავის მეგობრულ ურთიერთობაზე. „ჩვენ ებრაელებმა, — მომმართა სტალინმა, — შექმენით უკვდავი ლეგენდა, ლეგენდა იუდაზე“. როგორ უცნაურად მომეჩვენა ამ ჩვეულებრივი მშვიდი, ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანისაგან ეს უბრალო პათეტიკური სიტყვები. სტალინი მოჰყვა იმ გრძელ წერილზე, რომელიც მას რადეკმა მისწერა და რომელშიც თავის უდანაშაულობაში არწმუნებდა, თან ამისათვის იშველიებდა ბევრ ახალ საბუთს. მაგრამ მეორე დღეს მოწმეების ჩვენებითა და მხილებით რადეკი დანაშაულში გამოტყდა.

ურთიერთსაწინააღმდეგო სტალინისა და ტროცკის ხასიათში.

ეჯავრება თუ არა იოსებ სტალინს ლევ ტროცკი, როგორც ადა-

მიანი? მას ალბათ უნდა სძულდეს იგი. მე უკვე მივუთითე იმაზე, რომ ხასიათების სხვადასხვაობა იმავე ზომით მიჯნავს მათ ერთმანეთისაგან, როგორც სხვადასხვაობა შეხედულებებში. ძნელი წარმოსადგენია უფრო მკვეთრი წინააღმდეგობრიობა, ვიდრე, ერთის მხრივ ტროცკის სწრაფი, უეცარი იდეებით აღსავსე მეცერმეტყველება და, მეორეს მხრივ, უბრალო, ყოველთვის დაფარული, სერიოზული სტალინი, ნელ-ნელა, დაჟინებით რომ მუშაობს საკუთარ იდეებზე. „უცაბედი იდეა — ეს აზრი არაა, — ნათქვამი აქვს ავსტრიელ მწერალს გრილპარცერს. — აზრმა იცის თავისი საზღვრები. მოულოდნელი იდეები უარყოფენ მათ და განხორციელებისას ადგილიდან არ იძვრიან". მწერალ ლევ ტროცკის ელვისებური, ხშირად არასწორი მოულოდნელი იდეები აქვს; იოსებ სტალინს კი — დაყოვნებული და ძირისძირამდე მოფიქრებული სწორი აზრები. ტროცკი — თვალის მომჭრელი ერთეული მოვლენაა. სტალინი — გენიალურობამდე ამაღლებული რუსი გლეხისა და მუშის ტიპია, რომელსაც უზრუნველყოფილი აქვს გამარჯვება, რადგან მასში შერწყმულია ორივე კლასის ძალა. ტროცკი — სწრაფად ქრობადი რაკეტაა, სტალინი — დიდხანს მოგიზგიზე და მათბობელი ცეცხლია.

კიდევ ერთხელ წინააღმდეგობებზე.

თუ დრამატურგი მოინდომებდა თავის ნაწარმოებში ორი ესოდენ ურთიერთსაწინააღმდეგო ინდივიდის ასახვას, მას ბრალს დასდებდნენ არაბუნებრივობაში და ეფექტებისადმი გამოდევნებაში. ტროცკი მოხერხებულია სიტყვებში და ჟესტებში, იგი თავისუფლად საუბრობს მრავალ ენაზე, ქედმაღალი, ხატოვანი და გონებამახვილია. სტალინი უფრო მონუმენტურია: სასულიერო სემინარიაში შეუპოვარი მუშაობით კარგი განათლება შეიძინა. იგი არაა მოხერხებული, მაგრამ იცის თავისი გლეხებისა და მუშების გასაჭირი, რადგან თავად ეკუთვნის მათ, და ტროცკივით არასდროს ყოფილა იძულებული მათთან მისასვლელი გზები ეძებნა. ტროცკის ეს ხატოვანება, მოქნილობა, ორგულობა, ქედმაღლობა და მოხერხებულობა იმდენად უნდა ეჯავრებოდეს სტალინს, რამდენადაც ტროცკი ვერ იტანს სტალინის სიმტკიცესა და მოუხერხებლობას.

სტალინი თავის წინაშე სახავს ისეთ გრანდიოზულ ამოცანას, რომელიც საგანგებოდ ძლიერი პიროვნების მთელი ძალების გაღებას მოითხოვს. ის კი იძულებულია თავისი ძალების ძალიან დიდი ნაწილი გაიღოს ტროცკის ბრწყინვალე და სახიფათო ახირებათა მავნე შედეგების ლიკვიდაციაზე. „ტროცკის არაბოლშევიკური წარსული ეს შემთხვევითი არაა“ — ნათქვამია ლენინის ანდერძში. სტალინს, უეჭველია, მუდამ ახსოვს ეს და იგი ტროცკში ხედავს ადამიანს, რომელსაც დიდი მოქნილობის წყალობით, საკუთარი აზრების სიმართლეში დარწმუნებულს, ნებისმიერ დროს შეუძლია თავის არაბოლშევიკურ წარსულში უკან დაბრუნება. დიახ, სტალინს უნდა სძულდეს ტროცკი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მთელი თავისი ძრსებით იგი ძრ ესადაგება სტალინის პიროვნებას, მეორეც იმიტომ, რომ თავისი ნაწერებით, მოქმედებით, უბრალოდ თავისი არსებობითაც კი ტროცკი სტალინის საქმეს საფრთხეში აგდებს.

სიძულვილი — სიყვარული.

მაგრამ სტალინისა და ტროცკის ურთიერთობა მათი ურთიერთქიშპობით, სიძულვილით, ხასიათებისა და შეხედულებების სხვაობით არ ამოიწურება. უდიდესი ორგანიზატორი სტალინი, როდესაც მიხვდა, რომ რუსი გლეხიც შეიძლება მიიყვანო სოციალიზმში, ეს დიდი მათემატიკოსი და ფსიქოლოგი, ცდილობს თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს მისივე მოწინააღმდეგეები, რომელთა უნარს იგი სათანადოდ აფასებს. სტალინმა თავის გარშემო ძმკარად შემოიკრიბა ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებიც სულიერად ტროცკთან ახლოს დგანან. ისინი სტალინს ულმობელ ადამიანად თვლიან. სტალინი კი მრავალი წლის მანძილზე იღვწის უნარიანი ტროცკისტების თავის მხარეზე გადასაყვანად, ნაცვლად მათი მოსპობისა. რაღაც გულისამაჩუყებელია მის იმ შეუპოვარ ცდებში, რომლებითაც ესწრაფვის თავისი მოწინააღმდეგეების საკუთარი საქმის ინტერესებისათვის გამოყენებას.

თავი VII

აშკარა და საიდუმლო ტროცკისტების პროცესებში

პროცესები ტროცკისტების წინააღმდეგ.

სტალინმა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა ხელმეორედ მიეცა სასამართლოში თავისი მოწინააღმდეგე-ტროცკისტები, ბრალი დასდო მათ სახელმწიფო ღალატში, ჯაშუშობაში, მავნებლობაში და სხვა ძირგამომთხრელ საქმიანობაში, აგრეთვე ტერორისტული აქტების მომზადებაში. პროცესებზე, რომლებმაც თავიანთი „სისასტიკითა და თვითნებობით" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ . მთელი მსოფლიო აამხედრეს, სტალინის მოწინააღმდეგე ტროცკისტები საბოლოოდ განადგურდნენ. მათ ბრალდება დაუმტკიცეს და დახვრიტეს.

განა ეს სტალინის პირადული მოტივებია?

ზინოვიევ-რადეკის სასამართლო პროცესის ახსნა შურისძიებისა და სტალინის ერთპიროვნული გაბატონების საფუძველზე. უაზრობა იქნებოდა. მთელი მსოფლიოს წინააღმდეგობის მიუხედავად, სტალინი მაინც ახერხებდა ისეთი გრანდიოზული ამოცანის განხორციელებას, როგორიცაა სსრ კავშირის ეკონომიკური მშენებლობა. მარქსისტი სტალინი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე გიმნაზისტთა საკლასო მოთხრობის რომელიმე გმირივით ზიანს არ მიაყენებდა თავის მოღვაწეობას, მით უმეტეს ისეთ სერიოზულ უბანს, — როგორიცაა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა.

ავტორის მონაწილეობა პროცესში.

ზინოვიევისა და კამენევის პროცესს პრესითა და თვითმხილველთა მონაყოლით გავეცანი. პიატაკოვისა და რადეკის პროცესზე

კი პირადად ვმონაწილეობდი. პირველი პროცესის დროს მე დასავლეთ ევროპულ ატმოსფეროში ვგრძნობდი თავს, მეორე პროცესის დროს კი მოსკოვურ ატმოსფეროში. პირველ შემთხვევაში ჩემზე მოქმედებდა ევროპის ჰაერი, მეორე პროცესის დროს კი მოსკოვისა და ამან შესაძლებლობა მომცა განსაკუთრებით მკვეთრად შემეგრძნო ის გრანდიოზული განსხვავება, რომელიც საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის არსებობს.

პროცესების შთაბეჭდილებები საზღვარგარეთ.

ზოგიერთი ჩემი ერთობ გონიერი მეგობარი ამ პროცესებს როგორც შინაარსით ისე ფორმით, თავიდან ბოლომდე ტრაგიკომიკურს, ბარბაროსულს, დაუნდობელსა და შემზარავს უწოდებს. ამ პროცესების შემდეგ ბევრი ადამიანი, ადრე რომ საბჭოთა კავშირის მეგობრად ითვლებოდა, ახლა მის მოწინააღმდეგედ იქცა. ბევრი ვინც საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ წყობაში ხედავდა სოციალისტური ჰუმანიზმის იდეალს, ამ პროცესმა პირდაპირ ჩიხში მოამწყვდია; მათ წარმოიდგინეს, რომ ზინოვიევისა და კამენევის განმგმირავმა ტყვიებმა მათთან ერთად დახვრიტეს ახალი სამყაროც.

სულ სხვაა დასავლეთ ევროპაში.

ჩემი ევროპაში ყოფნის დროს ზინოვიევის პროცესზე წაყენებულ ბრალდებებს არ ვენდობოდი. მეგონა, რომ ბრალდებულთა ისტერიული აღიარება რაღაც იდუმალი საშუალებებით მოიპოვეს. მთელი პროცესი წარმოდგენილი მქონდა დიდი ოსტატობით დადგმულ უზომოდ შემაძრწუნებელ თეატრალურ სანახაობად.

სულ სხვაა მოსკოვში.

მაგრამ მოსკოვში მეორე პროცესზე დასწრებისას, როდესაც ვნახე და მოვუსმინე პიატაკოვს, რადეკს, მათ მეგობრებს, ვიგრძენი, რომ ბრალდებულთა უშუალო ლაპარაკით შექმნილმა შთაბეჭდილებებმა ჩემი ეჭვები გაფანტა. თუ ყველაფერი ეს გამოიგონეს და მოაწყვეს, მაშინ არ ვიცი სიმართლე რაღაა.

პირადად ვნახე პროცესის ოქმები, გავიხსენე ყველაფერი, რაც საკუთარი თვალით ვიხილე, რაც საკუთარი ყურით მოვისმინე. ბრალდების უტყუარობის მამტკიცებელი და გამამტყუნებელი ყველა გარემოება კიდევ ერთხელ ავწონ-დავწონე.

ტროცკის წინააღმდეგ ბრალდების ნაკლებ სარწმუნოება.

გულმთდგინე შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ ტროცკის დანაშაულად მიჩნეული მოქმედება ანა თუ შეუძლებელია, არამედ მისი ერთადერთი შესაძლებელი მოქმედებაა, რომელიც მის შინაგან მდგომარეობას სრულიად შეესატყვისება.

მიზეზები.

ნათლად უნდა წარმოიდგინო უმოქმედობისათვის განწირული ეს ადამიანი, იძულებული რომაა უქმად ადევნოს თვალყური იმას, თუ ლენინთან ერთად მის მიერ დაწყებული გრანდიოზული ექსპერიმენტი როგორ გადაიქცევა რაღაცნაირ გიგანტურ წვრილბურჟუაზიულ შრებერულ ბალად.[1]. ტროცკის, რომელსაც ეწადა მთელი მსოფლიოს სოციალიზმით გასხივოსნება, „სტალინის სახელმწიფო", — ასე ამბობდა და წერდა იგი, — თავდაპირველად ჩაფიქრებულის უხამს კარიკატურად მიაჩნდა. ამას დაემატა ღრმა პირადი მტრობა სტალინისადმი, შემთანხმებლისადმი, რომელიც მას, გეგმის შემოქმედს, მუდმივად უშლიდა ხელს და ბოლოს და ბოლოს ქვეყნიდან გააძევა კიდეეაც. ტროცკიმ უამრავჯერ მისცა თავს უფლება სტალინისადმი უსაზღვრო სიძულვილი და მტრობა აშკარად გამოეხატა ზეპირადაც და წერილობითაც. რატომ ვერ შეძლო მან ამის გამოხატვა მოქმედებაში? განა მართლა ეს იმდენად „დაუჯერებელია", რომ ადამიანმა, რომელიც თავს თვლიდა რევოლუციის ერთადერთ ნამდვილ ბელადად, ვერ გამონახა ყველა საშუალება იმ „ყალბი მესიის" დასამხობად, რომელმაც ეშმაკობის წყალობით მისი ადგილი დაიკავა? მე ეს სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია.

---

[1] შრებერი (1808—1861)—ექიმი, „შრებერულ საზოგადოებათა" დამაარსებელი, რომელთა მიზანი იყო ახალგაზრდობის აღზრდა. — რედ.

ასევე შესაძლებელი მგონია, რომ თუ სიძულვილით დაბრმავებული ადამიანი ფარს ამბობდა დაენახა ყველას მიერ აღიარებული ქვეყნის წარმატებული სამეურნეო მშენებლობა და მისი არსების სიძლიერე, მაშინ ასეთი ადამიანი ვეღარ შეამჩნევდა მის ხელთ არსებული საშუალებების უვარგისობას და აშკარად მცდარ გზას დაადგებოდა. ტროცკი მამაცი და განუსჯელია. იგი დიდი მოთამაშეა. მთელი მისი ცხოვრება — ეს ავანტიურათა გრძელი ჯაჭვია. მას ძალიან ხშირად გამოუდიოდა სარისკო საქმეები. იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ოპტიმისტი იყო. ტროცკი საკმაოდ ძლიერად თვლიდა თავის თავს, რათა თავისი გეგმების განსახორციელებლად გამოეყენებინა ზოგი რამ სათაკილო, შემდეგ კი საჭირო მომენტში უარეყო იგი და შემდეგ ასეთი საქციელი მიეფუჩეჩებინა. თუ ალიბიადე წავიდა სპარსელებთან, მაშინ რატომ არ შეეძლო ტროცკის ფაშისტებთან წასულიყო?

გაძევებულის სიძულვილი გამძევებლისადმი.

ტროცკი რუსი პატრიოტი არასოდეს ყოფილა. „სტალინის საბელმწიფო“ მისთვის ღრმად ანტიპათიური იყო. მას მსოფლიო რევოლუცია ეწადა. თუ განდევნილი ტროცკის გამოხმაურებებს სტალინზე და მის საბელმწიფოზე ერთ მთლიანობაში შევკრებთ, მაშინ მივიღებთ სიძულვილით, სიმძვინვარით, ირონიით, ზიზღით აღსავსე სქელტანიან წიგნს. რა იყო და რა არის ამდენი წლის განდევნის შემდეგ ტროცკის მთავარი მიზანი? ის, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდა დაბრუნებულიყო ქვეყანაში, დაბრუნებულიყო ხელისუფლებაში.

შექსპირი ტროცკის შესახებ.

რომის მტრებთან, — ვოლსკებთან მისვლისას შექსპირის კორიოლანოსი ლაპარაკობს მის გამყიდველ, ორგულ მეგობრებზე: „სხვა ყველაფერი ჩანთქა ხალხის შურმა, ბოროტმა, გალაჩრებულთა დიდებულთ წინ, რანიც ვერ შესძრა ბრბოს ნებით ჩემმა

სამარცხვინოდ რომით განდევნამ... მე შენს წინაშე მისთვის ვდგავარ, რომ ჩემს განმდევნელთ სამაგიერო გადავუხადო".

ასე პასუხობს შექსპირი კითხვას იმის თაობაზე თუ შესაძლებელია ხელშეკრულების დადება ტროცკისა და ფაშისტებს შორის.

ლენინი ტროცკის შესახებ.

ტროცკის არაბოლშევიკური წარსული — ეს შემთხვევითი არაა. ასე პასუხობს ლენინი თავის ანდერძში კითხვას იმის შესახებ, თუა შესაძლებელი ხელშეკრულების დადება ტროცკისა და ფაშისტებს შორის.

ტროცკი ტროცკის შესახებ.

ემილ ლუდვიგი ჰყვება ტროცკისთან თავის საუბარზე, რომელიც სტამბულთან ახლოს პრინცის კუნძულზე ტროცკის გასახლების შემდეგ გაიმართა. ეს საუბარი თავის წიგნში „ცხოვრების ნობათები" ემილ ლუდვიგმა 1931 წელს გამოაქვეყნა. იმ აზრმა, რაც მაშინ, 1931 წელს გამოთქვა ტროცკიმ, უნდა ჩააფიქროს ყველა, ვინც მისადმი წაყენებულ ბრალდებებს უაზროდ და აბსურდულად თვლის. ტროცკის თქმით, „მისი საკუთარი პარტია, — გვამცნობს ლუდვიგი (მე ციტატა სიტყვასიტყვით მომყავს —ლ. ფ.) — ყველგანაა გაფანტული და ამიტომ მისი წევრების აღრიცხვა ძნელია". „როდის შეიკრიბება იგი? — როდესაც ამისათვის რაიმე ახალი საბაბი მიეცემა, მაგალითად ომი, ანდა ევროპის ხელახალი ჩარევა, როცა მთავრობის სისუსტის გამო გამბედაობას მოიკრებს". „მაგრამ ასეთ შემთხვევაში სწორედ თქვენ არ შეგიშვებენ იქ, სხვებმა კიდეეაც რომ მოინდომონ თქვენი შეშვება", — შეეპასუხა ე. ლუდვიგი. პაუზა. მასში იგრძნობოდა ზიზღი. — „ო, მაშინ ალბათ ყველანაირი გზები მოინახება — გაეღიმა ახლა ტროცკის მეუღლეს". ასე პასუხობს ტროცკი კითხვას იმის შესახებ თუ არის შესაძლებელი შეთანხმება ტროცკსა და ფაშისტებს შორის.

თუ არის სარწმუნო რადეკისა და პიატაკოვისადმი წაყენებული ბრალდებები?

რაც შეეხებათ სასამართლოს წინაშე მეორე პროცესზე წარმდგარ პიატაკოვს, სოკოლნიკოვს, რადეკს, მათი უარისმყოფელი

არგუმენტები შემდეგი ხასიათისა იყო: დაუჯერებელია ის, რომ მათი რანგისა და გავლენის ადამიანები იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ მუშაობას ეწეოდნენ, რომლისგანაც თავიანთი მდგომარეობითა და პოსტებით დავალებულები იყვნენ, რომ ისინი იმ ანტიურისტულ საქმიანობაში გაერევნენ, რომელშიც მათ ბრალი ედებოდათ.

ბრალდებულთა იდეოლოგიური მოტივები.

ამ ადამიანებზე მსჯელობა მხოლოდ და მხოლოდ მათ მიერ დაკავებული მდგომარეობისა და მათი გავლენის თვალთახედვით არასწორი მგონია, პიატაკოვი და საკოლნიკოვი მარტოოდენ მსხვილი ჩინოვნიკები არ იყვნენ, რადგან მხოლოდ გაზეთ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორი და სტალინის ერთ-ერთი ახლო მრჩეველთაგანი არ იყო. ამ ბრალდებულთა უმრავლესობა, პირველ რიგში, იყვნენ კონსპირატორები, რევოლუციონერები; მთელი თავიანთი ცხოვრება ისინი მგზნებარე მეამბოხეები და გადატრიალების მომხრეები იყვნენ — ეს იყო მათი მოწოდება. ყველაფერს მათ „გონივრული" წინასწარმეტყველების საწინააღმდეგოდ, თავიანთი მამაცობის, ოპტიმიზმის წყალობით, სარისკო საქმეებისადმი სიყვარულით მიაღწიეს. ამავე დროს მათ სჯეროდათ ტროცკისა, რომელიც შთაგონების უზარმაზარ ძალას ფლობდა. თავიანთ მასწავლებელთან ერთად ისინი „სტალინის სახელმწიფოში" ხედავდნენ იმის დამახინჯებულ სახეს, რისკენაც ისინი თავად მიისწრაფოდნენ და თავიანთ უმაღლეს მიზანს იმაში ხედავდნენ, რომ ამ დამახინჯებაში კორექტივები შეეტანათ.

მატერიალური საკითხი.

არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე შეთქმულებაში ბრალდებულების პირადი დაინტერესებაც. ვერ დაკმაყოფილდა ამ ხალხის ვერც პატივმოყვარეობა და ვერც ძალაუფლების წყურვილი. მართალია მათ მაღალი თანამდებობები ეკავათ, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ეკავა ისეთი მაღალი პოსტი, რომელიც მათი აზრით, მათი შესაფერისი იყო. მაგალითად „პოლიტიკური ბიუროს" შემადგენლობაში მათგან არავინ არ შედიოდა. მართალია მათ კელავ გადმოხედეს წყალობის თვალით, მაგრამ თავის დროზე ისინი გაასამართ-

ლეს როგორც ტროცკისტები და მათ მეტი შანსი აღარ ჰქონდათ, რათა კვლავ წინა რიგებში წამოწეულიყვნენ. ისინი განაწყენებულნი იყვნენ და „არავინ არ შეიძლება სახიფათო იყოს იმ ოფიცერზე მეტად. რომელსაც სამხრეები ჩამოგლიჯეს", ამბობდა რადეკი, რომლისთვისაც ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი.

შეპასუხებანი პროცესის წარმართვის წინააღმდეგ.

ბრალდების გარდა არანაკლებ მწვავედ ესხმიან თავს პროცესის წარმართვის წესსაც. დაეჭვებულები კითხულობდნენ, — თუკი დოკუმენტები და მოწმეები არსებობდნენ, მაშინ რატომღა ჰქონდათ პირველები უჯრებში ჩაკეტილი, ან მეორენი კულისებში დამალული, ან რატომ სჯერდებოდნენ ისეთ აღიარებებს, რომლებიც არ იმსახურებდნენ ნდობას?

საბჭოთა მოქალაქეების პასუხი.

ეს სწორია, პასუხობენ საბჭოთა ადამიანები, ჩვენ პროცესზე გარკვეულ შემთხვევაში მხოლოდ კვინტესენცია, წინასწარი გამოძიების შედეგები ვაჩვენეთ. მამხილებელი მასალა ჩვენ ადრე შევამოწმეთ და წავუყენეთ ბრალდებულებს, რადგან პროცესზე მათ აღიარებათა საკმარისი მტკიცებები გვქონდა. ვისაც ეს აშფოთებს, დაე გაიხსენოს, რომ ამ საქმეს სამხედრო სასამართლო არჩევდა და რომ ეს პროცესი უწინარესად პოლიტიკური პროცესი იყო. ჩვენ გვაინტერესებდა შიდა პოლიტიკური ატმოსფეროს გაწმენდა. ჩვენ გვინდოდა, რომ მთელ ხალხს, მინსკიდან ვლადივოსტოკამდე, გაეგო თუ რა ხდებოდა. ამიტომ ჩვენ შევეცადეთ პროცესი მაქსიმალური უბრალოებით და გასაგებად მოგვეწყო. დოკუმენტების, მოწმეთა ჩვენებებისა და სხვადასხვაგვარი საგამოძიებო მასალების დაწვრილებით გადმოცემა შეიძლება აინტერესებდეთ იურისტებს, კრიმინალისტებს, ისტორიკოსებს, ჩვენს საბჭოთა მოქალაქეებს კი დეტალების ამხელა გროვით მხოლოდ თავგზას ავუბნევდით. უსიტყვო აღიარება საბჭოთა ადამიანებს უფრო მეტს ეუბნება, ვიდრე გონებამახვილურად შეპირისპირებული მრავალი მტკიცებულება. ჩვენ ამ პროცესს საზღვარგარეთელი კრიმინალისტებისათვის არ ვატარებდით, ჩვენ იგი ჩვენი ხალხის დასანახად მოვაწყეთ.

რამდენადაც არ შეიძლება უარყოფილი იქნეს ისეთი დამაჯერებელი ფაქტი, როგორიცაა აღიარება, მისი სიზუსტე და გარკვეულობა, ამდენად დაეჭვებულმა ადამიანებმა ყველახე ავანტიურისტული შეხედულებები წამოაყენეს ამ აღიარებათა მოპოვების მეთოდებზე.

შხამი და ჰიპნოზი.

რა თქმა უნდა, უწინარესად გამოითქვა ყველაზე პრიმიტიული ვარაუდი, რომ ბრალდებულები წამებითა და კიდევ უფრო უარესი, ახალი წამების მუქარით აიძულეს წასულიყვნენ აღიარებაზე. მაგრამ ეს გამონაგონი ბრალდებულთა კარგმა შესახედაობამ და მათმა საერთო ფიზიკურმა და გონებრივმა მდგომარეობამ გააბათილა. ამიტომ სკეპტიკოსები იძულებულნი გახდნენ „დაუჯერებელი“ აღიარებების ასახსნელად სხვა წყაროებისათვის მიემართათ. ბრალდებულებს, — განაცხადეს მათ, — აძლევდნენ ყოველნაირ შხამებს, ამყოფებდნენ ჰიპნოზის ქვეშ, მათზე იყენებდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს. არადა ქვეყნიერებაზე ჯერ კიდევ არავის არ შესძლებია მეორე არსება ასეთი ძლიერი და ხანგრძლივი გავლენის ქვეშ ჰყოლოდა და ის მეცნიერი, რომელიც ამას მოახერხებდა, საეჭვოა დაკმაყოფილებულიყო პოლიტიკური ორგანოების იდუმალი ხელქვეითის მდგომარეობით. თავისი მეცნიერული ხვედრითი წილის გაზრდის მიზნით იგი, უეჭველად საჯაროს გახდიდა მის მიერ აღმოჩენილ მეთოდს. მიუხედავად ამისა, პროცესის მოწინააღმდეგეები ამჯობინებენ ჩაეჭიდონ ბულვარული ხასიათის ყველაზე უფრო აბსურდულ ჰიპოთეზებს, იმის მაგივრად, რომ შეამოწმონ ყველაზე უბრალო რამ, კერძოდ ის, რომ ბრალდებულები მხილებული იქნენ და მათი აღიარება შეესაბამებოდა ჭეშმარიტებას.

საბჭოთა ადამიანები იცინიან.

საბჭოთა ადამიანები მხოლოდ მხრებს იჩეჩენ და იცინიან, როდესაც მათ ამ ჰიპოთეზებზე უყვებიან. თუკი გვინდოდა ფაქტების

დამახინჯება, მაშინ რაში გვჭირდებოდა გამოგვეყენებინა ისეთი ძნელი და სახიფათო საშუალება, როგორიცაა ყალბი აღიარების მოპოვება? განა უფრო ადვილი არ იქნებოდა დოკუმენტების გაყალბება? ჩვენთვის უფრო იოლი იქნებოდა იმის მაგივრად რომ პიატკოვისა და რადეკის პირით გვეიძულებინა ტროცკი წარმოეთქვა გამცემლური სიტყვები, მსოფლიოსათვის გაგვეცნო მისი ის მოღალატური წერილები და დოკუმენტები, რომლებიც გაცილებით უკეთ ამხელენ მის კავშირს ფაშისტებთან? თქვენ ნახეთ და მოუსმინეთ ბრალდებულებს: განა შეგექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოსდა მათი აღიარებანი იძულებითია?

პროცესის გარშემო.

მე ნამდვილად არ შემქმნია ასეთი შთაბეჭდილება. სასამართლოს წინაშე მდგომი ხალხისათვის არანაირად არ შეიძლებოდა გვეწოდებინა წამებულნი, თავისი ჯალათის წინაშე წარმდგარი სასოწარკვეთილი არსებანი. არც ისაა საფიქრებელი რომ სასამართლო ატარებდა რაიმე ხელოვნურ, თუნდაც საზეიმო, პათეტიკურ ხასიათს.

ბრალდებულთა პორტრეტები.

შენობა, სადაც პროცესი მიმდინარეობდა, დიდი არაა, იგი დაახლოებით სამასორმოცდაათ კაცს იტევს. მოსამართლეები, პროკურორი, ბრალდებულები, დამცველები, ექსპერტები მომცრო ესტრადაზე ისხდნენ, საითკენაც საფეხურები მიუყვებოდა. სასამართლოს დარბაზში მსხდომთაგან არაფერი არ ჰყოფდა. ასევე, არ იყო ისეთი რამ, რაც ბრალდებულთა სკამს მოგაგონებდათ. ბარიერი, რომელიც ბრალდებულებს ჰყოფდა, უფრო ხის მოაჯირი იყო. თავად ბრალდებულები მოვლილ, კარგად ჩაცმულ მამაკაცებს წარმოადგენდნენ მშვიდი, ძალდაუტანებელი მანერებით. ისინი სვამდნენ ჩაის, ჯიბეებში მოუჩანდათ გაზეთები და ხშირად ათვალიერებდნენ დამსწრე საზოგადოებახ. ერთი შეხედვით, ეს უფრო დისკუსიას ჰგავდა, ვიდრე სისხლის სამართლის პროცესს, დისკუსიას, სადაც იცავენ განათლებული ადამიანების საუბრის ტონს, სადაც ცდილობენ გაარკვიონ სიმართლე, სახელდობრ რა მოხდა და რა-

ტომ მოხდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოსდა ბრალდებულები, პროკურორი და მოსამართლეები ერთნაირი, — ლამის არ ვთქვი სპორტული, — ინტერესით იყვნენ გატაცებულნი, რათა ყველაფერი მომხდარი მაქსიმალური სიზუსტით გაერკვიათ. ეს სასამართლო პროცესი დასადგმელად რეჟისორისათვის რომ მიენდოთ, მაშინ, მას ალბათ ცოტა წლები და ნაკლები რეპეტიციები როდი დასჭირდებოდა ბრალდებულთაგან ასეთი შეხმატკბილების მისაღწევად: მათ არ ეპარებოდათ ერთი ერთმანეთის მცირეოდენი უზუსტობანიც კი და აღელვებას მხოლოდ და მხოლოდ თავისებურ თავშეკავებულობაში ავლენდნენ, მოკლედ რომ ვთქვათ, ბრალდებულების მომამზადებელი ჰიპნოზიორები, მომწამვლელები და სასამართლო ჩინოვნიკები, თავიანთ ყველა სხვა განსაცვიფრებელ თვისებებთან ერთად თვალსაჩინო რეჟისორები და ფსიქოლოგებიც უნდა ყოფილიყვნენ.

გერგილიანობა.

დაუჯერებელი, შემაძრწუნებელი გეგონებოდათ ის გულმოდგინება, რომლითაც ეს ადამიანები თავიანთი, თითქმის გარდუვალი, სიკვდილის წინ ლაპარაკობდნენ საკუთარ ნამოქმედარზე და განმარტავდნენ თავიანთ დანაშაულს, საბუნებროა, რომ საბჭოთა კავშირში აკრძალულია სურათების გადაღება და გრამოფონზე ჩაწერები სასამართლო დარბაზებში. თუ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს წარუდგენენ არა მარტო იმას, რასაც ბრალდებულები ამბობდნენ, არამედ იმასაც, თუ როგორ ჰყვებოდნენ ისინი ყოველივე ამას, მათ ინტონაციებს, მათ სახეებს, მაშინ ურწმუნონი ბევრად ნაკლებნი იქნებოდნენ.

ქცევა.

თითოეული მათგანი თავისი საკუთარი მანერით აღიარებდა დანაშაულს: ერთი ცინიკური ინტონაციით, მეორე მარჯვედ, როგორც ჯარისკაცი, მესამე შინაგანი წინააღმდეგობით, ეშმაკობის მოშველიებით, მეოთხე — როგორც მომნანიებელი მოსწავლე, მეხუთე — დამრიგებლურად. მაგრამ ტონი, სახის გამომეტყველება, ჟესტები ყველას ალალ-მართალი ჰქონდა.

პიატაკოვი.

მე არასოდეს დამავიწყდება, თუ როგორ იდგა ოდნავ შემელოტებული, წითური, ძველმოდური, მოცახცახე წვერის მქონე საშუალო სიმაღლის შუახნის მამაკაცი, გიორგი პიატაკოვი მიკროფონის წინ და როგორ ლაპარაკობდა — თითქოსდა ლექციას კითხულობსო. წყნარად და გულმოდგინედ ჰყვებოდა იგი იმის შესახებ, თუ როგორ ვნებდა მისთვის მინდობილ მრეწველობას. გაშლილი საჩვენებელი თითით პიატაკოვი მოგვაგონებდა უმაღლესი სკოლის მასწავლებელს, პროფესიით ისტორიკოსს, რომელიც დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ადამიანის, სახელად პიატაკოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოდიოდა და როგორ ცდილობდა ყველა გარემოება უმცირეს წვრილმანებამდე განემარტა. იგი თითქოს აღსავსე იყო ერთი სურვილით, რომ მსმენელებსა და სტუდენტებს, ყველას მისთვის სწორად გაეგო და შეეფასებინა მისი ნათქვამი.

რადეკი.

ალბათ არც არასდროს დამავიწყდება მწერალი კარლ რადეკი. მე არ დავიავიწყებ არც იმას, თუ როგორ იჯდა იგი იქ თავისი ყავისფერი პიჯაკით, არც მის უშნო, წაბლისფერ ძველმოდურ წვერიან გამხდარ სახეს. არც იმას, თუ როგორ ათვალიერებდა იგი დამსწრე საზოგადოებას, რომელთა დიდ ნაწილს კარგად იცნობდა, ანდა სხვა ბრალდებულებს. იგი ხშირად გულგრილად იღიმებოდა, ზოგჯერ განზრახ ირონიულად. არც ის დამავიწყდება, რადეკი დარბაზში შემოსვლისას ამა თუ იმ ბრალდებულს როგორ ეყრდნობოდა ნაზად იდაყვით მხარზე, არც იმას, თუ გამოსვლისას ოდნავ როგორ პოზიორობდა, მსუბუქად იცინოდა დანარჩენ სხვა ბრალდებულებზე, ავლენდა თავის მსახიობურ უპირატესობებს: მედიდურობას, სკეპტიკურობას, მოხერხებულობას, ლიტერატურულ განათლებას. პიატაკოვს მიკროფონთან მან უეცრად წაუბიძგა და მის ადგილზე თავად დადგა. იგი ბარიერს ხან გაზეთს ურტყამდა, ხან ჩაის ჭიქას იღებდა ხელში, მასში აგდებდა ლიმონის ნაჭერს, ურევდა კოვზით, პატარა ყლუპებით სვამდა ჩაის და თან შემზარავ საქმეებს ჰყვებოდა. მან ყოველგვარი მხატვრულობის გარეშე წარმოთქვა საბოლოო სიტყვა, რომელშიც განმარტა

თუ რატომ აღიარებდა დანაშაულს. ძალდაუტანლობისა და შესანიშნავი ფორმულირების მიუხედავად რადეკის ეს განცხადება იმ ადამიანის ამაღელვებელი გულახდილობის მსგავსად გაისმა, რომელიც დიდ სატანჯველს უძლებდა. ყველაზე საშინელი და ძნელად გასაგები ის ყესტი იყო, რომლითაც ბოლო სხდომის დამთავრებისას რადეკმა დატოვა სასამართლო დარბაზი. ეს იყო გამთენიისას, ოთხ საათზე. ყველანი — მოსამართლეები, ბრალდებულები, მსმენელები ძალიან დაიღალნენ. ჩვიდმეტი ბრალდებულიდან ცამეტს. — მათ შორის იყვნენ რადეკის ახლო მეგობრები — სიკვდილი მიუსაჯეს; რადეკსა და სამ სხვას — მხოლოდ პატიმრობა. მოსამართლემ ჩაიკითხა განაჩენი. ჩვენ ყველამ ფეხზე მდგომმა ბრალდებულებმა და მსმენელებმა, გაუნძრეველად, ლრმა დუმილით მოვისმინეთ იგი. განაჩენის წაკითხვის შემდეგ მოსამართლეები დაუყოვნებლივ გავიდნენ. გამოჩნდნენ ჯარისკაცები, ისინი ჯერ იმ ოთხ კაცთან მივიდნენ პატიმრობა რომ მიუსაჯეს. ერთმა ჯარისკაცმა რადეკს მხარზე დაადო ხელი, როგორც ჩანს, შესთავაზა უკან გაპყოლოდა. რადეკი გაჰყვა .იგი მობრუნდა, მისასალმებლად ასწია ხელი, თითქმის შეუმჩნეველად აიწურა მხრები, თავი დაუკრა დანარჩენ სიკვდილმისჯილებს, თავის მეგობრებს და გაუღიმა. დიახ, მან გაიღიმა.

დანარჩენები.

ასევე ძნელია დაივიწყო ინჟინერ სტროილოვის გულისამაჩუყებელი დაწვრილებითი მონათხრობი იმაზე, თუ როგორ აღმოჩნდა იგი ტროცკისტულ ორგანიზაციაში, როგორ წვალობდა მისგან თავის დაღწევას. ტროცკისტები კი, წარსულში მის მიერ ჩადენილი დანაშაულით სარგებლობდნენ და მტკიცედ ეჭირათ იგი ხელში. ასევე დაუვიწყარია რაბინის წვერიანი ებრაელი მეწაღე — დრობნისი, რომელმაც თავი განსაკუთრებით სამოქალაქო ომში გამოიჩინა. მეფის დროინდელ ციხეებში მან ექვსი წელი გაატარა. თეთრგვარდიელებმა მას სამჯერ სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ დახვრეტებს რაღაც საოცრებით გადაურჩა. ახლა კი აქ სასამართლოს წინაშე მდგომი იბნეოდა და სიტყვა უწყდებოდა, ცდილობდა სიტუაციიდან როგორმე გამომძვრალიყო. იძულებული აღიარებდა, რომ მის მიერ მოწყობილმა აფეთქებებმა არა მარტო მატერიალური ზა-

რალი გამოიწვიეს საწარმოებში, არამედ მუშებიც შეიწირა. შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე ინჟინერმა ნორკინმა, რომელმაც თავის ბოლო სიტყვაში დაწყევლა ტროცკი, მასზე აბოანთხია თავისი „უსაზღვრო ზიზღი და სიძულვილი". მღელვარებისგან გაფითრებულმა დატოვა დარბაზი, ვინაიდან ცუდად შეიქნა. მთელი პროცესის განმავლობაში ეს პირველი და ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ვიღაცამ დაიყვირა; ყველანი — მოსამართლეები, პროკურორი, ბრალდებულები — ყოველთვის ლაპარაკობენ მშვიდად, პათოსის გარეშე, ხმის აუწევლად.

რატომ არ იცავენ ისინი თავს?

ეჭვიანი ხალხი ზემოთმოყვანილი შეპასუხებების გარდა, სხვა საწინააღმდეგო მოსაზრებებს იმით ასაბუთებენ, რომ ბრალდებულების ქცევა სასამართლოს წინაშე ფსიქოლოგიურად აუხსნელიაო. რატომ ცდილობენ ბრალდებულები, კითხულობენ სკეპტიკოსები, იმის მაგივრად, რომ უარი თქვან ბრალდებაზე, პირიქით, ერთმანეთს არ აცლიან დანაშაულის აღიარებას? და თან როგორ აღიარებებში! ისინი თავად ხატავენ საკუთარ თავს ჭუჭყიან, საზიზღარ დამნაშავეებად. რატომ არ იცავენ ისინი თავს, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებენ ბრალდებულები სასამართლოს წინაშე? თუნდაც უკვე მსილებულნი, რატომ არ ცდილობენ თავის გასამართლებლად გამოიყენონ შემამსუბუქებელი გარემოებები, არადა პირიქით ექცევიან, მდგომარეობას სულ უფრო იმძიმებენ. თუ მათ ტროცკის თეორიის სჯერათ, მაშინ ისინი როგორც რევოლუციონერები და იდეოლოგები რატომ აშკარად არ გამოდიან თავიანთი ბელადისა და მისი თეორიის მხარეზე? თუ უკანასკნელად გამოდიან ხალხის წინაშე, მაშ რატომ არ განადიდებენ იმ საქმეებს, რომლებიც მათი აზრით სანაქებოდ ჩაითვლებოდა? და ბოლოს, შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ ჩვიდმეტი კაციდან ერთი, ორი ან ოთხი შეეგუებოდა ბედს. მაგრამ ყველანი — შეუძლებელია.

აი რატომ. ამბობენ საბჭოთა ადამიანები.

საბჭოთა ადამიანების თქმით ძალიან უბრალოდ აიხსნება ის, რომ ბრალდებულები აღიარებენ დანაშაულს. წინასწარი გამოძიე-

ბისას ისინი მოწმეთა ჩვენებებითა და დოკუმენტებით იმ ზომამდე ამხილეს, რომ უარყოფა უაზრობა იქნებოდა. ის, რომ დამნაშავედ თავს აღიარებს ყველა, იმით აიხსნება, რომ სასამართლოს წინაშე შეთქმულების მონაწილე ყველა ტროცკისტი კი არ წარსდგა, არამედ მარტო ისინი, ვინც ბოლომდე იქნენ მხილებულნი. აღიარებათა პათეტიკური ხასიათი უმთავრესად თარგმანის ბრალია. რუსული ინტონაცია გადმოცემას ძნელად ემორჩილება, რუსული ენა თარგმნისას რამდენადმე უჩვეულოდ ჟღერს, თითქოსდა მისი ძირითადი ტონი აღმატებითი ხარისხია (ბოლო შენიშვნა სწორია. ერთხელ მე მოვისმინე თუ მოძრაობის მარეგულირებელმა მილიციონერმა როგორ უთხრა ჩემს მძღოლს: „ამხანაგო, იყავით, გეთაყვა ყურადღებიანი, პატივი ეცით წესებს". გამოთქმის ასეთი მანერა უცნაური მგონია. იგი ნაკლებ უცნაურად მიმაჩნია, როდესაც თარგმნიან უფრო აზრობრივად, ვიდრე სიტყვა-სიტყვით, ტექსტის მიხედვით: „მისმინეთ, ნუ დაარღვევთ, გეთაყვა, მოძრაობის წესებს". დაბეჭდილი ოქმების თარგმანს უფრო ჰგავს „იყავი, გეთაყვა, ყურადღებიანი, პატივი ეცით წესებს", ვიდრე „ნუ დაარღვევთ, გეთაყვა, მოძრაობის წესებს").

ავტორის აზრი.

მართალია პროცესმა დამარწმუნა ბრალდებულთა დანაშაულობებში, მაგრამ საბჭოთა მოქალაქეების არგუმენტების მიუხედავად, ბრალდებულთა ქცევა სასამართლოს წინაშე ჩემთვის მთლად გასაგები მაინც არ იყო. პროცესის დამთავრებიდან შთაბეჭდილებები მაშინათვე საბჭოთა პრესაში მოკლედ გამოვთქვი: „ბრალდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულობების ძირითადი მიზეზები, უმთავრესად კი სასამართლოს წინაშე მათი ქცევის მთავარი ნორმები დასავლეთელი ადამიანისათვის მთლად გასაგები მაინც არაა. მართალია მათმა უმრავლესობამ თავიანთი მოქმედებით სიკვდილით დასჯა დაიმსახურა, მაგრამ სალანძღავი სიტყვებითა და აღშფოთებით, როგორ კარგადაც არ უნდა გვესმოდეს მათი, არ შეიძლება ამ ადამიანების ფსიქოლოგიის ახსნა. დასავლეთელი ადამიანისათვის მათი დანაშაულის ბოლომდე ახსნა და გამოსყიდვა მხოლოდ დიდ საბჭოთა მწერალს შეუძლია". თუმცა ჩემი სიტყვები ისე არ უნდა გაიგონ თითქოს მე მწადია პროცესის მსვლელობის ან

ძისი ძეადგენის სახელის გატეხვა. თუ ძეძეკითხეთით, ოოგოოიო ჩემი აზრის კვინტესენცია, მაშინ, მე, ბრძენი პუბლიცისტის ერნსტ ბლოხის მსგავსად, სოკრატეს სიტყვებით გიპასუხებთ, რომელმაც ზოგიერთი გაურკვევლობის გამო ჰერაკლიტეს ასე უთხრა: „ის, რაც მე გავიგე, შესანიშნავია. აქედან მე ვასკვნი, რომ დანარჩენი, რაც ვერ გავიგე, ასევე შესანიშნავია“.

განმარტების ცდა.

საბჭოთა ადამიანებს ვერ წარმოუდგენიათ ასეთი გაუგებრობა. პროცესის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთ კრებაზე ერთი მოსკოველი მწერალი პრესაში ჩემი შენიშვნის თაობაზე ცხარედ გამოვიდა. მან თქვა: „ფოიხტვანგერს არ ესმის, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ ბრალდებულები აღიარებისას. წითელ მოედანზე ამჟამად დემონსტრაციაზე გამოსულ ასი ათასობით მუშას კი ეს ესმის“: მაინც მგონია, რომ მოსკოვის პროცესის ასახსნელად მე უფრო მეტი მონდომება გამოვიჩინე, ვიდრე დასავლეთელ კრიტიკოსთა უმრავლესობამ. რამდენადაც ჯერ კიდევ არ გამოჩენილა ისეთი საბჭოთა მწერალი, რომელიც შუქს მოჰფენდა დანაშაულობათა აღიარების მიზეზებს, ამდენად შევეცდები მოგითხროთ როგორ წარმომიდგენია დანაშაულის აღიარების სურათი.

პარტიული სასამართლოს არსი.

სასამართლო პროცესი მსვლელობის ხასიათით უეჭველად თავისებურ პარტიულ სასამართლოდ უნდა მივიჩნიოთ. ბრალდებულები პარტიას ჭაბუკობის წლებიდან ეკუთვნოდნენ, ზოგიერთი მათგანი მის ხელმძღვანელადაც ითვლებოდა. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საბჭოთა პარტიულ სასამართლოში მიცემული ადამიანი თავს ისე დაიჭერდა, როგორც ჩვეულებრივი სასამართლოს წინაშე დასავლეთში. მოგეჩვენებოდათ, რომ რადეკის უბრალო მიმართვას „ამხანაგო მოსამართლე“ — და თავმჯდომარის მიერ შესწორებულ ფრაზას, — „თქვი-მოქალაქე მოსამართლე“, რალაც შინაგანი აზრი გააჩნდა. ბრალდებული თავს ჯერ კიდევ პარტიის განუყოფელ ნაწილად გრძნობდა, ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ პროცესი თავიდანვე უცხოელთათვის უჩვეულო დისკუ-

სიურ ხასიათს ატარებდა. მოსამართლეები, პროკურორი, ბრალდებულები, — ყველაფერი ეს მოჩვენებითი კი არ იყო, არამედ ერთმანეთს საერთო მიზნის მქონე ძაფებით უკავშირდებოდნენ. ისინი იმ ინეინრებს ჰგავდნენ, რომლებიც ახალ რთულ მანქანას ცდიდნენ. ზოგიერთმა მათგანმა ამ მანქანაში რაღაცა გააფუჭა, მაგრამ არა ბოროტი განზრახვით, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ ამ მანქანის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საკუთარი თეორიების თვითნებურად გამოყენება სურდა. მათმა მეთოდებმა არ გაამართლეს, მაგრამ ეს მანქანა მათ გულებთან არანაკლებ ახლოსაა, ვიდრე ნებისმიერ სხვასთან. ამიტომაცაა, რომ ისინი თავიანთ შეცდომებზე სხვებთან ერთად გულახდილად ლაპარაკობენ. მანქანისადმი მათ ყველას უსაზღვრო ინტერესი და სიყვარული აერთიანებთ. მეგობრული თანამშრომლობისათვის სწორედ ეს გრძნობა აკავშირებს მოსამართლეებსა და ბრალდებულებს. ეს ის გრძნობაა, რომელიც ინგლისში მთავრობას ისე მტკიცედ აკავშირებს ოპოზიციასთან, რომ ამ უკანასკნელის ლიდერი სახელმწიფოსაგან ორი ათას ფუნტ ჯამაგირს იღებს.

წარმართი წინასწარმეტყველი.

ბრალდებულები ტროცკის თანამოაზრეები იყვნენ: მათ ტროცკის დამხობის შემდეგაც მტკიცედ სჯეროდათ მისი, მაგრამ ისინი ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირში და ის, რაც მათთვის ცოცხალი სინამდვილე იყო, გაძეებული ტროცკისათვის შორეულ, ბუნდოვან სტატისტიკას წარმოადგენდა. ასეთ სინამდვილეში ტროცკის თეზისს ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის აშენების შეუძლებლობის შესახებ ხანგრძლივი არსებობა არ შეეძლო. 1935 წლისათვის, საბჭოთა კავშირის განუხრელი აყვავების მომსწრე ბრალდებულებს უნდა ეღიარებინათ ტროცკიზმის კრახი. რადეკის თქმით, მათ ტროცკის კონცეფციისადმი რწმენა დაეკარგათ. ამ გარემოებათა და თვით მოვლენების ბუნებრივი განვითარების გამო ბრალდებულთა აღიარება გაისმა როგორც იძულებითი ჰიმნი სტალინის რეჟიმისადმი. ,ბრალდებულები იმ ბიბლიურ წინასწარმეტყველს დაემსგავსნენ, რომელმაც წყეველის მაგივრად თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ ლოცვა აღავლინა.

ტროცკისადმი ღალატი.

ბრალდებული მურალოვი თავის დანაშაულს რვა თვე უარყოფდა, ვიდრე ბოლოს, ხუთ დეკემბერს არ აღიარა იგი. „თუმცა მე, — განაცხადა მან პროცესზე, — ტროცკის დირექტივას ტერორსა და მავნებლობაზე სწორედ არ მივიჩნევდი, მაგრამ მაინც მისი ღალატი მორალურად დაუშვებლად მიმაჩნდა. ბოლოს, როდესაც დანარჩენებმა მისგან განდგომა იწყეს — ზოგმა პატიოსნად, ზოგმა უპატიოსნოდ — ჩემს თავს ვუთხარი: საბჭოთა კავშირისათვის სამ რევოლუციაში აქტიურად ვიბრძოდი, ბევრჯერ ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ნუთუ მის ინტერესებს არ უნდა დავემორჩილო? თუ მე მწადია ტროცკთან დარჩენა და მისი უსამართლო საქმეების გაგრძელება და გაღრმავება? მაგრამ მაშინ ჩემი სახელი დროშად გამოადგება მათ, ვინც ჯერ კიდევ კონტრრევოლუციის რიგებშია. ტროცკისაგან პატიოსნად თუ არაპატიოსნად განდგომის მიუხედავად, სხვები, ყოველ შემთხვევაში, კონტრრევოლუციის დროშას ქვეშ არ დგანან. განა ასეთ წმინდანად უნდა დავრჩე? ჩემთვის ეს გადამწყვეტი გამოდგა და ვთქვი კიდეც: „კეთილი, მივდივარ და ვაღიარებ ყოველივე სიმართლეს“. ფორმით უფრო დახვეწილი რადეკის ჩვენებები ამ პუნქტზე ძირითადად, იმავე აზრს იმეორებს. პროცესს რომ ყურადღება არ მივაქციოთ, ორივე ამ ადამიანის სიტყვა ფსიქოლოგიური კუთხით ძალზე საინტერესოდ მომეჩვენა. ყოველივე ეს დამაჯერებლად ცხადყოფს იმას, თუ რა მიჯნამდე შეიძლება გაჰყვნენ ადამიანები იმ კაცს, რომლის უპირატესობაში, ხელმძღვანელობისადმი უნარში და კონცეფციის გენიალურობაში დაჯერებულები არიან და სად ჩნდება ტეხილი, რომელზედაც ისინი მას ტოვებენ. მას შემდეგ, რაც გაირკვა ტროცკის ძირითადი კონცეფციის მცდარობა, მის მიერ გამოყენებულ ავანტურისტულ და უკიდურეს საშუალებებს მისგან უნდა დაეფრთხო შედარებით უფრო პატარა თანამოაზრეები. მათ ტროცკის მეთოდები უგნურად მიიჩნიეს. მანამდე ტროცკს ისინი აშკარად იმიტომ ვერ განუდგნენ, რომ არ იცოდნენ, თუ როგორ მოემოქმედებინათ ეს საქმე რეალურად. „მილიციაში ჩვენ თვითონ წავიდოდით, — განაცხადა რადეკმა, — მანამდე თავად რომ არ მოსულიყო იგი ჩვენთან“, და ეს საკვლევი დასაშვები იყო. ზოგიერთი მათი თანამონაწილე მართლაც ხომ მანამდე წავიდა მილიციაში და შეთქმულება ასე გამოაშკარავდა.

დაეჭვებულების შემოდავება არსებითად სწორია. საკუთარ საქმეში დაჯერებული ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ სასიკვდილოდ არიან განწირულნი, მაინც არ ღალატობენ თავიანთ საქმეს სიცოცხლის ბოლო წუთებშიც კი. ისინი იყენებენ უკანასკნელ შესაძლებლობებს, მიმართავენ საზოგადოებრიობას, თავიანთი გამოსვლებით პროპაგანდას უწევენ საკუთარ მიზნებს და სხვ. ასობით რევოლუციონერი გერმანიაში ჰიტლერული სასამართლოს წინაშე აცხადებს: „დიახ, მე ჩავიდინე ის, რაშიც ბრალს მდებთ. თქვენ შეგიძლიათ მე მომსპოთ, მაგრამ მე ვამაყობ იმით, რაც გავაკეთე". ამრიგად, დაეჭვებულები მართლები არიან, როდესაც კითხულობენ: რატომ არ ლაპარაკობდა ასე რომელიმე ამ ტროცკისტთაგანი? რატომ არ თქვა რომელიმე მათგანმა: „დიახ, თქვენი „სტალინის სახელმწიფო" არასწორადაა აშენებული, ტროცკი სწორია, ყველაფერი რაც მე გავაკეთე, შესანიშნავია. მომკალით, მაგრამ მე ჩემი საქმის ერთგული ვრჩები".

ხალხი, ვისაც თავისი საქმის არ სჯერა.

თუმცა ასეთი შედავება დამაჯერებელ პასუხს იღებს. ტროცკისტები უბრალოდ ასე იმიტომ არ ლაპარაკობდნენ, რომ მათ ტროცკისა აღარ სჯეროდათ, იმიტომ, რომ მათ უკვე აღარ შეეძლოთ იმის დაცვა, რაც მათ ჩაიდინეს, იმიტომ, რომ მათი ტროცკისტული შეხედულებები ფაქტებით ისეთნაირად უკუაგდეს, რომ თვალხილულ ადამიანს უთუოდ უნდა ერწმუნა ისინი. მაშ რაღა რჩებოდათ მათ გასაკეთებელი მას შემდეგ, რაც ისინი მცდარ პოზიციაზე დადგნენ?—თუ ისინი ნამდვილი სოციალისტები იყვნენ,—სხვა არაფერი, გარდა იმისა, რომ სიკვდილის წინ თავიანთ უკანასკნელ გამოსვლაში ეღიარებინათ: სოციალიზმი შეიძლება განხორციელდეს არა იმ გზით, რომლითაც ჩვენ მივდიოდით — ტროცკის მიერ შემოთავაზებული გზით, არამედ სხვა გზით—სტალინის მიერ ნაჩვენები გზით.

ოთხმოცდაცხრამეტი თუ ასი პროცენტი.

კიდევაც რომ უკუვაგდოთ იდეოლოგიურად ხელის შემწყობი მიზეზები და მხედველობაში მივიღოთ მხოლოდ გარეგანი ფაქტო-

რები, მაშინ ბრალდებულები პირდაპირ იძულებულნი იქნებოდნენ დანაშაული ეღიარებინათ. როგორ უნდა დაეჭირათ მათ თავი მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალით იხილეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მამხილებელი ერთობ დამაჯერებელი საგამოძიებო მასალები? ისინი განწირულნი იყვნენ, მიუხედავად იმისა, აღიარებდნენ თუ არა დანაშაულს. თუ მას აღიარებდნენ, მაშინ მათ შეიძლება შეწყალების იმედის ნაპერწკალი გასჩენოდათ. უხეშად რომ ვთქვათ, დანაშაულის არაღიარების შემთხვევაში ისინი ასი პროცენტით იყვნენ სასიკვდილოდ განწირულნი, აღიარების შემთხვევაში კი ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით. რამდენადაც შინაგანი მრწამსით ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ აღიარებას, მაშ რატომ არ უნდა გამომტყდარიყვნენ ისინი დანაშაულში? მათი უკანასკნელი სიტყვებიდან გამოჩნდა, რომ ასეთი მოსაზრებები მათ ნამდვილად ჰქონდათ. ჩვიდმეტი ბრალდებულიდან თორმეტმა სასამართლოს სთხოვა, რომ განაჩენის დროს დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებად გაეთვალიწინებინათ მათი აღიარება.

ტრაგი-კომიკური მომენტი.

ძალაუნებურად თავიანთი თხოვნა მათ დაახლოებით ერთნაირი სიტყვებით უნდა გამოეხატათ და ამან, ბოლოს და ბოლოს, მოახდინა საშინელი ტრაგი-კომიკური შთაბეჭდილება. მსმენელები ბრალდებულთა საბოლოო სიტყვებში აღელვებით ელოდნენ ამ თხოვნას და სიცილს ძლივს იკავებდნენ, როდესაც ბრალდებულები თხოვნას მართლაც იმეორებდნენ, თანაც ყოველთვის ერთნაირი ფორმით.

რატომ გააძლიერონ ხმა?

უფრო რთულია უპასუხო კითხვას, თუ რა მიზეზებით გამოიტანა საბჭოთა მთავრობამ ეს პროცესი საჯაროზე, როდესაც მასზე მიიწვია მსოფლიო პრესა და საზოგადოებრიობა, ვიდრე უპასუხო კითხვაზე თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ ბრალდებულები დანაშაულობათა ჩადენისას. რას მოელოდნენ ხელისუფალნი ამ პროცესისაგან? ასეთ მანიფესტაციას ისინი განა უფრო უსიამოვნო, ვიდრე სასიამოვნო შედეგებამდე არ უნდა მიეყვანა?

ზინოვიევის პროცესმა საზღვარგარეთ ხომ ძალზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. ამ პროცესმა მოწინააღმდეგეებს ხელში ჩაუგდო დიდი ხნის ნანატრი დოკუმენტი. ამის გამო საბჭოთა ქვეყნის მრავალი მეგობარი საგონებელმა მოიცვა. მათ ეჭვი შეეპარათ რეჟიმის სიმტკიცეში, რისაც აქამდე მტრებსაც კი სჯეროდათ. ასეთი წინდაუზედავი მეორე მსგავსი პროცესით საკუთარი პრესტიჟისათვის ხელისუფალთ ძირი რატომ უნდა გამოეთხარათ?

სტალინი — ჩინგის-ხანი.

მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ამის მიზეზი უნდა მოიძებნოს სტალინის გამანადგურებელ დესპოტიზმში და ტერორისაგან განცდილ სიხარულშიო. არასრულფასოვნების, ძალაუფლებისმოყვარეობისა და უსაზღვრო შურისძიების გრძნობებით შეპყრობილი სტალინი შურს იძიებს ყველაზე, ვისაც კი ოდესმე მისთვის შეურაცხყოფა მიუყენებია და გზიდან იცილებს მათ, ვინც მისთვის რითიმე საშიში ხდებაო.

საცოდავი ფსიქოლოგები.

მსგავსი ლაპარაკი მოწმობს ადამიანის სულში წვდომის შეუძლებლობას და სწორი განსჯის უუნარობას. საკმარისია მხოლოდ წაიკითხოთ სტალინის ნებისმიერი წიგნი, ნებისმიერი სიტყვა, შეხედოთ ნებისმიერ მის პორტრეტს, გაიხსენოთ აღმშენებლობის მიზნებისათვის განხორციელებული ნებისმიერი მისი ღონისძიება და მაშინათვე ნათელი გახდება, რომ ამ ჭკვიან, წინდახედულ ადამიანს არასდროს შეეძლო ჩაედინა ისეთი შემზარავი სისულელე, თუ როგორ მოეხერხებინა მრავალი თანამონაწილის დახმარებით ასეთი უხეში კომედიის დადგმა ერთად ერთი მიზნით, — ბენგალური ჩირაღდნების შუქზე აღენიშნა თავისი გამარჯვება წაქცეულ მოწინააღმდეგეზე.

გადაწყვეტილება.

ვფიქრობ, რომ საკითხის გადაწყვეტა უბრალოა და ამასთან ერთად რთულიც. უნდა გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის მტკიცე

გადაწყვეტილება — სელა განაგრძოს წინ დემოკრატიის გზით და უპირველეს ყოვლისა ომისადმი იქ არსებულ დამოკიდებულებაზე, რომელზედაც მე უკვე რამდენჯერმე მივუთითე.

დემოკრატიზაცია და ომის საფრთხე.

მზარდ დემოკრატიზაციას, კერძოდ ახალი კონსტიტუციის პროექტის წარმოდგენას ტროცკისტებში უნდა გამოეწვია აქტიურობის ახალი აღმავლობა და მათში მოქმედებისა და აგიტაციის დიდი თავისუფლების იმედი აღეძრა. მთავრობამ დროულად ცხადჰყო თავისი მტკიცე გადაწყვეტილება, — ჩანასახშივე მოესპო ტროცკისტული მოძრაობის ყოველგვარი გამოვლინება. მაგრამ მთავარი მიზეზი, რომელმაც უბიძგა საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელებს ეს პროცესი ჩაეტარებინათ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თვალწინ, ეს იყო, ალბათ, მოსალოდნელი ომის საფრთხე. ადრე ტროცკისტები ნაკლებ საშიშნი იყვნენ, მათთვის შეიძლებოდა ეპატიებინათ, უარეს შემთხვევაში — გადაასახლებდნენ. მაგრამ გადასახლება მაინც არ იყო ძალიან ქმედითი საშუალება. სტალინმა, რომელიც თავად შეიჯერ იყო გადასახლებული და ექვსჯერ გაქცეული, ეს კარგად იცოდა. ახლა, უშუალოდ ომის წინ, არ შეიძლებოდა ასეთი გულჩვილობის გამოჩენა. განხეთქილებამ და ფრაქციულობამ, რომლებსაც არ ჰქონდათ სერიოზული მნიშვნელობა მშვიდობიან დროს, ომის პირობებში შეიძლება უდიდესი საფრთხე შექმნან. კიროვის სიკვდილის შემდეგ, ტროცკისტების საქმეებს საბჭოთა კავშირში არჩევენ სამხედრო სასამართლოები. ეს ხალხი იდგა სამხედრო სასამართლოს წინაშე და მანვე გაასამართლა ისინი.

საბჭოთა კავშირის ორი სახე.

საბჭოთა კავშირს ორი სახე აქვს. ბრძოლაში საბჭოთა კავშირის სახეა — მკაცრი დაუნდობლობა, რათა თავისი გზიდან ჩამოიცილოს ყოველგვარი ოპოზიცია. აღმშენებლობაში მისი სახე დემოკრატიაა, — რაც კონსტიტუციაში მან თავის საბოლოო მიზნად გამოაცხადა. საგანგებო ყრილობის მიერ ახალი კონსტიტუციის მიღების ფაქტი სწორედ, რომ თავისებურ სიმბოლოდ აღიქმება, ორ, — ზინოვიევისა და რადეკის, — პროცესს შორის პერიოდში.

თავი VIII

სიძულვილი და სიყვარული

„დემოკრატების“-იმედის გაცრუება.

საბჭოთა ადამიანებისათვის აბსოლუტურად გაუგებარია ის შეშფოთება, რომელიც უცხოელებმა, მათ შორის საბჭოთა კავშირის კეთილისმსურველებმაც გამოხატეს ტროცკისტული პროცესების თაობაზე. ზევით უკვე ვისაუბრე მრავალი იმ ადამიანის ღრმა გულგატეხილობასა და სასოწარკვეთაზე, რომლებიც საბჭოთა კავშირში ხედავდნენ დემოკრატიული მისწრაფებების ხორცშესხმასა და ცივილიზაციის ხსნის უკანასკნელ საშუალებას. ისინი ვერ გათავისუფლდნენ დემოკრატიაზე თავიანთი ძველი წარმოდგენებისაგან. ხოლო მოსკოვში მიმდინარე „თვითნებური და ძალადობრივი“ პროცესისი ზეგავლენით ეს ხალხი ციდან ჩამოცვენილებს დაემსგავსა.

საბჭოთა კავშირის არსებობით გამოწვეული უსიამოვნო გრძნობა.

უეჭველია იმედების ასე გაცრუებამ ბევრს გული ატკინა. თუმცა გამოჩდნენ ისეთებიც, ვისაც ამან სიხარული მოჰგვარა. ტროცკისტულ პროცესებზე მორეაგირე ინტელიგენტების ასეთი აღშფოთება გამომდინარეობს მათი სულის ერთობ ღრმა წყაროებიდან, სადაც ვერ აღწევს გონებას დაქვემდებარებული საზრიანობა. იგი გამომდინარეობს იმ უსიამოვნო გრძნობიდან, რასაც მათში საბჭოთა სახელმწიფოს არსებობა იწვევს.

სოციალიზმის წინაშე შიში.

საქმე ისაა, რომ ბევრ ინტელიგენტს, მათაც კი, ვისაც ისტორიულ აუცილებლობად მიაჩნია კაპიტალისტური სისტემის სოციალისტურით შეცვლა, შიშს გვრის გარდამავალი პერიოდის სიძნე-

ლეები. მათ სავსებით გულწრფელად სურთ სოციალიზმის მსოფლიო გამარჯვება, მაგრამ თან აშინებთ თავიანთი მომავალი ბედი დიდ სოციალისტურ გადატრიალებათა ხანაში. მათი გული უარყოფს იმას, რასაც მათი ფონება ამტკიცებს. თეორიაში ისინი სოციალისტები არიან, პრაქტიკაში კი თავიანთი ქცევით კაპიტალისტურ წყობილებას უჭერენ მხარს. ამრიგად, თვით საბჭოთა კავშირის არსებობა მათთვის არასტაბილურობის მუდმივ შეხსენებას წარმოადგენს, იგი გამუდმებული საყვედურია მათი საკუთარი ორჭოფული ქცევისათვის. საბჭოთა კავშირის არსებობა მათ იმის სიხარულს ჰგვრის, რომ ქვეყნად გონება ჯერ კიდევ არ მომსპარა. დანარჩენ სხვა შემთხვევაში მათ საბჭოთა კავშირი არ უყვართ, უფრო სძულთ.

სასურველი „ტერორი".

ამ მიზეზთა გამო ისინი, ისე რომ საკუთარ თავსაც არ უტყდებიან, სიამოვნებით იყენებენ ყველა შემთხვევას საბჭოთა კავშირზე ბრალდებისათვის. „გამოცანად ქცეულმა" ტროცკისტულმა პროცესებმა სასურველი საბაბი მისცა მათ საბჭოთა კავშირისადმი ირონიული დამოკიდებულებისათვის. მათ თავიანთ პუბლიკაციებში თითქოსდა საბჭოთა სასამართლოს ფარისევლობა დაგმეს, საბჭოთა სახელმწიფოში აღმოჩენილმა „ტერორმა" მათ ვითომცდა დაანახვა, რომ სსრ კავშირი არაფრით განსხვავდება ფაშისტური სახელმწიფოებისაგან და რომ ისინი სწორად იქცეოდნენ, როდესაც ბრმად არ ეთანხმებოდნენ ყველაფერზე საბჭოთა კავშირს. ამ „ტერორმა" გამართლება მოუძებნა მათ ორჭოფობასა და უმოქმედობას მათსავე სინდისის წინაშე. საბჭოთა კავშირის „დესპოტიზმი" მათთვის ის სასურველი მანტია აღმოჩნდა, რომლის ქვეშაც დამალეს თავიანთი სულიერი სიშიშვლე.

არავითარი მოულოდნელობა.

საბჭოთა კავშირში ეს არავის გაკვირვებია. ზინოვიევის პროცესით გამოწვეულ შთაბეჭდილებას არ შეეშინებია საბჭოთა იუსტიცია. მას ასევე არ შეშინებია მეორე ტროცკისტული პროცესის დანიშვნა. ამ პროცესით, ომის წინ საკუთარი სახლის ამ საჯარო

წმენდით, შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში მოტანილი სარგებელი ბევრად აანაზღაურებდა უცხოელი არაავტორიტეტული კრიტიკოსების თვალში საბჭოთა კავშირის პრესტიჟის შესაძლო დაცემას.

რეალურ-პოლიტიკური აზროვნება.

საზღვარგარეთის გუნებაგანწყობილებაზე საბჭოთა კავშირი არავითარ ილუზიებს არ იქმნის. საბჭოთა ადამიანები ამტკიცებენ, რომ მხოლოდ წითელმა არმიამ დაიცვა მსოფლიო აქამდე დიდი ფაშისტური ომის აფეთქებისაგან, რითაც ცივილიზაცია იხსნა ბარბაროსობისაგან. მხოლოდ საბჭოური შეიარაღების, მხოლოდ წითელი არმიის არსებობის ფასად, და ეს შესანიშნავად იციან საბჭოთა ადამიანებმა, — მხოლოდ თავიანთი სისუსტის გამო ე. წ. დასავლეთის დემოკრატიებმა კონტაქტები დაამყარეს სსრ კავშირთან. მათ ეს ურთიერთობანი უხალისოდ წამოიწყეს და ახლა, როდესაც დასავლეთის დემოკრატიის ხელმძღვანელებმა, ბოლოს და ბოლოს, თავიანთი გაუთავებელი ლაპარაკით შეძლეს დაერწმუნებინათ პარლამენტი და საზოგადოებრივი აზრი საკუთარი შეიარაღების აუცილებლობაში, ახლა უფრო ნაკლებად, ვიდრე წინათ მალავენ თავიანთ ანტიპათიებს საბჭოთა სახელმწიფოსადმი. საბჭოთა მოქალაქეები ის რეალური პოლიტიკოსები არიან, რომელთაც არანაირად არ გაკვირვებიათ ტროცკისტული პროცესებით საზღვარგარეთ გამოწვეული რეაქცია.

„რადეკი წამებაში".

თავის ბოლო სიტყვაში რადეკი იმის თაობაზე ლაპარაკობდა, თუ ორთვენახევრის განმავლობაში როგორ აიძულებდა გამომძიებელს მისგან ამოეძროთ აღიარების თითოეული სიტყვა და როგორ უპირდათ მასთან ურთიერთობა დაკითხვებისას. „მე კი არ მაწამებდა გამომძიებელი, — თქვა მან, — არამედ მე ვაწამებდი მას". ზოგიერთმა დიდმა ინგლისურმა გაზეთმა რადეკის ეს განცხადება მოათავსა მსხვილი სათაურით „რადეკი წამებაში". ვგონებ, მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი მოსკოვში, რომელიც გააოცა ამგვარმა კორესპონდენციამ.

მორალისტები.

ბევრი დასავლეთელი ინტელიგენტის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირის მიმართ მე ვთვლი სიბეცედ და უკადრისობად. ისინი ვერ ხედავენ საბჭოთა კავშირის მიერ მიღწეულ მსოფლიო-ისტორიულ წარმატებებს. არ სურთ გაიგონ, რომ ისტორიას ვერ შექმნი თეთრი ხელებით. ეს წარმატებები აბსოლუტური მასშტაბებისაა და მოწინააღმდეგეებს ერთი მილიმეტრის სიზუსტით სურთ გამოზომონ საბჭოთა კავშირში არსებული თავისუფლებისა და დემოკრატიის მიჯნები. როგორი გონივრული და ჰუმანურიც არ უნდა იყოს საბჭოთა ქვეყნის მიზნები, საბჭოთა კავშირის მიერ გამოყენებული საშუალებების კრიტიკისას დასავლეთელი ინტელიგენტები უკიდურესად მკაცრნი არიან. მათთვის ამ შემთხვევაში მიზანი კი არ აკეთილშობილებს საშუალებებს, არამედ საშუალებები ბღალავენ მიზანს.

ჰუმანურობა ზარბაზნების მეშვეობით.

ეს ჩემთვის გასაგებია. ახალგაზრდობაში მე თავად ვეკუთვნოდი ინტელიგენტთა იმ ტიპს, რომლებიც აბსოლიტური პაციფიზმის პრინციპებსა და ძალადობის ინტეგრალურ უარყოფას აცხადებდნენ. ომის პერიოდში ბევრ რამეს ხელახლა გადავხედე. უკვე ამ დროს დავწერე პიესა „უორენ ჰასტინგსი". მასში აღწერილმა პროცესმა თავის დროზე ისევე ააღელვა მსოფლიო, როგორც მოსკოვის ტროცკისტების პროცესმა. მაგრამ ეს პროცესი მიჰყავდა ინგლისელ გენერალ-გუბერნატორს უორენ ჰასტინგსს, ინგლისელთა ბატონობის ერთ-ერთ დამფუძნებელს ინდოეთში და დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთ გამტარებელს ამ ქვეყანაში. იგი თავის მოღვაწეობას პროგრესულად თვლიდა. თუ ჩვენ მის დებულებებს ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, ვგონებ დავეთანხმებით მას. უორენ ჰასტინგსი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ჰუმანურობამდე ადამიანთა მოდგმა შეიძლება მარტოოდენ ზარბაზნების მეშვეობით მიიყვანო". ჰასტინგსი მიმართავდა იმ ადამიანებს, რომლებიც, მისი სურვილის წინააღმდეგ, აიძულებდნენ მას თავისი ჰუმანური პრინციპები შეეცვალა ნაკლებად ჰუმანურით. იგი ამბობს: „ოცდაორი წელი მე ვიყავი იმის მოწმე, თუ როგორ ანად-

გურებდა მთელ მხარეს კაცთმოყვარეობით გამოწვეული ხელის მსუბუქი კანკალი. თქვენ, ჩემო კაცთმოყვარე ბატონებო, ეს არ იცით, მაგრამ სწორედ თქვენ მაიძულებთ მე არაადამიანურ ზომებს“.

Reflexions sur la violence [1].

მე მგონია, რომ ომის დროს და მის შემდეგაც თითოეულმა ჩვენთაგანმა მრავალი სხვადასხვა მიზეზის გამო გადასინჯა ძალადობაზე უარის თქმის თავისი პოზიცია და სერიოზულად ჩაუფიქრდა ამ საკითხს. თუ ასეთი „Reflexions sur la violence“ ლენინის გამართლებისათვის გამიზნულნი, მუსულინის მიერაც გამოიყენება თავისი თავის გასამართლებლად — ჰიტლერს ალბათ არც არასდროს გაუგონია ჟორჟ სორელის სახელი, — მაშინ მათ არაფერი არ აკლდებათ თავიანთ სისწორეში. არსებობს განსხვავება გამვლელის მსროლელ მძარცველსა და მძარცველის მსროლელ პოლიციელს შორის.

პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მწერლის პრობლემა.

უხეშად და უბრალოდ რომ ვთქვათ, გარკვეული პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე თითოეული მწერლის წინაშე ამჟამად ეს პრობლემა შემდეგნაირად ისმის: რამდენადაც დროებითი ცვლილებების შეტანის გარეშე იმაში, რასაც დღეს დემოკრატიას უწოდებენ, სოციალისტური მეურნეობა ვერ აშენდება, — ამდენად გადაწყვიტე, რას აირჩევ: იმას, რომ ხალხს ჰქონდეს ნაკლები ხორცი, პური და კარაქი, შენ კი, სამაგიეროდ, სიტყვის დიდი თავისუფლება, თუ იმას, რომ შენ გქონდეს სიტყვის ნაკლები თავისუფლება, სამაგიეროდ, ხალხს მეტი პური, ხორცი და კარაქი? საკუთარი პასუხისმგებლობის მქონე მწერლისათვის ეს იოლი პრობლემა არაა.

შექსპირის ლათინური.

საბჭოთა კავშირის გაკრიტიკება ძნელი არაა, მით უმეტეს, რომ ეს მის ავადმახსენებლებში კეთილგანწყობილებას იწვევს. საბჭოთა კავშირში არის შინაგანი და გარეგანი სახის უწესრიგობანი, მათ

[1] მოსაზრებები ძალადობაზე. — რედ.

ადვილად აღმოაჩენთ, თუმცა ამას თვითონაც არ მალავენ. მართალია, რომ ევროპიდან ჩამოსული უცხოელისთვის მოსკოვში ცხოვრება სულაც არ არის სასიამოვნო, მაგრამ ის, ვინც მხოლოდ ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის ხარვეზებს და ვერ ხედავს იმ უზარმაზარ საქმეს, რაც იქ შეიძლება იხილო (ქვეტექსტებში მიანიშნებს ამაზე), იგი უფრო საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, ვიდრე საბჭოთა კავშირს. იგი იმ კრიტიკოსს წააგავს, რომელიც გენიალურ პოემაში უწინარესად ცრასწორად დასმულ სასვენ ნიშნებს ამჩნევს. შექსპირის წაკითხვის შემდეგ გერმანელებმა მასზე თქვეს: „სუსტად სცოდნია ლათინური, ხოლო ბერძნულისა არაფერი გაეგება“.

ძირს უთანასწორობა, ძირს თანასწორობა.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დასავლეთელ ინტელიგენტთა ყველანაირი დავა ძირითადში ესთეტიკური და მორალური ხასიათის ორ მოსაზრებაზე დაიყვანება: მორალისტები წუხან, რომ შემოსავლების შეუსაბამობა გარდუვალად წარმოშობს ახალ კლასებს, ესთეტიკოსები კი იმით არიან შეშფოთებულები, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა მიდის ინდივიდთა გაუპიროვნებლობისაკენ და ამდენად უღიმღამო გამთანაბრებლობისაკენ. ამრიგად, ესთეტიკური შეხედულება კიცხავს სწორად იმის საწინააღმდეგოს, რასაც გმობს მორალური შეხედულება.

სიმართლის მარცვალი.

თუმცა, ორივე მოსაზრებაში სიმართლის პატარა მარცვლებია. თანასწორუფლებიანობის აპოსტოლები ამტკიცებენ, რომ გაცილებით მაღალ ხელფასიან მუშებს, გლეხებს და მოსამსახურეებს ნაცნობი წვრილბურჟუაზიული აზროვნება უვითარდებათ, ხაესებით განსხვავებული იმ პროლეტარიული გმირობისაგან, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებენ საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ ჩასული ჩვენი მორალისტები. ამაში, რა თქმა უნდა სიმართლის რაღაც მარცვალია. თავის მხრივ, უთანასწორობის აპოსტოლებს ეშინიათ, რომ აზრთა, შეხედულებათა ერთიანობა საქმეს მიიყვანს პიროვნების ცნობილ ნიველირებამდე, ასე, რომ სოციალიზმის განხორციელების ბოლოს საბჭოთა კავშირი სხვა არაფრად გადაიქცე-

ვა, თუ არა გიგანტურ სახელმწიფოდ, რომელიც ერთიანად შეღ-
გენილი იქნება ერთგვაროვანი, უფერული ადამიანებისაგან და
წვრილი ბურჟუებისაგან. არც ეს შიშია საფუძველმოკლებული. სა-
ქმე იმაშია, რომ როდესაც საზოგადოება აღწევს გარკვეულ ეკო-
ნომიკურ გარდამავალ სტადიას, კერძოდ, როდესაც იგი უკიდურე-
სი სიღარიბიდან გადადის კეთილდღეობის ჩანასახობრივ მდგომა-
რეობაში, მასში ძალაუნებურად თავს იჩენს წვრილბურჟუაზიუ-
ლი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ამას-
თან სულიერი დონის ამაღლება განვითარების პირველ სტადიაზე
ისეთსავე შედეგებს გამოიღებს, როგორც მატერიალური კეთილ-
დღეობის ზრდა — მას მივყავართ აზრებისა და გემოვნების ცნო-
ბილ ერთგვაროვნებამდე. სწავლების საწყის სტადიაზე შეუძლე-
ბელია „კონფორმიზმის" თავიდან აცილება. მაგრამ ეჭვგარეშეა,
რომ კეთილდღეობის ზრდის კვალობაზე ისევე სწრაფად გაქრება
წვრილბურჟუაზიული აზროვნება, როგორც განათლების ზრდას-
თან ერთად ყბადაღებული კონფორმიზმი.

გოეთე და მაძაგებლები.

ნათქვამის დაჯამებისას ცხადი ხდება, რომ საბჭოთა კავშირი
თავის თავში მოიცავს მრავალ, ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლე-
მას. მაგრამ რაც თქვა გოეთემ ადამიანურ არსებაზე, სავსებით შე-
იძლება მიესადაგოს სახელმწიფო ორგანიზმსაც: „მნიშვნელობის
მქონე მოვლენა ჩვენ ყოველთვის გვატყვევებს; ჩავწვდებით რა მის
ღირსებას, ჩვენ ყურადღების მიღმა ვტოვებთ იმას, რაც მასში
საეჭვოდ მიგვაჩნია".

დასავლეთის ცივილიზაციის არაჯანმრთელი ატმოსფერო.

ჰაერი, რომლითაც დასავლეთში სუნთქავენ, მოწამლულია. და-
სავლეთის ცივილიზაციას აღარ შერჩა სინათლე და გაბედულება.
იქ ვერ ბედავენ მოძალებული ბარბაროსებისაგან თავის დაცვას
მუშტით, ანდა მჭექარე სიტყვით მაინც. დასავლეთში ამას აკეთე-
ბენ გაუბედავად, გაურკვეველი ჟესტებით; ცნობილი მოღვაწეები
ფაშიზმის წინააღმდეგ დათაფლული სიტყვებით გამოდიან. ზიზღი
ეუფლება კაცს იმის ხილვაზე როდესაც პასუხისმგებელი პირები

მტკიცე გამოსვლების მაგივრად პირმოთნეობენ და შიშით რეაგირებენ ესპანეთის რესპუბლიკაზე ფაშისტების თავდასხმის გამო?

ბაბილონის გოდოლი.

როდესაც ამ გაყალბებული დემოკრატიისა და ჰუმანურობის დამთრგუნველი პირმოთნეობის ატმოსფეროდან ადამიანი საბჭოთა ქვეყნის სუფთა ჰაერზე ხვდება, სუნთქვა უადვილდება. აქ თავს არ აფარებენ მისტიკურ-გაფუყულ ფრაზებს, აქ ბატონობს გონივრული ეთიკა, ნამდვილი „more geometrico constructa“ [1]. მხოლოდ ამ ეთიკური საზრიანობით. განისაზღვრება გეგმა, რომლის მეთხებითაც შენდება საბჭოთა კავშირი. ამრიგად მეთოდიც, რომლის მიხედვითაც ისინი იქ აშენებენ და მასალაც, რომელსაც ისინი ამ მშენებლობისათვის იყენებენ, აბსოლუტურად ახალია. მაგრამ ექსპერიმენტების დრო მათ უკვე გაიარეს. ირგვლივ კვლავ მიმობნეულია ნაგავი, ჭუჭყი, მაგრამ მათ ზემოდან უკვე ნათლად იკვეთება მძლავრი შენობის კონტურები. ეს ნამდვილი ბაბილონის გოდოლია, მაგრამ გოდოლი, რომელიც ადამიანებს ზეცასთან კი არ აახლოვებს, არამედ ზეცას ადამიანებთან. ბედნიერება ხელს უმართავს მათ მუშაობაში; მისმა მაშენებელმა ადამიანებმა ერთმანეთში არ აურიეს თავიანთი ენები, ერთიერთმანეთის მათ კარგად ესმით.

დიახ, დიახ, დიახ!

ერთი სიამოვნებაა. როდესაც დასავლური არასრულყოფილების შემდეგ ისეთ ქმნილებას იხილავ, რომელზედაც მთელი სულითა და გულით იტყვი: დიახ, დიახ, დიახ! და ვინაიდან უწესობად მიმაჩნდა დამემალა ეს „დიახ“ ჩემს გულში, ამიტომაც დავწერე ეს წიგნი.

---

[1] გეომეტრიის წესების მიხედვით აგებული. — რედ.

შინაარსი

გამომცემლობისაგან 5
წინასიტყვაობა 5
თავი I. ყოველდღიურობა და ზეიმები 11
თავი II. კონფორმიზმი და ინდივიდუალიზმი 31
თავი III. დემოკრატია და დიქტატურა 51
თავი IV. ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი 66
თავი V. მშვიდობა და ომი 72
თავი VI. სტალინი და ტროცკი 77
თავი VII. აშკარა და საიდუმლო ტროცკისტების პროცესებში 90
თავი VIII. სიძულვილი და სიყვარული 111

ლიონ ფოიხტვანგერი
„მოსკოვი 1937“
(ქართულ ენაზე)
გამომცემლობა „მერანი“
რუსთაველის პრ. 42
თბილისი
1991

მხატვარი მ. ნონიკაშვილი
მხატვრული რედაქტორი მ. დედანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორი მ. შაშვიაშვილი
გამომშვები ნ. რაშოევი

ს. ბ. 6203
ჩაბარდა წარმოებას 17.06.91. ხელმოწერილია საბეჭდად 10.09.91.
ფორმატი 60×84 1/16. ქაღალდი საბეჭდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 6,98.
სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 5,19. პირობითი საღებავგატარება 7,21. ტირაჟი 20.000 ეგზ. შეკვეთა № 267

ფასი 7 მან.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის გამზ. 42, თბილისი, 1991

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.